K 246.499
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი ბურძენიძე

პოლიტმასობრივი მუშაობა საქართველოს ქალთა შორის

„მეცნიერება“
1972

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი ბურძენიძე

К 246.499
3
К 147.438
3

პოლიტმასობრივი მუშაობა საქართველოს ქალთა შორის 1921—1929 წწ.

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1972

9(С41)
З966

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრომში ნაჩვენებია საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მშრომელ ქალთა შორის პოლიტაღმზრდელობითი და მასობრივი მუშაობის ფორმები და მეთოდები. ხაზგასმულია საქართველოს კომუნისტური პარტიის როლი ქალთა სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის საქმეში.

ინვ. 2000

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

1—6—4

169—72 ადგ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვა

საქართველოს მშრომელი ქალები, როგორც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები, კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ისტორიამ ნათლად დაადასტურა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თვალსაზრისის სისწორე იმის შესახებ, რომ კომუნიზმის აშენება ქალთა ფართო და უშუალო მონაწილეობის გარეშე არ შეიძლება.

ვ. ი. ლენინი, იხილავდა რა სოციალისტურ მშენებლობაში ქალთა მონაწილეობის საკითხს, ხაზს უსვამდა, რომ ეს საქმე მხოლოდ მაშინ შეიძლება წინ წავწიოთ, როცა მთელს რუსეთში ასეულ ქალთა ნაცვლად მასში მონაწილეობას მიიღებს მრავალი მილიონი ქალი[1].

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოციალისტური მშენებლობის დიდ წარმატებათა აღნიშვნისას ყოველთვის მიუთითებენ ამ მიღწევებში მშრომელ ქალთა დიდ დამსახურებაზე.

საბჭოთა ქალების შემოქმედებით შრომაზე, მათ ენერგიულ და შეგნებულ მონაწილეობაზე დიდად არის დამოკიდებული სოციალისტური ქვეყნის ყველა წარმატება, მისი წინსვლა, სიდიადე, ადამიანთა კეთილდღეობა. ისინი თავდადებით შრომობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა ფრონტზე, გადამწყვეტ როლს ასრულებენ თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის თავდადებული და საიმედო ახალი თაობის აღზრდაში.

ამჟამად კომუნიზმის მშენებელთა შორის იმყოფებიან შარავანდედით მოსილი საბჭოთა ქალები — ათასობით გმირი დედა, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, ხელოვანი, მშენებელი, დეპუტატი, შრომის გმირი, ექიმი, ოსტატი, ტრაქტორისტი, მეჩაიე და დიასახლისი. ოთხმოცდათერთმეტ ქალს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო სოციალისტური შრომის გმირისა — 3925 ქალს, მათ შორის საქართველოდან 384 ქალს. ჩვენს რესპუბლიკაში 2054 ქალი ატარებს

---

[1] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 27.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გმირი დედის საპატიო წოდებას, 190 ათასზე მეტი ქალი დაჯილდოვებულია „დედობის ორდენითა“ და მედლით.

სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელ ქალთა ჩაბმაში პარტიის ხელმძღვანელობით და დახმარებით დიდი როლი შეასრულეს პარტიულ ორგანოებთან არსებულმა ქალთა განყოფილებებმა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქალთა განყოფილებების მუშაობის გამოცდილების განზოგადებას, მათი მოღვაწეობის ფორმებისა და მეთოდების შესწავლას გარკვეული მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით იმ ქვეყნების მშრომელებისათვის, რომელთაც თავი დააღწიეს კოლონიურ ჩაგვრას და ეხლა ენერგიულად იბრძვიან სოციალიზმისათვის.

ქალი თანამედროვე საზოგადოების პროგრესულ ძალას წარმოადგენს. იგი აქტიურად ეხმაურება მსოფლიოს ყველა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენას. ამასთანავე ქალის საზოგადოებრივი როლის ირგვლივ მსოფლიოში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. 1962 წლის მაისში ჟურნალ „პრობლემა მირა ი სოციალიზმას“ მიერ ჩატარებულმა აზრთა გაზიარებამ გვიჩვენა, რომ ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ქალის როლის ზრდის საკითხს[2]. საგულისხმოა, რომ ტრადიციული ყოველწლიური „მარქსისტული აზრის კვირეული, რომელიც საფრანგეთში მოეწყო 1965 წლის იანვარში, მთლიანად მიეძღვნა საზოგადოებაში ქალის როლს“[3], მის შემდგომ გაშლას.

ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობს უგულებელყოს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობა, ესწრაფვის მშრომელ ქალთა ყურადღება ჩამოაშოროს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას. ამ მიზნით იგი აყენებს ლოზუნგს: „ქალს — ქალური, კაცს—ადამიანური“.

საჭიროა ამ რეაქციული და უსუსური მტკიცების ყოველმხრივ მხილება. საბჭოთა კავშირის და მოძმე სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების შესწავლა საშუალებას გვაძლევს ფარდა ჩამოვხადოთ ბურჟუაზიულ „თეორიებს“ და ამასთან პროგრესულ საზოგადოებას ვურჩიოთ მშრომელ ქალთა აღზრდის სწორი გზები, — აიცილონ შეცდომები, რომლებიც იწვევენ სოციალური პროგრესისათვის პროლეტარიატის საერთო ბრძოლისაგან ქალთა მოძრაობის მოწყვეტას.

---

2 Роль женщины в современном обществе, Материалы обмена мнениями, Прага, 1963, გვ. 266.

3 ჟურ. «Коммунист», I, № 4, 1965, გვ. 55, ციტირებულია სტატიიდან „Женщина и коммунизм“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალთა განთავისუფლებისა და სოციალისტურ მშენებლობაში მათი ჩაბმისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილებაშემოწმებულია ისტორიის მიერ და იგი მაგალითია დემოკრატიული და განვითარებადი ქვეყნების ხალხებისათვის, რომლებიც ინტერესით სწავლობენ საბჭოთა ხალხის ბრძოლის წარსულს. ამ მხრივ, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნებოდა, აგრეთვე, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის შესწავლა ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე, საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე ქალთა გამოყვანისა და სოციალისტურ მშენებლობაში მათი ფართო ჩაბმის სფეროში. მაგრამ დღემდე ეს საკითხი, სამწუხაროდ, მონოგრაფიულად შეუსწავლელია და ამიტომ ასახული არ არის სამეცნიერო ლიტერატურაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამოქვეყნებულ 2 ნაშრომს — ქ. ანთიძის „ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში" (თბილისი, 1955) და ა. ართილაყვას „საქართველოს მშრომელი ქალები საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში" (თბილისი, 1961). ქ. ანთიძის ნაშრომის პირველი თავი მიმოხილვითი ხასიათისაა და მოკლედ აშუქებს სოციალისტურ მშენებლობაში ქალთა მონაწილეობას, ხოლო ა. ართილაყვა განიხილავს საქართველოს მშრომელი ქალის რევოლუციურ წარსულს — საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ის შრომები, რომლებშიც მოკლედ, მაგრამ მაინც მოცემულია საქართველოში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის პერიოდში მშრომელ ქალთა პოლიტიკური აღზრდისა და სოციალისტურ მშენებლობაში მათი ჩაბმის რიგი მნიშვნელოვანი საკითხები[4], კერძოდ: საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა განყოფილების მუშაობის ფორმები, ქალთა მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ეროვნული უმცირესობის ქალთა შორის მუშაობა, საქართველოს მრეწველობაში ქალთა ჩაბმის საკითხი და სხვა.

1921—1929 წლები საბჭოთა საქართველოს ხალხისათვის, ისევე

---

4 იხ. ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბილისი, 1956; ა. ირემაძე, ბრძოლას ლენინი წარმართავდა, თბილისი, 1968; ს. ჯორბენაძე, საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბილისი, 1957; ლ. თოიძე, ბრძოლა საბჭოების შექმნისა და განმტკიცებისათვის საქართველოში, საკანდიდატო დისერტაცია; ა. ციციაშვილი, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ღონის ამაღლებისათვის (1921—1929), საკანდიდატო დისერტაცია; ლ. ბარამია, საქართველოს მუშათა კლასი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში (1926—1932), თბილისი, 1965.

როგორც მთელი საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებისათვისაც, მნიშვნელოვანი ეტაპია. მნიშვნელოვანია იგი, აგრეთვე, საბჭოთა მშრომელი ქალებისათვის, რადგან სახელდობრ ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა უმნიშვნელოვანეს ძვრებს ქალთა მასობრივ-პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამიტომაც ქალთა მოძრაობის ისტორიის ეს პერიოდი საჭიროებს შედარებით ვრცლად გამოკვლევასა და განზოგადებას.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივად შევსებას.

შრომის უმნიშვნელოვანეს წყაროებად გამოვიყენეთ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლების კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის შრომები, აგრეთვე, კომუნისტური პარტიის ყრილობების, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი.

ჩვენ ვისარგებლეთ, აგრეთვე, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეთა: ი. ბ. სტალინის, ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვის, მ. კალინინის, ვ. იაროსლავსკის, კ. ცეტკინის, ნ. კრუპსკაიას, ა. კოლონტაის, ი. არმანდის, ს. ნიკოლაევას, ფ. მახარაძის, მ. ცხაკაიას, მარიამ ორახელაშვილის შრომებით, რომლებშიც გაშუქებულია ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ქალთა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ნაშრომში გამოყენებულია სრულიად რუსეთის და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოების ოფიციალური დოკუმენტები, საქართველოს რევკომის დეკრეტები, პროფკავშირებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების ყრილობათა და კონფერენციების რეზოლუციები, ცენტრალური და ადგილობრივი პრესა, უმთავრესად კი პარტიულ და სახელმწიფო არქივებში დაცული დოკუმენტები.

წინამდებარე ნაშრომის მოცულობის შეზღუდულობის გამო ამჯერად მოუხერხებელი გახდა საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის სრულყოფილად ჩვენება ქალთა შორის მუშაობის ყველა სფეროში. მაგალითად: დედათა და ბავშვთა დაცვა, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ქალთა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის მუშაობა, ქალთა უმუშევრობასთან ბრძოლა და მრეწველობაში ქალთა ჩაბმის საკითხები. ეს საკითხები გაშუქებული იქნება ჩვენს სხვა შრომაში.

ყოველ საქმიან შენიშვნას ავტორი დიდი მადლობით მიიღებს და გაითვალისწინებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი I

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინისეული საქართველოს მშრომელ ქალთა პოლიტიკური და კულტურული აღზრდისათვის

1. საბჭოთა კანონმდებლობა და საქართველოს მშრომელ ქალთა უფლებრივი განთავისუფლებისათვის ბრძოლა

ლენინი გვასწავლის, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ქალთა უუფლებობის სოციალური მიზეზია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, სწორედ ამან ჩააყენა მშრომელები სიღატაკისა და დაჩირავებული მონის მდგომარეობაში, ხოლო ქალები — ორმაგი მონობის მდგომარეობაში[1].

ქვეყნის კულტურული დონე, როგორც ლენინი აღნიშნავდა, განისაზღვრება საზოგადოებასა და ოჯახში ქალის იურიდიული და ფაქტიური მდგომარეობით. ქალის დაჩაგრული და დამცირებული მდგომარეობა, მისი უუფლებობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოწმობს ბურჟუაზიული კულტურის დაცემულობასა და გახრწნას. ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ სიტყვით გამოაცხადა ადამიანების თანასწორობა სქესის, რელიგიის, რასისა და ეროვნების მიუხედავად, მაგრამ კაპიტალიზმს საქმით იგი არასოდეს არ განუხორციელებია. ლენინი წერდა: «შეუძლებელია იყოს, არ არის და არც იქნება ჩაგრულთა და მჩაგვრელთა, ექსპლოატირებულთა და ექსპლოატატორთა „თანასწორობა“[2]».

დედამიწის მოსახლეობის ნახევრის — ქალების ნამდვილი განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლით მშრომელ გლეხობასთან კავშირში და თვით ქალების აქტიური მონაწილეობით. ლენინი დაუნდობლად აკრიტიკებდა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებს, რომლებიც ჯეროვნად ვერ აფასებდნენ ქალის უდიდეს როლს პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლაში. საზოგადოებასა და ოჯახში ქალის თანასწორუფლებიანობის დამყარება ლენინმა დასახა როგორც მუშათა პარტიის საპროგრამო მოთხოვნა

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 28.

2 იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 126.

ისეთი მოთხოვნების გვერდით, როგორიცაა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადი თანასწორუფლებიანობის ბურჟუაზიულ ლოზუნგს ლენინმა დაუპირისპირა რევოლუციური ლოზუნგები: თავისუფლება ჩაგრულ სქესს, თავისუფლება დაჩაგრულ კლასს, თავისუფლება დაჩაგრულ ერებს.

ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოს მართვასა და პოლიტიკაში იმათ ჩაბმას, ვინც ყველაზე მეტად იყო დაჩაგრული, ვისაც ატყუებდნენ და ძარცვავდნენ კაპიტალიზმის დროს.

კაპიტალიზმის დროს მშრომელი ხალხის ჩაგვრა, მოტყუება, სახალხო დოვლათის მითვისება გარდუვალი იყო, რადგან მიწა, ფაბრიკა, ქარხანა წარმოადგენდა კერძო საკუთრებას. ამიტომ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა და სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემა მშრომელთა ხელში ლენინს მიაჩნდა სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების არსად.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილმა გამარჯვებამ საბოლოოდ მოსპო წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, ხალხს მიანიჭა თავისუფლება და ამით დასაბამი მისცა, აგრეთვე, ქალთა უფლებრივ განთავისუფლებას. ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ძალაუფლების აღებისთანავე პრაქტიკულად დაიწყეს ზრუნვა მამაკაცთან ქალის სრული გათანაბრებისათვის. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1917 წლის დამლევსა და 1918 წლის დამდეგს მთელი რიგი დეკრეტები გამოაქვეყნეს ქალთა უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობის განსამტკიცებლად.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი დეკრეტი იყო „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაცია“[3], რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „ყველაფერი ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი თავისუფლდება საძულველი ბორკილებისაგან“[4]. ამ სტრიქონებში იგულისხმებოდა, აგრეთვე, ქალთა განთავისუფლება.

1917 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული დეკრეტებით „განქორწინების შესახებ“[5] და „სამოქალაქო ქორწინების შესახებ“[6] გაუქმდა

---

[3] ეს დეკლარაცია საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო 1917 წლის 2 ნოემბერს (ძველი სტილით).

[4] Декреты Советской власти, т. 1, 1957, И., გვ. 39.

[5] Сборник узаконений и распоряжений рабочего и крестьянского правительства, № 10, 28 декабря, 1917, გვ. 150.

[6] Сборник узаконений и распоряжений рабочего и крестьянского правительства, № 11, 29 декабря, 1917, გვ. 161.

ქმრის ძველი პრივილეგიური მდგომარეობა და ცოლი უფლებებით გაუთანაბრდა ქმარს, ხოლო დეკრეტებით — „დედათა და ბავშვთა დაცვის შესახებ“, „მამაკაცთან ხელფასის გათანასწორების შესახებ“, „ბავშვთა და ქალთა შრომის დაცვის შესახებ“, „საზოგადოებრივი კვების კერების შექმნის შესახებ“[7] ქალი ეკონომიურად გაუთანაბრდა მამაკაცს და საშუალება მიეცა საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში ჩაბმულიყო.

1918 წელს რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობაზე მიღებულ პირველ კონსტიტუციაში ჩაწერილი იყო, რომ „უფლებით აირჩიოს და არჩეულ იქნას საბჭოებში, სარგებლობს დამოუკიდებლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 18 წელი“[8]. ესე იგი, საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონით, ქალმა მამაკაცთან ერთად მიიღო პოლიტიკური უფლებები.

საბჭოთა კანონმდებლობამ, რომელიც ვ. ი. ლენინის მითითებებს ემყარებოდა, რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე იურიდიული და ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცებით ქალი გაუთანაბრა მამაკაცს, რითაც გზა გაუხსნა მას ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისაკენ. „ჩვენმა კანონებმა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ისტორიაში პირველად ამოშალა ყოველივე ის, რაც ქალს უუფლებოს ხდიდა“[9].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ საფუძველი გამოაცალა სოციალურ, ეროვნულ ჩაგვრას და ქალის არათანასწორუფლებიანობას. ოქტომბრის რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი ქვეყნის სოციალური და ეროვნული ურთიერთობა, მან ღრმა ცვლილებები შეიტანა ადამიანების ურთიერთობაში, ყოფა-ცხოვრებასა და ტრადიციებში, წინათ ექსპლოატირებული მასების კულტურასა და იდეოლოგიაში.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე საქართველოს მშრომლები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით,

---

[7] Советская власть и раскрепощение женщин, сб. декретов и постановлений РСФСР, 1917, л. 9.

[8] Сборник узаконений и распоряжений рабочего и крестьянского правительства. Систематический сборник важнейших декретов, 1917—1922 г., 1920, გვ. 7.

[9] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 208.

შეუდგნენ რესპუბლიკის მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად, პარტია ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული საქართველოს კომუნისტების ტაქტიკის ძირითადი პრინციპებით[10]. ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება-განმტკიცება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ქართველ კომუნისტებზე, რომლებმაც უნდა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობა, თავიანთი რესპუბლიკის მდგომარეობის თავისებურებანი, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას[11].

დიდი ბელადი, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებდა ამიერკავკასიის მდგომარეობის თავისებურებათა გაგებაზე, საბჭოთა მშენებლობის რუსული ტაქტიკის არა შაბლონურ, არამედ მოფიქრებულ და მხარის კონკრეტულ პირობებთან შეფარდებით გამოყენებაზე. ვ. ი. ლენინი ითვალისწინებდა საქართველოს აგრარულ მდგომარეობას, სადაც მოსახლეობის ძირითად ნაწილს გლეხობა წარმოადგენდა, ეროვნებათა შორის ურთიერთობის სირთულეს და მოითხოვდა ამ ვითარების შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა შეუდგნენ მშრომელ ქალთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გაშლას. ეს მუშაობა მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი მოსახლეობის ეროვნული სიჭრელით, ხოლო, მეორე მხრივ, მძიმე მემკვიდრეობით, რაც მენშევიკებმა თავიანთი პოლიტიკის შედეგად დაუტოვეს საბჭოთა ხელისუფლებას.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ქალებთან დამოკიდებულების საკითხშიც მეტად მძიმე მემკვიდრეობა მიიღეს.

საქართველოს ქალები, მიჩვეულნი კარჩაკეტილ ცხოვრებას, წვრილმეურნეობრივ ოჯახურ საქმიანობას, აღზრდილნი სარწმუნოების დიდი გავლენით, შებორკილნი ძველი ადათ-წესებით, ადვილად ვერ

---

10 იხ. ვ. გ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები (1895—1924), თბილისი, 1960, გვ. 322—366.

11 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 397.

ელეოდნენ მათ ცხოვრებაში საუკუნეებით დამკვიდრებულ ტრადიციებს და პარტიის მიერ კულტურულ-პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობის გარეშე ვერ შეძლებდნენ ჩაბმულიყვნენ სოციალისტური მშენებლობის საერთო ფვრხულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, კულტურითა და განათლებით ქართველი ქალი გამოირჩეოდა ცარიზმის კოლონიური რეჟიმითა და რელიგიით დაბეჩავებული აღმოსავლეთის მშრომელი ქალისაგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გაშლა მაინც ბევრ სიძნელესთან იყო დაკავშირებული[12]. ამავე დროს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მუსულმანურ მოსახლეობაში და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში ჭარბობდა პატრიარქალურ-გვაროვნული და ფეოდალური ყოფის გადმონაშთები[13]. ეს კონტრასტები განსაკუთრებული სიძნელეების წინაშე აყენებდნენ საქართველოს კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას[14].

ვ. ი. ლენინის მითითებების საფუძველზე საბჭოთა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ადგილობრივ თავისებურებათა შესაბამისად გამოაქვეყნა ახალი კანონები ქალთა საკითხებზე. ამ კანონებით საქართველოს მშრომელ ქალებს უფლება მიენიჭათ მამაკაცების თანაბრად მონაწილეობა მიეღოთ რესპუბლიკის კულტურულ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო მუშაობაში.

1921 წელს საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულმა დეკრეტებმა და დადგენილებებმა[15] ბოლო მოუღეს ქალის უთანაბრო მდგომარეობას. ქალის მამაკაცთან პოლიტიკური გათანაბრება დააკანონა 1922 წლის 2 მარტს სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობის მიერ დამტკიცებულმა საქართველოს სსრ პირველმა კონსტიტუციამ[16].

---

12 საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის პარტიული არქივი, ფ. 64, აღწ. 2, საქ. 159, ფურც. 33 (შემდგომში მლიპა).

13 მუსულმანებში — მრავალცოლიანობა, მცირეწლოვანთა გათხოვება, ყალიმი (ქალის გამოსასყიდი); ხევსურებში — ბოსელში შობიარობა (სამრევლო); ებრაელებში — მცირეწლოვანთა გათხოვება, გამოსასყიდი და სხვა; ოსებში —მცირეწლოვანთა გათხოვება, მრავალცოლიანობა, ნიზახი (ქალის გამოსასყიდი); სვანებსა და მოხევებში — ურვადი (ქალის გამოსასყიდი).

14 მლისფპა, ფ. 17, აღწ. 67, საქმე 42, ფურც. 218.

15 საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 281, აღწ. 1, საქ. 15, 16, 17.

16 გ. ე რ ე მ ო ვ ი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები, თბილისი, 1960, გვ. 213.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული კანონებისა და ცალკეული კოდექსების საფუძველზე ქალს შეეძლო თავისი უფლებების გამოყენება. ეს კანონები ემსახურებოდნენ ქალთა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ სისტემატურ ბრძოლას. მაგალითად, „სამოქალაქო სამართლის კოდექსით“[17] ქალს შეეძლო აერჩია სამუშაო და პროფესია, შეეძინა და გაეცა ქონება, შეესრულებინა ყველა ის მოვალეობა, რომლებსაც ანიჭებდა კანონი[18].

საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ კანონებსა და დადგენილებებში „მიწის შესახებ“ გარკვეული ადგილი დაეთმო, აგრეთვე, ქალთა ინტერესების დაცვას. კერძოდ, გლეხქალს შეეძლო მამაკაცთან თანაბარი უფლებით ესარგებლა როგორც მიწით, ისე ქონების გაყოფისა და მეურნეობის უფროსობის საკითხებით[19].

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გამოცემული შრომის სამართლის კოდექსი და შრომის კანონთა შესწავლა გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კანონმდებლობა ქალის შრომის დაცვის პარალელურად ცდილობდა ისეთი პირობები შეექმნა მისთვის, რომ შრომა შეეთავსებინა დედობასთან და ამით უზრუნველეყო სოციალისტური საზოგადოებისათვის ჯანსაღი თაობის აღზრდა.

„შრომის კანონთა კოდექსი“[20] იცავდა ქალს მავნე წარმოებაში შრომისაგან, ღამით მუშაობისაგან, აძლევდა შვებულებით სარგებლობის უფლებას ფეხმძიმობის დროს, დროებით ათავისუფლებდა სამუშაოდან ბავშვის გამოსაკვებად. იგივე კოდექსი, მხოლოდ ქალთა უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით, შესაძლებლად ხდიდა, როგორც გამონაკლისს, ისიც შრომის ინსპექტორისა და სათანადო პროფკავშირის განსაკუთრებული ნებართვით, ქალთა შრომის გამოყენებას მავნე წარმოებებში[21].

1922 წლის 23 აგვისტოს გამოქვეყნდა დეკრეტი „დედისა და ბავ-

---

17 სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის № 51 დადგენილებით საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში „სამოქალაქო სამართლის კოდექსი“ მოქმედებაში შევიდა 1923 წლის 1 სექტემბრიდან.

18 სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბილისი, 1927, გვ. 4—25, 52—70, 416, 425.

19 მიწის შესახებ უმნიშვნელოვანეს კანონთა და განკარგულებათა კრებული, ტ. 1, 1935.

20 შრომის კანონთა კოდექსი, თბილისი, 1922, თავი XIII, მუხ. 129, 130, 132, 134.

21 შრომის კანონმდებლობა მოქმედი 1929 წლის პირველი აპრილისათვის, თბილისი, 1929, გვ. 639—650.

შვის“ დაცვის შესახებ[22]“. 1923 წლის 15 დეკემბერს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა № 12 დადგენილებით მშრომელ ქალებს ბავშვების მოსავლელად დახმარება დაუწესა[23]. ხოლო ამავე კომისარიატმა 1924 წლის 15 სექტემბერს დააკანონა ფიზიკურად და გონებრივად მომუშავე ქალთა განთავისუფლება სამუშაოდან მშობიარობამდე რვა კვირით ადრე[24].

საბჭოთა კანონმდებლობა არა მარტო იცავდა ქალის შრომისა და დედის უფლებას, არამედ ყველა პირობას ქმნიდა იმისათვის, რათა რაც შეიძლება მეტი ქალი ჩაბმულიყო საზოგადოებრივ შრომაში, ე. ი. აფართოებდა ქალთა შრომის გამოყენების სფეროს. ასე მაგალითად, ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი № 17 ცირკულარში ხაზს უსვამდა ქალთა ჩაბმის აუცილებლობას წარმოებაში კვალიფიკაციის წინასწარ ამაღლების გზით. შრომის სახალხო კომისარიატმა მიიღო გადაწყვეტილება, რათა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში გაეერთიანებინათ ახალგაზრდა ქალები და ასეთი სკოლები მოეწყოთ ისეთ წარმოებებში, სადაც დასაშვები იყო ქალთა შრომის გამოყენება[25].

შრომის ორგანოები პარალელურად ებრძოდნენ ქალთა უმუშევრობას, რისთვისაც აარსებდნენ სპეციალურად უმუშევარი ქალებისათვის არტელებსა და კოლექტივებს, სამკერვალოებს, საფეიქრო და სამრეცხაო არტელებს[26]. ამ კანონების პრაქტიკულად განხორციელებას ხელმძღვანელობდა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებული კომისია[27].

ზემოხსენებული დეკრეტების და კანონების მიღება მხოლოდ დაწყებითი ეტაპი იყო საკანონმდებლო მუშაობაში, რომელიც დაკავშირებული იყო ქალთა განთავისუფლებასთან, მომავალში მას განუწყვეტ-

---

22 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1922 წლის 23 აგვისტო.

23 კანონთა და განკარგულებათა კრებული, დადგენილება 71, მუხლი 232.

24 კანონთა და განკარგულებათა კრებული, დადგენილება 119, მუხლი 205.

25 შრომის კანონმდებლობა მოქმედი 1929 წ. პირველი აპრილისათვის, თბილისი, 1929, გვ. 635—650.

26 უმუშევარ ქალთა არტელებისა და კოლექტივების საქმიანობის შესახებ იხ. ქვეთავში „ქალთა ჩაბმა კოოპერაციაში“.

27 საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია შეიქმნა 1922 წლის 20 სექტემბერს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან არსებულ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების ინიციატივით. იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი (შემდგომში მლისფპა), ფონდი 14, აღწ. I, საქმე 1723, ფურც. 153.

ლივ აუმჯობესებდნენ, აზუსტებდნენ და ავრცელებდნენ ქალთა ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის 3 ივლისის დადგენილების საფუძველზე[28] საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ფართო ღონისძიებები დასახა ქალთა ფაქტიურად განთავისუფლების დაბრკოლებათა დასაძლევად და ერთდროულად გააძლიერა ბრძოლა წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ.

1928 წლის 29 იანვარს საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის მეორე მოწვევის მესამე სესიამ სისხლის სამართლის კოდექსში განსაკუთრებული დებულება შეიტანა გვაროვნული ყოფის ნაშთების წინააღმდეგ.

ამ კანონით სასტიკი სასჯელი წესდებოდა იმ პირთათვის, რომლებიც აიძულებდნენ ქალებს გათხოვილიყვნენ სურვილის გარეშე, ანდა გათხოვილიყვნენ კანონში აღნიშნული ასაკის შესრულებამდე. კანონით ისჯებოდა ქალის გაყიდვა, მოტაცება, მრავალცოლიანობა.

„ქორწინების, ოჯახისა და მეურვეობის შესახებ“[29] შემუშავებულ კანონმდებლობას ქალის მამაკაცთან ეკონომიურად გათანაბრების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის ძირითადი დებულებები ითვალისწინებდნენ ფაქტიური ქორწინების თანასწორობას რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებასთან, გაყრის აბსოლუტურ უფლებას და ალიმენტის უდავო უფლებას[30]. ყველა ეს უფლება საჭირო იყო ქალაქისა და სოფლის ქალთა ყველაზე სუსტი ფენების დასაცავად.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისათვის მთავარი იყო ამ კანონების პრაქტიკულად განხორციელება, რათა ქალს მოეპოვებინა თავისი ადგილი და როლი როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში.

საბჭოთა კანონმდებლობას მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, თუ იგი მთელი მშრომელი მასების ინიციატივისა და თვითმოქმედების საშუალებით ცოცხალ სინამდვილედ გადაიქცეოდა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქალთა განთავისუფლების საქმეში დიდი სიძნელეები შექმნეს დამხობილი ექსპლოატატორუ-

---

28 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3435, ფურც. 24.

29 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1922 წლის 21 იანვარი.

30 ახალი კოდექსი № 28 დეკრეტისაგან განსხვავებით უმთავრესად ყურადღებას აქცევდა მატერიალურ მხარეს, არკვევდა იმ უფლება-მოვალეობას, რასაც ქმნიდა საქორწინო და საოჯახო ურთიერთობა. კოდექსი დაამტკიცა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე მოწვევის მესამე სესიამ 1928 წლის იანვარში.

ლი კლასების ნაშთების წინააღმდეგობამ და მტრულად განწყობილი ელემენტების ანტისაბჭოთა აგიტაციამ, თითქოს კომუნისტები ფეხქვეშ თელავდნენ ეროვნულ კანონებსა და ხალხის ზნე-ჩვეულებებს. სინამდვილეში საბჭოთა კანონები, რომლებიც გამომდინარეობდნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკლარაციიდან, მიმართული იყო ხალხთა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის აღმოფხვრისაკენ. მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული ბარბაროსული კანონების საპირისპიროდ რევოლუციური კანონმდებლობა, პირველად მსოფლიოში ამყარებდა ახალ დამოკიდებულებას ქალისადმი, რასაც საფუძვლად ედო მათდამი ჰუმანურობა და პატივისცემა.

ამგვარად, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, არც ერთ სახელმწიფოსა და არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში კანონმდებლობას არ გაუკეთებია ქალისათვის იმის ნახევარიც კი, რაც გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ. „კანონმდებლობის სფეროში ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც მოგვეთხოვებოდა მამაკაცის მდგომარეობასთან ქალის მდგომარეობის გათანაბრებისათვის. და ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ ამით. მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ეს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ მხოლოდ დასაწყისია“[31].

საქართველოს მშრომელი ქალებისათვის საბჭოთა კანონმდებლობით მიღებული პოლიტიკური, ეკონომიური, იურიდიული და საზოგადოებრივი უფლებების ცხოვრებაში გატარება — აი ის მთავარი საბრძოლო ამოცანა, რომელიც დადგა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. საკანონმდებლო მუშაობა უნდა შეხამებულიყო მოსახლეობაში პარტიის დიდ ორგანიზატორულ, განმარტებით და აღმზრდელობით მუშაობასთან.

კომუნისტური პარტიის ამ ამოცანათა განხორციელებაში დიდი როლი შეასრულეს ქალთა განყოფილებებმა, რომლებიც შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებთან.

2. პარტიულ კომიტეტებთან არსებული ქალთა განყოფილებების მუშაობის ფორმები და მეთოდები

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე გადაუდებელ ამოცანად იდგა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა, მშრომელ-

---

31 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 30—31.

ია მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მეურნეობის სოციალისტური სისტემის შექმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის პერიოდში მუშათა კლასსა და გლეხობას ერთდროულად მოუხდა მთელ რიგ ურთულეს ისტორიულ ამოცანათა გადაჭრა.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის პერიოდში კომუნისტურ პარტიას უნდა შეექმნა ახალი სახელმწიფო, მოეხდინა ანტისაბჭოური ფრონტის ლიკვიდაცია და დაეძლია შინაპარტიული წინააღმდეგობანი.

ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანები, რომლებიც პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე იდგა, მეტად სერიოზული და ძნელი იყო. მისი წარმატებით გადაწყვეტა შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ მუშებისა და გლეხობის მილიონიანი არმიის შეგნებული შრომით, მათ შორის ქალთა შრომით. „საბჭოთა ხელისუფლება მიისწრაფის იმისაკენ, — ამბობდა ლენინი, — რომ ყველა მშრომელი არა მარტო პარტიული, არამედ უპარტიოც, არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას სამეურნეო მშენებლობაში“[32].

საქართველოს კომუნისტურ პარტიას კარგად ესმოდა, თუ რა როლი ენიჭებოდა მუშა და გლეხი ქალების მონაწილეობას სოციალისტური მშენებლობის წარმატების საქმეში; მას არ ავიწყდებოდა, რომ „ქალთა მასების ჩამორჩენილობა იყო რევოლუციის განვითარების უდიდესი მუხრუჭი“[33].

საბჭოთა კანონმდებლობის გამომუშავებასთან ერთად მშრომელ ქალთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და მასობრივი მუშაობა— აი ის პირობა, რომლის სწორად წარმართვაზე დიდად იყო დამოკიდებული მოსახლეობის ამ „მეორე ნახევრის“ მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში.

„სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — მხოლოდ მაშინ დაიწყება, როცა ჩვენ, მივაღწევთ რა ქალის სრულ თანასწორობას, შევუდგებით ახალ მუშაობას ამ წვრილმანი, დამაჩლუნგებელი, არამწარმოებლური მუშაობისაგან განთავისუფლებულ ქალთან ერთად“[34].

---

32 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ, 30, გვ. 35.

33 იხ. ჟურნ. „უწყებები“, № 3, 1922, 15 ივლისი.

34 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 32.

ასეთმა ვითარებამ მეტად სერიოზული ამოცანების წინაშე დააყენა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მშრომელ ქალთა განყოფილება[35], რომელიც 1921 წლის აპრილში ჩამოყალიბდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ქალთა განყოფილებამ მიზნად დაისახა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ მუშა და გლეხქალთა აქტივისტების შეკრება. ეს იქნებოდა ბირთვი, რომლის საშუალებითაც პარტია შეძლებდა მშრომელ ქალებთან კონტაქტების დამყარებას და დაეხმარებოდა მათ კარჩაკეტილი ცხოვრებიდან საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყვნენ.

პარტიის მითითებათა საფუძველზე 1921 წლის მაისში ქ. თბილისში მოიწვიეს სრულიად საქართველოს უპარტიო ქალთა I ყრილობა[36]. ამ ყრილობის მოწვევა დიდმნიშვნელოვანი ფაქტი იყო როგორც ქალთა, ისე, საერთოდ, საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში. ეს იყო პარტიის პირველი ცდა, პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ქალთა გათვითცნობიერების, შეკავშირების და დარაზმვის მიზნით.

ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ქალთა განყოფილებამ დიდი ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარა ყრილობის მოსამზადებლად: მიავლინა ინსტრუქტორები საქართველოს თითქმის ყველა უმთავრეს მაზრასა და რაიონში, სადაც კონფერენციებმა და კრებებმა აირჩიეს ქალთა პირველი ყრილობის დელეგატები.

რესპუბლიკური პრესა ფართოდ ეხმაურებოდა ამ ღონისძიებას. ცენტრალური გაზეთები: „კომუნისტი“ და «Правда Грузии« ხშირად აქვეყნებდნენ მასალებს სამაზრო და რაიონული კონფერენციების შედეგებზე, ხოლო 1921 წლის 17 მაისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სპეციალური წერილი ქალთა I ყრილობის მიზნებსა და მნიშვნელობაზე.

კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობდა ყრილობის ორგანიზაციას, ერთი წუთითაც არ ივიწყებდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან სამი თვის თავზე მშრომელ ქალთა პირველი შეკრება მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მოვლენა იყო და ამიტომ რაც შეიძლება მომზადებულად და პოლიტიკურად მაღალ დონეზე უნდა ჩაეტარებიათ იგი. საბჭოთა ხელისუფლების მტრები ჯერ კიდევ ვერ ისვენებდნენ, ბოროტი განზრახვით აფათურებ-

---

35 საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მშრომელ ქალთა განყოფილება (შემდგომში ქალთა ცენტრალური განყოფილება).

36 იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1921 წლის 20 მაისი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ ხელებს მშრომელთა საქმეში და ყოველნაირად ცდილობ-
დნენ ხელი შეეშალათ ყრილობის ნორმალური მსვლელობისა.

1921 წლის 20 მაისს ყრილობის თითქმის ყველა დელეგატი უკ-
ლებლივ ჩამოვიდა თბილისში. თბილისის სადგური საზეიმოდ მორ-
თული შეეგება დელეგატებს, ტრამვაებიც კი, რომლითაც ქალები წმინ-
და ნინოს სასწავლებლამდე გადაჰყავდათ, ლოზუნგებითა და დროშე-
ბით იყო მორთული[37].

აღსანიშნავია, რომ საორგანიზაციო კომიტეტის გეგმის მიხედვით
დელეგატები პირველ დღესვე ეწვივნენ საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმს[38]. დელეგატთა უმრავლესობამ ამ დაწესებულების არსებო-
ბაც კი არ იცოდა. ამ დროისათვის მუზეუმში გამოფენები ღაშლილი
იყო, კოლექციები ფონდებში შენახული. მუზეუმის თანამშრომლები
ემზადებოდნენ ახალი ექსპოზიციისათვის. მიუხედავად ამისა, დელე-
გატთა ინტერესი უსაზღვროდ დიდი იყო. განსაკუთრებით ისინი
დააინტერესა ეთნოგრაფიისა და ზოოლოგიის განყოფილებებმა: მუ-
ზეუმის თანამშრომლები გულდასმით უხსნიდნენ ყოველ წვრილმანს
და დელეგატები აღტაცებულნი უსმენდნენ მათ.

სახელმწიფო მუზეუმში დელეგატების მისვლა შემთხვევითი როდი
იყო. პარტია და რევოლუციური მთავრობა ცდილობდა, რათა მეცნიე-
რულ და კულტურულ დაწესებულებათა კარები ფართოდ გაეხსნა
მშრომელი მასებისათვის. ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია
იმითაც, რომ ჩვეულებრივ მშრომელ ქართველ ქალს საშუალება მიე-
ცა გაცნობოდა საკუთარი ერის, საკუთარი ქვეყნის ისტორიასა და მატე-
რიალურ კულტურას.

1921 წლის 21 მაისს „წმინდა ნინოს" სახელობის დარბაზში, ერ-
მოლოვის ქუჩაზე[39], გაიხსნა სრულიად საქართველოს მშრომელ ქალთა
I ყრილობა, რომელმაც საქმით განამტკიცა მშრომელ ქალთა განთავი-
სუფლება.

ეს დღე უტყუარი საბუთია იმისა, რომ კაპიტალისტური წყობილე-
ბის დანგრევა ბორკილებისაგან ათავისუფლებს არა მარტო პროლე-
ტარიატს, როგორც კლასს, არა მარტო ერს დაუძლურებულს, დაჩაგ-
რულს, არა მარტო შრომას დატყვევებულს, არამედ მათთან ერთად ორ-
გვარ მონობაში მყოფ ქალსაც, მთლიანად აღებულს, როგორც განუყო-
ფელ ნაწილს კაცობრიობისას[40].

---

37 იხ. გაზეთი «Правда грузии», 1921, 22 მაისი.

38 იქვე.

39 დღევანდელი შ. ჩიტაძის ქუჩა (41-ე საშუალო სკოლის დარბაზი).

40 იხ. გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 21 მაისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყრილობაზე წარმოდგენილ მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა სამ ძირითად მომენტზე:

პოლიტიკურზე, ქალთა უფლებრივ და ეკონომიურ მდგომარეობაზე და ქალთა შორის პრაქტიკული მუშაობის დაწყებაზე[41].

ყრილობის შემადგენლობა ინტერნაციონალური იყო. მას ესწრებოდა საქართველოში მცხოვრები ყველა ძირითადი ეროვნების წარმომადგენელი, აქედან 245 ქართველი, 77 სომეხი, 45 რუსი, 19 მუსულმანი (თურქი, აზერბაიჯანელი და სპარსი), 4 ბერძენი, 9 ოსი, 5 ებრაელი და 2 გერმანელი[42].

ყრილობის პირველი სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მშრომელ ქალთა განყოფილების გამგემ ლ. გასვიანმა. შესავალ სიტყვაში გასვიანმა ხაზი გაუსვა ყრილობის მიზანსა და ამოცანებს — საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ქალთა შეკავშირებისა და ქალთა განყოფილების გარშემო მათი დარაზმვის საქმეში. ყრილობამ აირჩია საპატიო პრეზიდიუმი ვ. ლენინის, ფ. მახარაძის, მ. ცხაკაიას, კ. ცეტკინისა და ნ. კოლონტაის შემადგენლობით[43]. საქმიანი პრეზიდიუმის, სამანდატო კომისიისა და სარედაქციო კოლეგიის არჩევის შემდეგ ყრილობა შეუდგა მუშაობას.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რევოლუციონერმა ქალებმა: ჯ. ხუტულაშვილმა, მ. ორახელაშვილმა, ლ. გასვიანმა, ნ. ალაჯალოვამ, ნ. ლომთათიძემ, ა. თალაკვაძემ, თ. ადამიძემ, მ. ოკუჯავამ და სხვებმა.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და სხვადასხვა დაწესებულებების პასუხისმგებელი მუშაკები დიდი ინტერესით შეხვდნენ ყრილობას. საზეიმო გახსნის დღეს ისინი მიესალმნენ ქალებს და მიულოცეს მათ საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გამოსვლა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომად-

---

41 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 155, ფურც. 33.

42 იქვე, ფ. 14, აღწ. I, საქ. 151, ფურც. 2.

43 იქვე, ფურც. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენელი ყრილობის დელეგატებს მიესალმა. მან აღნიშნა კომუნისტური პარტიის დიდი მისია ქალთა განთავისუფლების საქმეში, მისი ავანგარდული როლი რევოლუციაში, რომელიც ძალაუფლების აღების დღიდან გამოდიოდა მშრომელი ქალის ინტერესების დამცველად[44].

საქართველოს რევკომის სახელით გამოსულმა ფ. მახარაძემ ილაპარაკა უპარტიო ქალთა ყრილობის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობაზე და მის როლზე საქართველოს ქალთა ცხოვრებაში[45].

თბილისის რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენელი ნასარიძე მტკიცე რწმენას გამოთქვამდა, რომ ახლო მომავალში საქართველოს მშრომელი ქალი მამაკაცის გვერდით დაიკავებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში მისთვის განკუთვნილ ადგილს. პოლიტგანათლების მთავარი სამმართველოს უფროსმა სანდრო ქურიძემ თავისი სიტყვა ლექსით დაამთავრა: „ერთად ვიაროთ ეკლიანი გზით, შრომის უღელი კვლავ ერთად ვწიოთ"[46].

აღსანიშნავია თერგის ოლქის მშრომელთა სახელით ა. დალნაიას გამოსვლა, რომელიც იმედს გამოთქვამდა, რომ კიდევ უფრო განმტკიცდებოდა კავკასიის ქალთა მეგობრობა[47].

ყრილობას მიესალმნენ მოსკოვის ქალთა განყოფილების გამგე ტროიცკაია, მეთერთმეტე არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ლისოვსკი, საქართველოს პროფკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნუცუბიძე, სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა განყოფილების გამგე ვარდანიანი, თურქული სექციის წარმომადგენელი იბრაგიმოვი და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ძნელაძე[48].

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სხვადასხვა მაზრებიდან და სოფლებიდან ჩამოსულ დელეგატ ქალთა გამოსვლები. ისინი ერთხმად აღიარებდნენ მენშევიკების ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად გამოწვეულ იმ უბედურებას, რაც საქართველოს მშრომლებს დაატყდათ თავს მათი ბატონობის პერიოდში. ხაზგასმით აღნიშნავდნენ საბჭოთა ხელისუფლების სამართლიან, ხალხის ინტერესების დამცველი პოლიტიკის სისწორეს, რომელმაც მოსპო არა მარტო ქალთა უუფლებობა, არამედ ეროვნული შუღლიც. მხოლოდ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით შეიძლებოდა საქართველოს ტერიტორიაზე მო-

---

44 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 151, ფურც. 2.

45 იქვე.

46 იქვე, საქმე 155, ფურც. 11.

47 იქვე, ფურც. 12.

48 იქვე, საქმე 151, ფურც. 4.

სახლე სხვადასხვა ეროვნების ქალთა შორის მეგობრობის, სიყვარულისა და მტკიცე ერთობის დამყარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოა კახეთიდან ჩამოსული გლეხი ქალის ბედიაშვილის გამოსვლა. იგი იმედოვნებდა, რომ ქართველი ქალი დიდ როლს ითამაშებდა სოციალიზმის მშენებლობაში[49]. საგულისხმოა, აგრეთვე, რაჭიდან ჩამოსული გლეხი ქალის, თვრამეტი შვილის დედის, გაგნიძის სიტყვა, რომელიც თხოვდა საბჭოთა მთავრობას დახმარებოდა გაღატაკებულ, დაბეჩავებულ გლეხებს[50]. გულწრფელობით და უშუალობით იყო გამსჭვალული სოფელ არპიდან (ბორჩალოს რაიონი) ჩამოსული თათარი ქალის ზეინაბ-ზეიდ გედის განცხადება: „ჩვენ დღეს შევიგენით, რომ ჩვენც ადამიანები ვართ, რომ სომეხს, ქართველს, თათარს, ყველას ერთი ჭირ-ვარამი გვაკავშირებს, საერთო მტრები გვყავს და ერთად უნდა ვიმუშაოთ“[51]. ტრიბუნიდან ჩამოსულ ზეინაბ-ზეიდ გედის ქალები ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ. სომეხმა ქალმა კარაპეტიანმა ილაპარაკა იმ ეროვნულ შუღლზე, რომელსაც მენშევიკები აღვივებდნენ სომეხ-თათართა შორის. „ახლა ყველაფერი შეიცვალა, საბჭოთა მთავრობა ესწრაფვის დაამყაროს ერთა მეგობრობა“[52].

ბერძენმა დელეგატმა ქალმა თეოფოლოპულომ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: როდესაც დავბრუნდები ჩემს ბნელ სოფელში, ვუამბობ ამხანაგებს, თუ რას გვაძლევს ჩვენ წითელი საქართველო[53].

თბილისის მუშა ქალთა სახელით გამოსულმა გიორგაძემ ყრილობის წინაშე საჯაროდ დადო ფიცი. მას სწამდა, რომ მუშა ქალები მამაკაცებთან ერთად დიდ როლს შეასრულებდნენ საქართველოში სოციალიზმის აშენების საქმეში[54].

ბათუმიდან ჩამოსული დელეგატი ქალი სმირნოვა მიუთითებდა ყრილობის ინტერნაციონალურ ხასიათზე: „ქართველი, რუსი, სომეხი და მუსულმანი ქალი ყრილობაზე ერთი ინტერესით, ერთი ხასიათით მოვიდა, ისინი საერთო მიზნებმა დააკავშირა“[55].

აღსანიშნავია, რომ ყრილობაზე გამოსული თითოეული დელეგატი ქალი ხაზს უსვამდა მისთვის ყველაზე საჭირბოროტო, მტკივნეულ საკითხს. დელეგატთა გამოსვლებში ერთმანეთში იყო გადახლართული

---

49 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 155, ფურც. 43.
50 იქვე, ფურც. 31.
51 იქვე, ფურც. 37.
52 იქვე, ფურც. 39.
53 იქვე, ფურც. 38.
54 იქვე, ფურც. 41.
55 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 153, ფურც. 73.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოპოვებული უფლებების განმტკიცების რწმენა და ახალი ცხოვრების მშენებლობაში ჩაბმის დიდი სურვილი.

ყრილობაზე გამოსული ორატორი ქალები დიდ აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ ქალთა სანუკვარი ოცნების განხორციელების, თავისუფლების მოპოვების გამო და მადლობას უძღვნიდნენ კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას.

„საბჭოთა მთავრობამ, — განაცხადა ერთმა გლეხმა ქალმა, — მართლაც გვიჩვენა, რომ იცავს მშრომელთა ინტერესებს. მენშევიკების ხელისუფლება ოთხ წელიწადს გაგრძელდა, მართალია ბევრს დაგვპირდა, მაგრამ არაფერი მოგვცა, საბჭოთა მთავრობამ კი, რომელიც სულ სამი თვეა არსებობს, უკვე დაგვიმტკიცა თუ ვის იცავს იგი“[56]. თავისუფალი ქალის ეს გულწრფელად წარმოთქმული სიტყვები პირველად ყრილობის ტრიბუნიდან გაისმა, შესანიშნავად გამოხატა რა საქართველოს მშრომელი ქალის განწყობილება.

დარბაზის ერთ კუთხეში დელეგატთა მცირე ჯგუფი ცდილობდა ხელი შეეშალა ყრილობის ნორმალური მსვლელობისათვის. საბჭოთა საქართველოს მტრებს ჯერ კიდევ ფარ-ხმალი არ ჰქონდათ დაყრილი და აშკარა იყო მოინდომებდნენ ამ დიდი ღონისძიების ჩაშლას, მაგრამ ყრილობის დელეგატებმა გამოიჩინეს რევოლუციური სიფხიზლე და საეჭვო ელემენტები გააძევეს დარბაზიდან.

ქალებმა გულდასმით მოისმინეს მთავრობის თავმჯდომარის ფ. მახარაძის მოხსენება მიმდინარე ამბების შესახებ. მომხსენებელმა დაწვრილებით გააშუქა საბჭოთა საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა, დელეგატებს გააცნო საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის წინაშე მდგარი უახლესი ამოცანები, ილაპარაკა ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნაში ქალთა მონაწილეობის აუცილებლობაზე, იმ როლზე, რომლის შესრულებაც შეუძლია მშრომელ ქალს სახალხო მეურნეობის აღდგენის დროს. ამ საკითხზე ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: საქართველოს მშრომელი ქალი, თავი დააღწია რა კაპიტალისტური მონობის ბორკილს, დღეიდან მუშასთან და გლეხთან ხელიხელჩაკიდებული წავა საბჭოთა აღმშენებლობის გზით, ახალი ცხოვრებისაკენ[57].

ყრილობამ მოისმინა მოხსენება „რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ ქალს“, რომელშიც განხილული იყო საბჭოთა საქართველოს რევოლუციური ბრძოლით განთავისუფლებული ქალის როგორც პოლიტიკური, ისე იურიდიული მდგომარეობა. მომხსენებელმა კონკრეტული

---

56 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 153, ფურც. 73.

57 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 11 ივნისი.

ფაქტებით დაადასტურა ის ღონისძიებები, რომელსაც ახორციელებდ-ნენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ქალთა მატერიალური, უფლებრივი და კულტურული მდგომარეობის გარდაქმნისათვის. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: საქართველოს მშრომელი ქალები გადაიქცნენ მსოფლიოს მშრომელთა რევოლუციური ოჯახის სრულუფლებიან წევრებად[58].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელეგატებში დიდი და ცხოველი ინტერესი გამოიწვია „დედათა და ბავშვთა დაცვის“ შესახებ მარიამ ორახელაშვილის მოხსენებამ. მომხსენებელმა ვრცლად გააშუქა ქალის როლი სოციალისტურ მშენებლობაში. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ქალი უფლებრივად გაუთანასწორა მამაკაცს და დააჩქარა ქალის გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ქალს, როგორც დედა მშობელს და დედა აღმზრდელს, მომავალი თაობის აღზრდის სადავეები კვლავ ხელში რჩებოდა.

მომხსენებელმა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა განყოფილების წინაშე დასახა პრაქტიკული ამოცანები— მოეწყოთ და გაეფართოებინათ საბავშვო ბაგებისა და ბაღების, უპატრონო ბავშვთა სახლების, საავადმყოფოებისა და ქალთა კონსულტაციების ქსელი, რაც საგრძნობლად შეუმსუბუქებდა ქალს შრომას და მისცემდა მას საშუალებას თავისი შრომითი წვლილი შეეტანა ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნაში[59].

მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა განყოფილების გამგის ლ. გასვიანის გამოსვლა საკითხზე — „მუშა ქალის საერთაშორისო მოძრაობა და III კომუნისტური ინტერნაციონალი“. მან მოკლედ დაახასიათა ქალთა საერთაშორისო მოძრაობა. ილაპარაკა III კომუნისტური ინტერნაციონალის როლზე ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში და ქალთა განყოფილების წინაშე წამოჭრილ უახლოეს ამოცანებზე[60]. გასვიანმა ყურადღება გაამახვილა ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, პოლიტიკური ცოდნის გაღრმავების და კულტურული გათვითცნობიერების საკითხებზე. დღის წესრიგში დააყენა რესპუბლიკის ქალაქებსა და მაზრებში პარტიულ კომიტეტებთან ქალთა განყოფილებების შექმნის აუცილებლობა, რომელნიც წარმართავდნენ ადგილებზე ქალთა შორის მთელ მუშაობას და დარაზმავდნენ მშრომელ ქალებს შემდგომში სოციალისტურ მშენებლობაში ჩასაბმელად.

---

58 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 158.

59 იხ. გაზეთი «Правда Грузии», № 75, 1921 წ., 7 ივნისი.

60 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 155, აღწ. I, ფურც. 154.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელეგატებმა მოიწონეს ა. დალნაიას მოხსენება — „ქალთა მუშაობის ისტორია აღმოსავლეთში“ და მოწოდებით მიმართეს აღმოსავლეთის ყველა ქალს. მოწოდება, რომელიც საბრძოლო სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, მთავრდებოდა ასე: „ძირს ყველა ბორკილი, რომელმაც ხელფეხი შეგიბოჭათ, ძირს ჩადრი, ჩვენი მონობის სასირცხვილო მოვლენა, ძირს გაუნათლებლობა, სიბნელე, ცრუმორწმუნეობა, წინ ჩვენთან ერთად საკუთარი თავისუფლებისათვის დიადი ბრძოლისაკენ“[61].

ამრიგად, მოხსენებებში წინ წამოწეული იყო ქალთა შორის მუშაობის პრაქტიკული ამოცანები, რომელთა განხორციელების ბაზაზე მშრომელი ქალი შეძლებდა გამხდარიყო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი და შეუფერხებლად ჩაბმულიყო სოციალისტური მშენებლობის ფერხულში.

დასასრულს, ყრილობამ მისალმებანი გაუგზავნა III კომუნისტურ ინტერნაციონალს, ქალთა საერთაშორისო კავშირს, მოსკოვის მშრომელ ქალებს და პროლეტარიატის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს. მისალმებებში აღნიშნული იყო: „ყრილობა დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს რევოლუციური მუშაობა რევოლუციურ ლამპარს დაანთებს აღმოსავლეთში, რომლის ცეცხლიც მოსპობს მთელი ქვეყნის კაპიტალიზმის საზიზღარ მონობას“[62].

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლებმა: ს. კიროვმა, ა. ნაზარეტიანმა, ფ. მახარაძემ, შ. ელიავამ, მ. ორახელაშვილმა და სხვ. ს. კიროვმა გულთბილი სიტყვებით მიმართა დელეგატ ქალებს, რომელშიც ქალთა განთავისუფლების მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია განხილული[63]. იგი შესანიშნავად სახავს მომავალს, სადაც ამაყი, განათლებული, მშრომელი ქალი გვევლინება მომავალი ნორჩი თაობის აღმზრდელად და კომუნიზმის აქტიურ მშენებლად.

ამრიგად, სრულიად საქართველოს ქალთა პირველი ყრილობით გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი მშრომელ ქალთა დაკავში-

---

61 გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 23 ივნისი.

62 გაზ. «Правда Грузии», 1921 წლის 21 ივნისი.

63 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქმე 155, ფურც. 176—178.

(ს. მ. კიროვის ეს სიტყვა მიკვლეულია ავტორის მიერ 1968 წელს. იგი ამ ხნის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა. სიტყვა სტენოგრამის სახით გადმოქართულებულია კიკნაძის მიერ 1921 წლის 27 მაისს. რუსული ტექსტი დაცული არ არის).

სრული ტექსტი ჩვენს მიერ გამოქვეყნებულია, „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1970, № 16, გვ. 225—227.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებისა და გათვითცნობიერების მიზნით და რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ქალთა გაერთიანების მიზნით.

ყრილობის შემდეგ საქართველოს მაზრებიდან და რაიონებიდან მიღებული ცნობები მეტყველებენ ქალთა აქტივობის გაზრდაზე. ადგილებზე მუშაობის გამოცოცხლებას ხელი შეუწყო ყრილობიდან დაბრუნებული დელეგატების გამოსვლებმა ქალთა საერთო კრებებზე. საილუსტრაციოდ აქვე ვიმოწმებთ ერთ დოკუმენტს, რომელშიც ვკითხულობთ: „ბორჩალოს მაზრის დელეგატი ქალი უგულოდ მოდიოდა ყრილობაზე, რადგან მისი ამომრჩეველი საერთო კრება მტრულად უცქეროდა ამ ყრილობას. როდესაც უკან დაბრუნდა, მან მრავალრიცხოვან მიტინგზე განაცხადა: მე იქ მივდიოდი როგორც უპარტიო ქალი და დავბრუნდი ვით პარტიული. ჩვენ ეხლა უნდა ვიმუშაოთ და დავეხმაროთ იმ მთავრობას, რომელმაც ჩვენ გაგვანთავისუფლა“[64].

ყრილობის შემდეგ მშრომელი ქალები მართლაც გულმოდგინედ შეუდგნენ მუშაობას. ქალთა ცენტრალური განყოფილებისაგან ითხოვდნენ ინსტრუქტორებს დასახმარებლად, ითხოვდნენ, აგრეთვე, ინსტრუქციებს, ლიტერატურასა და სხვ. ქალთა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად განყოფილებამ დიდი მუშაობა ჩაატარა პირველ რიგში შორაპნის, თელავის, სიღნაღის, გორის, ლეჩხუმის, გურიის, ფოთის ბათუმის, ქუთაისის და რაჭის მაზრებში[65].

ქალთა ცენტრალური განყოფილება, პარტიის საერთო ამოცანების გათვალისწინების საფუძველზე, ადგილებზე მუშაობის გასაღრმავებლად იმუშავებდა ქალთა შორის მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს და ხელმძღვანელობდა, როგორც ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქებისა და ქალაქების, ასევე მაზრებისა და რაიონების ქალთა განყოფილებებს.

ქალთა შორის პარტიული ხელმძღვანელობის კონკრეტულ ამოცანებს აშუქებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი „უწყებები“, რომელშიც სისტემატურად ქვეყნდებოდა ცენტრალური კომიტეტის დირექტივები და პრაქტიკული ღონისძიებები. სამაზრო კომიტეტებისადმი მიმართულ ერთ-ერთ ცირკულარულ წერილში აღნიშნულია: „ამასთანავე გიგზავნით დებულებას სამაზრო პარტიულ კომიტეტებთან არსებულ ქალთა განყო-

---

64 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 153, ფურც. 112.
65 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 152, ფურც. 14.

ფილებების შესახებ. ქალთა განყოფილება საჭიროდ თვლის მოწვეულ იქნას ქალთა განყოფილებების გამგეთა თათბირი"[66].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულების თანახმად ადგილებზე ქალთა შორის მუშაობას ხელმძღვანელობდა პარტიული უჯრედის მიერ გამოყოფილი ქალორგანიზატორი. ქალორგანიზატორი განაგებდა ქალთა შორის ყოველდღიურ მუშაობას. ქალორგანიზატორების მუშაობას კონტროლს უწევდა და მიმართულებას აძლევდა ქალთა ადგილობრივი განყოფილების ინსტრუქტორი.

1921 წლის 16 სექტემბერს თბილისში შეკრებილ ქალთა განყოფილებების გამგეთა პირველ თათბირზე გამოირკვა, რომ ქალთა შორის მუშაობის გასაშლელად არ არსებობდა სათანადო პირობები. მაგალითად, თბილისის მაზრაში ქალთა შორის მუშაობა სუსტად მიმდინარეობდა, რაც კვალიფიციური კადრების სიმცირით იყო გამოწვეული[67].

აფხაზეთის მთაგორიანი მდებარეობა, აფხაზური და მეგრული ენის მცოდნე მომზადებული კადრების სიმცირე, ადგილობრივი ადათ-წესები და სხვ. ქალთა განყოფილებას უბიძგებდა ქალთა შორის ინდივიდუალური მეთოდებით მუშაობისაკენ. „ქალთა განყოფილების ინსტრუქტორი სოფელში ჩასვლისას იძულებული იყო პარტიის რომელიმე წევრის ოჯახს გაცნობოდა, შემდეგ აგიტაციის საშუალებით დაეინტერესებია დიასახლისი, გაეცნო მისთვის ჩამოსვლის მიზანი, ჩაება იგი მუშაობაში, მისი საშუალებით დაკავშირებოდა სოფლის ქალებს და გაეჩაღებია მათ შორის მუშაობა"[68].

ზემოაღნიშნული თათბირის მასალებიდან ირკვევა, რომ ქალთა შორის სათანადო მუშაობის გაშლას ხელს უშლიდა, პირველყოვლისა სათანადოდ მომზადებული კადრების სიმცირე, ქალების შეგნებაში ჯერ კიდევ ფესვგადგმული ადათ-წესები, ქალთა შორის მუშაობისადმი პარტიის წევრ მამაკაცთა არასწორი დამოკიდებულება და სხვ. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ორგანიზატორი ქალები თითქმის ყველა კუთხეში პირველ რიგში მუშაობას იწყებდნენ მამაკაცთა შორის. ქალთა განყოფილების მუშაობის ძირითად ცენტრად იქცა მამაკაცებთან მუშაობა. მამაკაცთა კრებებზე ქალთა განყოფილებების ამოცანების გაცნობა, ქალთა შორის მუშაობის გაშლის აუცილებლობის ახსნა და სხვ.[69].

საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილი მოხსენებით

---

66 ჟურნალი „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის „უწყებები", 1021, № 5, გვ. 4.

67 მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 154, ფურც. 103.

68 იქვე, საქ. 1051, ფურც. 164.

69 იქვე, ფურც. 105.

ბარათში ოზურგეთის მაზრის ქალთა განყოფილების გამგე აღნიშნავდა: „ამ მამაკაცები საერთოდ გულგრილად უყურებენ ქალთა საკითხს, პარტიის არც ერთი წევრი (შეგნებული თუ შეუგნებელი) ვალდებულს არ ხდის თავის ცოლს და დებს მონაწილეობა მიიღონ ქალთა შორის მუშაობაშიო[70].

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სათანადო დადგენილება მიიღო ამ საკითხთან დაკავშირებით. დადგენილებაში ნათქვამი იყო: ქალთა შორის მუშაობას, როგორც პოლიტსაგანმანათლებლო დარგში. ასევე საბჭოებსა და პროფკავშირში დიდად აბრკოლებს და აფერხებს ის ჩამორჩენილი შეხედულება ქალზე, რომელიც გამეფებულია არა მარტო მუშათა და გლეხთა ფართო მასებში, არამედ პარტიისა და პროფკავშირის მოწინავე და შეგნებულ წევრებშიც, ამ დრომოჭმულ და დახავსებულ შეხედულებას სასტიკი ბრძოლა უნდა გაუწიოს პარტიულმა და საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა[71].

ჩვენ მივუთითეთ ქალთა შორის მუშაობის ყველა ძირითად შემაფერხებელ მიზეზზე, რომელიც მსჯელობის საგნად იქცა ქალთა განყოფილებების გამგეთა პირველ თათბირზე. საქართველოს ქალთა ცენტრალურ განყოფილებას შემდგომ მუშაობაში დიდი დახმარება გაუწიეს რუსეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან და რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან არსებულმა ქალთა განყოფილებებმა.

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა განყოფილება, ხელმძღვანელობდა რა პარტიის XI ყრილობის დირექტივებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღმოსავლეთის ქალთა შორის მუშაობას. 1924 წლის 22 დეკემბერს საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე, ხოლო 1925 წელს რკპ(ბ) ცკ-ის იანვრის პლენუმზე განიხილეს და მიიღეს დადგენილება[72] აღმოსავლეთის მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის შემდგომი ვაშლის შესახებ.

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან შეიქმნა ქალთა განყოფილება, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის მრავალეროვან ქალთა პოლიტიკურ აღზრდასა და სოციალისტურ მშენებლობაში მათი ჩაბმის საქმეს.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ქალთა განყოფილების მიერ

---

70 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 154, ფურც. 192.

71 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 932, ფურც. 52.

72 სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში (შემდეგ — „სკკპ... რეზოლუციებში“). ნაწ. II, 1955, თბილისი, გვ. 151.

გაგზავნილ ცირკულარში ნათქვამი იყო: „მუშა ქალთა განყოფილება ეს ის აპარატია, რომლის საშუალებითაც პარტია ანხორციელებს დასახულ ამოცანებს ქალთა შორის მუშაობის დარგში, ამიტომ განყოფილებებმა ყველა საკითხში უნდა გაატარონ პარტიის საერთო ხაზი. პარტიის საერთო ამოცანების მიხედვით განყოფილებების მუშაობა ქალთა შორის მიზნად ისახავდა მშრომელ ქალთა კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, მათ ჩაბმას პარტიულ, საბჭოთა, პროფესიულ და კოოპერაციულ მშენებლობაში, აგრეთვე, მუშა და გლეხ-ქალთა შრომის პირობებისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას“[73].

რესპუბლიკებში ქალთა შორის მუშაობის სურათის გაცნობის მიზნით ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ქალთა განყოფილებამ მოიწვია ამიერკავკასიის რესპუბლიკების ქალთა განყოფილების გამგეთა თათბირი. თათბირის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ჩამოყალიბებულია ქალთა შორის მუშაობის ძირითადი ამოცანები: „კავკასიის ქალთა განყოფილების გამგეთა პირველი თათბირი ადგენს: კავკასიის მუშა ქალთა შორის მუშაობის აუცილებელ პირობად — ქალთა განყოფილების აპარატის გაძლიერებას, რათა ცნობილ იქნეს პარტკომების მიერ ქალთა შორის მუშაობა საერთო პარტიული მუშაობის ნაწილად, აგრეთვე, მომზადებულ იქნან მომუშავენი საინსტრუქტორო კურსებზე, სამაზრო განყოფილებების წრეებში და საერთოდ პარტიულ სკოლებში“[74].

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ქალთა განყოფილებამ ენერგიულად გააჩაღა ქალთა შორის მუშაობა, განსაკუთრებით ეს საგრძნობი იყო პოლიტიკური მუშაობის გაშლის მიმართულებით. ეს მუშაობა მეტად გაძლიერდა ამიერკავკასიის ქალთა პირველი ყრილობის მზადების პერიოდში. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის მშრომელი ქალები ემზადებოდნენ რა ამ ყრილობისათვის, თავიანთ საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე ყრილობის პირველ დელეგატად ასახელებდნენ პროლეტარული რევოლუციის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს.

1922 წლის 26 მაისს ბაქოში გაიხსნა ამიერკავკასიის მშრომელ ქალთა პირველი ყრილობა. ამ დროისათვის აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების ქალთა განყოფილებები უკვე 4000-მდე წევრს აერთიანებდა. ყრილობას ესწრებოდა მრავალი სტუმარი. მათ შორის: კომინტერნის ქალთა საერთაშორისო სამდივნოდან არბორე-როლე, რუსეთის ქალთა ცენტრალური განყოფილებიდან მაიოროვა და სხვები.

ყრილობის დელეგატთა უსაზღვრო აღფრთოვანება გამოიწვია

---

73 მლისფპა, ფ. 1, აღწ. 260, საქ. 72, ფურც. 709.

74 იქვე, ფურც. 81.

ვ. ი. ლენინის გულთბილმა დეპეშამ. ვლადიმერ ილიას ძე სწერდა: „მადლობელი ვარ არჩევისათვის, ავადმყოფობის გამო არ შემიძლია ჩამოსვლა. ულიანოვი-ლენინი“[75].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობას მიესალმენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მუსაბეკოვი, საერთაშორისო ქალთა სამდივნოს სახელით არბორე-როლე, რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მაიოროვა, აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების სახელით შაბანოვა-კარაევა, რომელმაც განაცხადა: „იყო დრო, როდესაც მუსულმან ქალს არ ჰქონდა უფლება ქუჩაში გამოსვლის, დღეს კი აზერბაიჯანელი ქალი სომეხ და ქართველ ქალებთან ერთად ცდილობს გაანთავისუფლოს მთელი აღმოსავლეთის ქალები, მშრომელ ქალთა ასეთი გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტური პარტიის და მისი გამარჯვების შედეგად“[76].

დელეგატებს მხურვალე სიტყვით მიმართა საქართველოს ქალთა ცენტრალური განყოფილების გამგემ ლიდა გასვიანმა: „იმ დროს, — განაცხადა მან, — როდესაც თქვენი რესპუბლიკების თავზე წითელი ალაში ფრიალებდა, ჩვენ ჯერ კიდევ მენშევიკების უღელი გვახრჩობდა. სამი წლის განმავლობაში ისინი არც კი განძრეულან ჩვენს დასახმარებლად, ისინი მხოლოდ ნაციონალურ შუღლს აღვივებდნენ, მაგრამ ქართველ ქალთა შორის მათ ეს ვერ შეძლეს“[77].

მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ ყრილობის დელეგატები, აგრეთვე, კლარა ცეტკინის მისალმებას, რომელშიც ვკითხულობთ: „აღმოსავლელო დებო! დასავლეთის მშრომელი ქალები მოგესალმებიან და გისურვებენ წარმატებებს მუშაობაში“[78].

მიმდინარე ამბების შესახებ ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ს. კიროვი, გენუის კონფერენციის შედეგების შესახებ — აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ნარიმან ნარიმანოვი, მშრომელი ქალის მორიგი ამოცანების შესახებ კი — ნ. მაიოროვა.

ამიერკავკასიის ქალთა ეს ყრილობა იმის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენდა, რომ მშრომელმა ქალებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, თავი დააღწიეს საუკუნეობრივ კარჩაკეტილობას და მტკიცედ დაადგნენ ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის გზას — კომუნიზმის დიად გზას.

---

75 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალის პარტიული არქივი (შემდგომში მლიაფპა), ფ. 1, აღწ. 260, საქ. 72, ფურც. 703.

76 იქვე, ფურც. 10.

77 იქვე, ფურც. 9.

78 მლისფპა, ფ. I, აღწ. 260, საქ. 72, ფურც. 10.

პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან არსებული ქალთა განყოფილების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო ქალთა რესპუბლიკური განყოფილებების განმტკიცება, განყოფილებებზე პარტიულ ორგანიზაციათა დახმარების და ყურადღების გაძლიერება, რათა მკვეთრად გაუმჯობესებულიყო ქალთა შორის მრავალმხრივი მუშაობა. პარტიის სამხარეო კომიტეტი ქმედით დახმარებას უწევდა ქალთა განყოფილებას ამ მიმართულებითაც. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა პირველმა ყრილობამ, 1922 წ. თებერვალში ქ. თბილისში მოისმინა სამხარეო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგის ვ. ცეიტლინის მოხსენება. ვ. ცეიტლინი მოხსენებაში მოითხოვდა ქალთა შორის მუშაობის გასაშლელად ადგილებზე პარტიული კომიტეტებისაგან სისტემატური ხელმძღვანელობის გაძლიერებას, პოლიტსაგანმანათლებლო და საგიტაციო მუშაობის გაფართოებას. იგი მოითხოვდა შექმნილიყო სპეციალური ფონდი, ქალთა კლუბების, სახელოსნოების, არტელებისა და სხვათა მოსაწყობად.

ყრილობამ, ცეიტლინის მოხსენების საფუძველზე, მიღებულ დადგენილებაში ყურადღება გაამახვილა როგორც სამხარეო კომიტეტის ქალთა განყოფილების მუშაობის გაუმჯობესებაზე, ასევე ადგილებზე პარტორგანიზაციების ქმედით დახმარებაზე, რომლებსაც სისტემატური ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ ქალთა შორის მუშაობისათვის.

ამ დადგენილებათა საფუძველზე ქალთა განყოფილებებმა მშრომელ ქალთა ფართო ფენებში გააჩაღეს პროპაგანდისტული, საორგანიზაციო, პოლიტ-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობა.

* * *

ქალაქისა და სოფლის მშრომელ ქალთა პოლიტიკური აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენდა უპარტიო ქალთა კონფერენციები, რომელთა მუშაობას პარტია თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა.

„პრაქტიკამ ჩვენში, რევოლუციის მსვლელობაში, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, შექმნა ისეთი დაწესებულებები, როგორიც არის მუშათა და გლეხთა უპარტიო კონფერენციები, და ჩვენ ვცდილობთ ყოველნაირად შევუწყოთ მას ხელი, განვავითაროთ, გავაფართოოთ იგი, რათა თვალი ვადევნოთ მასების განწყობილებას, დავუახლოვდეთ მათ, დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნილებანი, დავაწინაუროთ მათგან საუკეთესო მუშაკები სახელმწიფო თანამდებობაზე და სხვა“[79].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ სი-

---

[79] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 41.

სტემატურად ეწყობოდა მუშა და გლეხქალთა კონფერენციები, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ქალთა განყოფილების წარმომადგენლები. ამ კონფერენციებს საქართველოს კომუნისტები იყენებდნენ, როგორც მშრომელთა შორის სააგიტაციო და ახსნა-განმარტებითი მუშაობის ერთ-ერთ ფორმას. კონფერენციებზე განხილული საკითხები მეტად მრავალფეროვანი იყო. საბჭოთა ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების გვერდით, უპარტიო კონფერენციები მსჯელობდნენ სოციალისტური მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებზე. ასე მაგალითად: თბილისის ქალთა განყოფილების მიერ ქალთა კონფერენციის მოწვევის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული განცხადებიდან ნათლად ჩანს, თუ რა ხასიათს ატარებდა აღნიშნული კონფერენცია, რომელსაც უნდა განეხილა შემდეგი საკითხები:

1. მიმდინარე მომენტი ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით და ქართველი მშრომელი ქალის მიზანი; 2. სოციალური აღზრდა და მშრომელი ქალის მონაწილეობა ამ დარგში; 3. საერთაშორისო სოლიდარობა და აღმოსავლეთის ქალი; 4. ქართველი მშრომელი ქალის მიზანი ახლო მომავალში[80].

კონფერენციების საშუალებით ქალთა განყოფილებები არღვევდნენ უპარტიო ქალთა მასების უმოქმედობას, პასივობას და აბამდნენ მათ პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების გარჩევაში. „კონფერენციებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ ძველი ქალური ტრადიციების აღმოფხვრას და მამაკაცთან სრული თანასწორობის გრძნობათა ჩანერგვას, — აღნიშნულია „კომუნისტის“ მოწინავეში. მან უნდა შეიტანოს მათში იმის შეგნება, რომ ქალი არაა უბრალო საგანი, რომელსაც როგორც სურს ისე მოეკიდება მამაკაცი, რომ ის არაა მხოლოდ ქალი, არამედ ის პირველ ყოვლისა ადამიანია და სარგებლობს იმავე უფლებებით, რითაც მამაკაცი, ამიტომ ქალსაც ისევე, როგორც მამაკაცს, უნდა აინტერესებდეს ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური აღმშენებლობა, ჩვენი გასაჭირი და ლხენა, უნდა შეჰქონდეს თავისი წვლილი ამ დღევანდელ ძნელ მუშაობაში. კონფერენციის დანიშნულება სწორედ ეს არის, მისი უმთავრესი მუშაობა სწორედ ეს იქნება“[81].

1921—1922 წლებში ქალთა შორის მუშაობა საქართველოში სათანადო სიმაღლეზე არ იდგა. ამის შესახებ მიუთითა რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც ორგბიუროს 1922 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით აუცილებლად ჩათვალა, რომ საქართველოს კომპარტიის

---

80 გაზ. „კომუნისტი“, № 8, 1922 წლის 11 იანვარი.

81 იქვე.

ცენტრალურ კომიტეტს მიეღო ზომები ქალთა განყოფილების აპარატის განსამტკიცებლად, ქალთა შორის სამუშაოდ პასუხისმგებელი კადრების ჩასაბმელად. ამავე დადგენილებაში ხაზგასმულია სოფლად გლეხქალთა შორის ფართო მუშაობის გაშლის აუცილებლობა. პარტიის მიერ სოფლად გლეხქალთა შორის მუშაობისადმი გამახვილებული ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება რესპუბლიკის აგრარული ხასიათით, სადაც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გლეხობა შეადგენდა.

ქალთა განყოფილებები, აღნიშნული დადგენილების შედეგად, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან გლეხქალთა შორის მუშაობას, რასაც პარტიის აღდგენითი პოლიტიკის გატარებისათვის დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ გლეხქალთა ჩამორჩენილობა და გაუნათლებლობა დიდად აფერხებდა მათ შორის მუშაობას. გლეხქალთა კონფერენციებმა და კრებებმა ხელი შეუწყვეს ქალთა გათვითცნობიერებას, მათ გამოფხიზლებას. ყოველივე ამან ქალებში გააღვიძა ინიციატივის უნარი. მაგალითად, ერთ-ერთ მაზრაში კონფერენციის ჩატარების შემდეგ გლეხი ქალები მივიდნენ სახალხო განათლების განყოფილებაში განცხადებით, რითაც ისინი თხოულობდნენ სოფლად ბავშვთა ბაღის გახსნას. საგულისხმოა ის, რომ მათ თვითონ მოძებნეს ბაღისათვის შესაფერი შენობა და შეარჩიეს ადამიანები, რომელნიც მატერიალურად დაეხმარენ სახალხო განათლების განყოფილებას ამ საქმეში[82].

აღსანიშნავია ისიც, რომ სამაზრო ქალთა კონფერენციის დელეგატები სოფლებში თვითონ ატარებდნენ კრებებს, სადაც გამოდიოდნენ მოხსენებებით კონფერენციებზე მოსმენილი საკითხების გარშემო.

რკპ(ბ) XII ყრილობამ, განსაზღვრა რა პარტიის უახლოესი პერიოდის პრაქტიკული ამოცანები, ერთ-ერთ ძირითად საკითხად დააყენა ქალაქის კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირება სოფელთან, მოწინავე მუშების მიერ სოფლებისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევით[83].

ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, სოფლად პარტიულ და საბჭოთა აპარატის განსამტკიცებლად ფართოდ გაიშალა მუშაობა. კადრების სიმცირის მიუხედავად საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ქალთა განყოფილებამ მოაწყო ქალაქის აქტივი ქალების მობილიზაცია სოფ-

---

82 მლისფპა, ფონდი 14, აღწ. I, საქ. 937, ფურც. 52.

83 გ. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის კომუნისტური პარტიის ბრძოლის ისტორიიდან, თბილისი, 1961, გვ. 165.

ლებში გლეხქალთა დასახმარებლად. ქალთა განყოფილების მუშაკები: ა. დალნაია, ლ. გასვიანი, თ. ადამიძე, ჯ. ხუტულაშვილი, მ. ორაბელაშვილი, თ. წულუკიძე, ნ. მახვილაძე და სხვები სხვა აქტივ ქალებთან ერთად მიდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა მაზრებში კონფერენციებისა და კრებების ჩასატარებლად, იწვევდნენ ადგილებზე კოლეგიებს, ნიშნავდნენ ორგანიზატორ ქალებს და ასწავლიდნენ მათ ქალთა შორის მუშაობას. „როგორც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომაზე (3.II. 1952 წ.) აღინიშნა, მობილიზებულთა დიდი ნაწილი სავსებით ამართლებდა პარტიის ნდობას“[84]. მაგალითად, 1923 წელს ქ. ჭიათურაში უპარტიო ქალთა კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა თბილისიდან წარგზავნილმა ანა გუტმანმა, რომელმაც განმარტა ქალთა კონფერენციების დანიშნულება[85].

ცენტრალური კომიტეტის განყოფილებიდან 1924 წელს ნოემბერში მივლინებულმა ორგანიზატორმა მუსულმანმა ქალმა ბორჩალოს მაზრაში ჩაატარა უპარტიო ქალთა 3 კონფერენცია. აღსანიშნავია, რომ კრებაზე მოსული ქალები თვითონ ირჩევდნენ მუშაობისათვის ხელმძღვანელს. ქალები თხოულობდნენ ბავშვებისათვის სკოლებს და მოზრდილთათვის წერა-კითხვის სწავლებას[86].

ძირითადად ამ კონფერენციების და კრებების მიზანი იყო ქალთა ფართო მასებისათვის მათი უფლება-მოვალეობის ახსნა-განმარტება, მათი როლი და ადგილის განსაზღვრა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

ქალთა შორის მუშაობის დროს პარტიული ორგანიზაციები იყენებდნენ, აგრეთვე, ქალთა საარაიონო და სამაზრო მიტინგებსა და ყრილობებს, რომელსაც ძირითადად აწყობდნენ რომელიმე სააგიტაციო-პოლიტიკურ კამპანიასთან დაკავშირებით. ყრილობებსა და მიტინგებზე ძირითადად იკითხებოდა მოხსენებები და ლექციები საერთო პოლიტიკურ, ქალთა მოძრაობის, საბჭოთა მშენებლობის, მიწის, სასურსათო და სამეურნეო საკითხებზე[87].

ყრილობებსა და მიტინგებზე აგიტატორები მშრომელ გლეხ ქალებს უმარტავდნენ რესპუბლიკის წინაშე მდგარ ამოცანებს და რაზმავდნენ მათ ამ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. ყრილობები და მიტინგები მშრომელ ქალებს მოუწოდებდნენ მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისაკენ, უსახავდნენ მუშაობის გაადვილების გზებს,

---

84 მლიცპა, ფ. 17, აღწ. 267, საქ. 158, ფურც. 9.

85 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 153, ფურც. 14.

86 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1924 წლის 17 ნოემბერი.

87 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 192, ფურც. 5.

ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და მტრებისა და მუქარებ-
ბის წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღებას.

მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს მტრებს არ ეძინათ. ისინი ვერ ურიგდებოდნენ პარტიის პოლიტიკას ქალთა საკითხში, არაფერს ზოგავდნენ რათა ჩაეშალათ ქალთა განყოფილებების მიერ გამლილი მუშაობა. ანტისაბჭოთა აგიტაციის შედეგად საგრძნობლად ფერხდებოდა ქალთა მოზიდვა კრებებზე, კონფერენციებზე და მიტინგებზე. ამ მხრივ საინტერესოა თბილისის მაზრის ქალთა განყოფილების გამგის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია: „ქალთა მოზიდვა კრებებსა და კონფერენციებზე დასაწყისში მეტად ჭირდა, ვინაიდან ქალები დაშინებულნი იყვნენ, რომ კომუნისტები მათ თითქოს აგროვებდნენ რუსეთში გასაგზავნად“[88].

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალთა ასეთ შეკრებებს დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ, აგრეთვე, მამაკაცებიც, რომელნიც ყველა ღონეს ხმარობდნენ ცოლები და შვილები არ გაეშვათ კრებებსა და მიტინგებზე. „ქალების საქმე ოჯახი და ბავშვებია“ — აცხადებდნენ ისინი.

ქალთა განყოფილებების მუშაკები ზოგჯერ მეტად კურიოზულ და საშიშ მდგომარეობაში ვარდებოდნენ. აი რა გვიამბო ბათუმის ქალთა განყოფილების ყოფილმა გამგემ ალვასი თალაკვაძემ: „1925 წელს აჭარკომის დავალებით გავემგზავრე ქედისა და ხულოს რაიონში ქალთა კრებების ჩასატარებლად. ეს რაიონები აჭარის ყველაზე ჩამორჩენილი რაიონები იყო. ჩადრმოხვეული ქალები ძირითადად ხოჯებისა და მოლების გავლენას ემორჩილებოდნენ. როდესაც სოფელ ძირქვაძეებში ავედი, გაგულისებულმა კაცებმა, რომელთაც არ სურდათ ქალების კრებაზე გამოშვება, ავი ძაღლები აუშვეს და სოფელში შესვლის საშუალება არ მომცეს. იძულებული ვიყავი ჯერ აჭარელ კაცთა შორის დამეწყო მოლაპარაკება, ამეხსნა მათთვის ჩასვლის მიზანი, ხოლო მათი დარწმუნების შემდეგ შევძელი კრების ჩატარება“[89].

ვინაიდან ქალთა შორის მუშაობა მიმდინარეობდა კლასთა ბრძოლის გამწვავების და ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთების წინააღმდეგობის პირობებში, ზემოთ დამოწმებული ფაქტები ერთეულებით როდი განისაზღვრებოდა. მიუხედავად მუშაობის მეტად რთული პირობებისა, პარტია გარკვეულ წარმატებებს აღწევდა ქალთა ფართო მასების სოციალისტური მშენებლობის ფერხულში ჩასაბმელად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა შო-

---

88 მლისფა, ფონდი 14, აღწ. I, საქ. 192, ფურც. 5.

89 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საბჭოთა საქართველოს ისტორიის დოკუმენტების ფონდი, დოკუმენტი № $\frac{1}{12-64}$.

რის მუშაობის განყოფილების ცნობით 1923 წლის ნოემბრიდან 1924 წლის ბოლომდე ჩატარდა უპარტიო ქალთა 40 სამაზრო-საარაიონო კონფერენცია და 2000 საერთო კრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათასობით ქალმა[90].

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპარტიო გლეხ ქალთა კონფერენციები, კრებები და მიტინგები უზრუნველყოფდნენ მშრომელთა ფართო ფენების ჩაბმას სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ხელს უწყობდნენ მასების პოლიტიკური აქტივობის შემდგომ აღმავლობას. ისინი წარმოადგენდნენ კომუნისტური პარტიისა და უპარტიოთა შორის ნდობის და კავშირის განმტკიცების საუკეთესო საშუალებას.

* * *

მშრომელ ქალთა კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და მათი სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმისათვის, კომუნისტური პარტიის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და გამართლებულ ფორმად იქცა სადელეგატო კრებები. სადელეგატო კრებები გვევლინებიან პირველად სკოლად, სადაც მუშა და გლეხი ქალები იღებდნენ პოლიტიკური ცოდნის მინიმუმს, სწავლობდნენ პრაქტიკულ მუშაობას საბჭოებში, პროფკავშირებში, კოოპერაციაში და ხდებოდნენ სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის შეგნებული მონაწილენი. „ქალთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა სადელეგატო კრებები“[91] — ვკითხულობთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში.

სადელეგატო კრებები იმ პოლიტიკური და პრაქტიკული კადრების სამჭედლოდ იქცა, რომელიც წლების მანძილზე აწრთობდა ათასობით მშრომელ ქალს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიურ მებრძოლად. სადელეგატო კრებების ინსტიტუტს საფუძველი ჩაუყარა, 1918 წ. ნოემბერში, რუსეთის მშრომელ ქალთა I ყრილობამ. „ქალთა სადელეგატო კრებები, — ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში, — პროლეტარიატის დიქტატურის ის მამოძრავებელი ღვედია, რომლის საშუალებითაც პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ უნდა შეძლონ ქალთა ფართო მასებთან მჭიდრო კავშირის დამყარება“[92].

---

90 ჟურნ. „უწყებები“ № 5, 1914, გვ. 148, 153, გაზ. „კომუნისტი“, № 234, 1924 წლის 1 ოქტომბერი; მლისფპა, ფ. 13, აღწ. I, საქმე 1701, ფურც. 5.

91 Очерки истории Коммунистической партии Грузии, 1963, Тбилиси, გვ. 58.

92 Первый Всероссийский съезд работниц и его резолюции, 1920, М., გვ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მშრომელ ქალთა განყოფილების შექმნასთან ერთად დღის წესრიგში დადგა სადელეგატო კრებების ჩამოყალიბებაც.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივების საფუძველზე, საქართველოს ქალთა ცენტრალური განყოფილება იწყებს მზადებას სადელეგატო კრებების არჩევნების ჩასატარებლად. სადირექტივო წერილში მითითებული იყო სადელეგატო კრებების დაკავშირება პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წინაშე მდგარ ამოცანებთან.

საქართველოს ქალთა ცენტრალურმა განყოფილებამ მიმართა ყველა საქალაქო და სამაზრო განყოფილებებს დაეწყოთ მუშაობა სადელეგატო კრებების სწორი ორგანიზაციისათვის[93].

მშრომელთა მასებში სააგიტაციო კამპანიას ადგილებზე წინ უძღოდა საქალაქო, სამაზრო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე, კონფერენციებზე, პარტორგანიზაციის საერთო კრებებზე, ბიუროს სხდომებზე. ქალთა სადელეგატო კრებების მნიშვნელობის ახსნა-განმარტება და ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების სადირექტივო წერილის — დელეგატთა კრებების სწორი ორგანიზაციის შესახებ — განხილვა[94].

საქართველოს ქალთა ცენტრალურმა განყოფილებამ სადელეგატო კრებები ჩამოაყალიბა ისეთ მსხვილ სამრეწველო ქალაქებში, როგორიც თბილისი და ბათუმია. ამ ქალაქების პროლეტარიატი ყოველთვის ითვლებოდა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ავანგარდად და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან პარტიის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა პირველ გამტარებლად, ამიტომ აქ მშრომელი ქალი პოლიტიკურად უფრო მომზადებული იყო, შედარებით სწრაფად ერკვეოდა შექმნილ სიტუაციაში და აქტიურად ებმებოდა სოციალისტურ მშენებლობაში. პარტიას შეეძლო დაყრდნობოდა თბილისისა და ბათუმის მშრომელ ქალებს და სადელეგატო კრებების საშუალებით უშუალოდ დაკავშირებოდა ქალთა ფართო მასას.

თბილისის პარტიის კომიტეტთან არსებულ მშრომელ ქალთა განყოფილების პირველ სხდომაზე 1921 წლის 6 მარტს, ქალთა განყოფილების ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად სადელეგატო კრებების მნიშვნელობისა და ორგანიზაციის საკითხიც იდგა[95]. თბილისის მასშ-

---

93 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 451, ფურც. 19.

94 იქვე, საქ. 486, ფურც. 17.

95 მლისფპა, ფ. 17, აღწ. I, საქ. 66, ფურც. 2.

ტაბით სადელეგატო კრებების არჩევნები ჩატარდა 19 მარტს[96], ხოლო 23 მარტს თბილისის მშრომელ ქალთა განყოფილებამ მოიწვია პირველი საერთო საქალაქო კრება, რომელსაც ესწრებოდა მსხვილი საწარმოებიდან, ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან არჩეული 150 დელეგატი ქალი[97].

ქ. ბათუმის ქალთა სადელეგატო კრების ოქმი დათარიღებულია 1921 წლის 13 ივლისით. ამ კრებას ესწრებოდა 55 დელეგატი ქალი. დელეგატები გაეცნენ სადელეგატო კრების მნიშვნელობასა და დელეგატთა მოვალეობას[98]. როგორც თბილისში, ასევე ბათუმში ძირითადად მუშაობა გაიშალა ფაბრიკა-ქარხნების მუშა ქალთა შორის და დელეგატთა რიცხვი 200 უდრიდა.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში სადელეგატო კრებების განვითარებაში სამ ეტაპს ვხვდებით.

პირველ ეტაპზე (1921—1924 წწ.) სადელეგატო კრებებს უყურებდნენ როგორც დაწყებითი პოლიტიკური განათლების სკოლას, რომლის საშუალებითაც პარტია მჭიდროდ უკავშირდებოდა უპარტიო მუშა და გლეხქალთა ფართო მასას[99].

იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული მასალები საფუძველს გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ სადელეგატო კრების სრული სურათი. პირველ ხანებში დელეგატ ქალთა მასას ემჩნეოდა ჩამორჩენილობა და მუშაობას შეუჩვევლობა. მოხსენებები იკითხებოდა პოლიტჯგუფების პროგრამით, მაგრამ მაისის თვიდან ქალთა განყოფილების დირექტივების თანახმად მოხსენებები იკითხებოდა საბჭოთა მშენებლობის შესახებ. დელეგატი ქალები ექსკურსიებისა და მოხსენებების წყალობით ეცნობოდნენ სახალხო განათლების, დედათა და ჩვილთა მფარველობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებს. „ყოველივე ამან ჩვენში ცოცხალი გამოძახილი ჰპოვა—ჩვენ უკვე არ ვიყავით წინანდებურად დაქუცმაცებული მასა, არა! ჩვენ შევისწავლეთ ლაპარაკი, აზრის გამოთქმა და თითოეულ მოვლენაზე შეგნებულად გამოხმაურება; სადელეგატო კრებებმა დაგვაახლოვეს უპარტიო მუშა ქალები კომუნისტურ პარტიას და განავითარეს ჩვენში შეგნება და აქტივობა“[100].

---

96 მლისფპა, ფ. 17, აღწ. I, საქ. 66, ფურც. 2, გვ. 3.

97 იქვე, გვ. 4.

98 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 150, ფურც. 3.

99 „სკკპ... რეზოლუციებში“, ნაწ. I, თბილისი, 1954, გვ. 943.

100 ჟურნ. „ჩვენი გზა“, № 4, 1923.

ამგვარად, სადელეგატო კრებების საშუალებით მშრომელ ქალთა ფართო მასას შესაძლებლობა ეძლეოდა მიეღო სახელმძღვანელობათა მინიმუმი სახელმწიფო სამეურნეო მშენებლობის, საბჭოთა სახელმწიფოს აგებულებისა და პარტიის როლის შესახებ[101].

პირველ წლებში იქ, სადაც კარგად არ ესმოდათ სადელეგატო კრებების მნიშვნელობა, იგი სისტემატურ ხასიათს არ ატარებდა. დელეგატებს ქალთა კრებებზე კი არ ირჩევდნენ, არამედ კრებდნენ მსურველთაგან. მიუხედავად ამისა, სადელეგატო კრებები მაინც ახდენდა გარკვეულ დადებით გავლენას ქალთა მნიშვნელოვან ნაწილზე. აღნიშნულის დასადასტურებლად მოგვყავს ერთი დელეგატი ქალის წერილი: „სრულიად შემთხვევით დავესწარი გორის უპარტიო ქალთა სადელეგატო კრებას, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, მეორედ დასწრებით კი სრულიად აღტაცებაში მომიყვანა იქ წაკითხულმა ამხანაგთა ლექციებმა, ყველანი გულმოდგინედ უსმენდნენ, შემდეგ აძლევდნენ შეკითხვებს. თვალნათლივ დავინახე, რომ თითოეულს იქ მყოფს უბრალოდ არ დაუკარგავს დრო კრებებზე სიარულით. ისე დავინტერესდი, რომ მას შემდეგ არცერთ კრებას არ დავკლებივარ“[102].

სადელეგატო კრებების სწორად წარმართვას აფერხებდა და ართულებდა საქართველოს რესპუბლიკის სპეციფიკურობა, ხელმძღვანელი კადრების სიმცირე, განსაზღვრული კონკრეტული პროგრამის უქონლობა, მშობლიურ ენაზე გამოცემული ლიტერატურის ნაკლებობა. მთავარი კი ისაა, რომ უმეტეს შემთხვევაში პირველ ეტაპზე ქალთა შორის მუშაობისადმი გაურკვეველი ნაწილის შეუგნებელი მიდგომა აფერხებდა სადელეგატო კრებების მუშაობას.

რკპ(ბ) მეთორმეტე ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია სადელეგატო კრებების შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული. რეზოლუციაში ხაზგასმულია გეგმაზომიერებისა და სისტემატიზაციის შეტანის აუცილებლობა.

საქართველოს ქალთა ცენტრალურმა განყოფილებამ რიგი ღონისძიებანი დასახა ამ მიმართებით. შეიმუშავა სპეციალური ინსტრუქცია სადელეგატო კრებების არჩევნების შესახებ, რომელშიც განხილული

---

101 სადელეგატო კრებები იყო ქალთა საკრებულოები. საკრებულოს ხელმძღვანელობას პარტია აკისრებდა აქტივისტ ქალებს (პედაგოგებს, ქალთა შორის მომუშავეებს, პარტმუშაკებს, შემდგომში კი სადელეგატო კრებების წარმატებით კურსდამთავრებულებს).

102 ჟურნ. „ჩვენი გზა“, № 1, 1923.

იყო წარმომადგენლობითი ნორმები, ასაკი, სოციალური შემადგენლობა, არჩევნების ვადები და სხვა[103].

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის მეთორმეტე ყრილობის რეზოლუციის საფუძველზე გაიზარდა სადელეგატო კრებების სასწავლო ვადები. სამი თვიდან ექვს თვემდე, ხოლო 1924 წლიდან ერთწლიან სწავლებაზე გადასვლამ უზრუნველყო სადელეგატო კრებებში იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის გაღრმავება და დელეგატებისათვის საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების პრაქტიკული მუშაობის სიახლეების დაუფლება.

სადელეგატო კრებები ყალიბდებოდა ქალაქებში მსხვილ და წვრილ საწარმოთა მუშა-მოსამსახურე ქალთა ბაზაზე, ხოლო მაზრებში, თემებსა და სოფლებში ღარიბ გლეხქალთა ბაზაზე.

დელეგატებს ირჩევდნენ მუშა ქალთა, მოსამსახურეთა და დიასახლისთა საერთო კრებებზე დადგენილი ნორმით და დადგენილი ვადებით[104]. 50 ქალიდან ირჩევდნენ ერთ დელეგატ ქალს. ამ წლებში პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა დელეგატთა რიცხობრივ ზრდას, ხოლო რაც შეეხება მათ თვისებრივ შემადგენლობას, მას ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

თბილისის პარტიულ კომიტეტთან არსებულმა ქალთა განყოფილებამ ინსტრუქტორები მიავლინა სხვადასხვა მაზრებში ქალთა კრებების ჩასატარებლად და დელეგატ ქალთა ასარჩევად[105], რის შედეგადაც სადელეგატო კრებების ქსელი გაფართოვდა და გავრცელდა საქართველოს თითქმის ყველა მაზრასა და რაიონში.

სადელეგატო კრებები თანდათან სისტემატურ ხასიათს იღებდა და მისი გავლენის სფერო დღითიდღე ფართოვდებოდა. დელეგატთა კრებების პირველი წლების მუშაობის შედეგები თვალნათლივ გამოიხატა მშრომელ ქალთა პოლიტიკური შეგნების ფრიად მნიშვნელოვან ზრდაში. მაგალითად, 1924 წელს, საქართველოში მენშევიკური ავანტურის მოწყობის დროს, დელეგატი ქალები თავგანწირვით იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, რისთვისაც მენშევიკები აპატიმრებდნენ მათ და სატუსაღოებში ათავსებდნენ[106].

სადელეგატო კრებების პირველი წლების მუშაობა შეაჯამა 1924 წლის 10 ოქტომბერს მოწვეულმა[107] საქართველოს დელეგატ ქალთა

---

103 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 486, ფურც. 15.

104 მლისფპა, ფ. 17, საქ. 296, ფურც. 6, 7, 8, 9, 10, 11.

105 იქვე.

106 იქვე, ფ. 14, აღწ. I, საქ. 1336.

107 გაზ. «Правда Грузии», 1924 წლის 10—12 ოქტომბერი.

I ყრილობამ. ყრილობამ განიხილა როგორც ცენტრალური, ასევე ოზურგეთის, თელავის, გორის, აჭარისა და აფხაზეთის ქალთა განყოფილებების სადელეგატო კრებების მუშაობის შედეგები. აღნიშნა მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებები[108].

პარტიის წინაშე სოფლის მეურნეობის აღდგენის ამოცანებთან დაკავშირებით დელეგატ ქალთა I ყრილობა განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას გლეხქალთა შორის მუშაობაზე. რადგან სოფლად ქალთა შორის მუშაობას აფერხებდა წარსულის გადმონაშთები, უმრავლესობის წერა-კითხვის უცოდინარობა და სხვ.

ყრილობის შემდეგ საქართველოს ქალთა ცენტრალური განყოფილება მოწოდებით მიმართავდა სხვადასხვა რაიონის ქალთა განყოფილებებს — „შევიჭრათ სოფლის გულში, გამოვაღვიძოთ ჩამორჩენილი გლეხი ქალი და მოვამზადოთ იგი კომუნისტურად“[109].

საქართველოში გლეხქალთა შორის მუშაობა უნდა გამლილიყო ძირითადად სადელეგატო კრებების საშუალებით, რომელნიც პირველ რიგში ეწყობოდა მაზრებსა და თემებში.

აღდგენითი პერიოდის ბოლო წლებში, როდესაც პარტია საფუძველს უყრიდა სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობას, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მუშათა კლასისა და გლეხობის მჭიდრო კავშირს, მასების პოლიტიკური შეგნების ზრდას, იდეოლოგიური მუშაობის ამაღლებისათვის ბრძოლას. ამ ამოცანათა შესასრულებლად რკპ(ბ) XIII ყრილობამ დღის წესრიგში დააყენა კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლება სოფლად. ყრილობა აღნიშნავდა, რომ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა სოფლად წარმოადგენს სოციალიზმის გამარჯვების საერთო ბრძოლის დროს გადამწყვეტ რგოლს. ყრილობა განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას გლეხქალთა შორის მუშაობის ხელმძღვანელობის გაძლიერებაზე და მიუთითებდა: „განემტკიცებინათ გლეხი ქალების სათემო დელეგატთა კრებების მუშაობა“[110].

ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე 1924 წ. დეკემბერში პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საორგანიზაციო ბიურომ და რუსეთის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ქალთა ცენტრალური განყოფილების მიერ 1925 წ. მოწვეულმა იანვრის თათბირმა დასახეს რიგი ღონისძიებანი, მიმართული გლეხქალთა კულტურულ-პოლიტიკური აღზრდის მთელი სისტემის გაუმჯობესების შესახებ. მაშა-

---

108 ამ დროს საქართველოში 1049743 გლეხი და 95299 გლეხი ქალი იყო. იხ. სტატისტიკური კრებული, 1903—1922 წწ., თბილისი, 1923, გვ. 12.

109 „სკკპ.. რეზოლუციებში“, ნაწილი II, გვ. 116.

110 იქვე.

სადამე, რკპ(ბ) მეცამეტე ყრილობა (1924 წ. მაისი, მოსკოვი) შემობრუნების პუნქტი იყო ქალთა შორის მუშაობის სფეროში საერთოდ, სადელეგატო კრებების მუშაობაში კერძოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტია დღის წესრიგში აყენებდა მუშა და გლეხქალთა ფართო ფენების პოლიტიკური და კულტურული აღზრდის პარალელურად გაეძლიერებინათ პარტიულ, პროფესიულ, კოოპერაციულ და სხვა ორგანიზაციების საქმიანობაში მათი პრაქტიკული მონაწილეობა[111].

სწორედ პარტიის მეცამეტე ყრილობის შემდეგ იწყება სადელეგატო კრებების განვითარების მეორე ეტაპი (1925—1929), როდესაც სადელეგატო კრებები გადაიქცნენ არა მარტო პოლიტიკური აღზრდის, არამედ კადრების პრაქტიკული მომზადების შესანიშნავ სკოლად. ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ნეპმანური ელემენტების ერთგვარი აქტივობის საპასუხოდ ქალთა განყოფილებებმა მუშაობა გააძლიერეს სადელეგატო კრებებში პროლეტარული ელემენტების გასამტკიცებლად, რათა პოლიტიკური და პრაქტიკული სკოლის გავლის შემდეგ თავისი გავლენა გაევრცელებინათ მშრომელ ქალთა დარჩენილ ფენებზე წვრილ საწარმოებში, კუსტარული არტელის მუშებზე და საშუალო გლეხის ქალებზე.

1925 წლის ივნისში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა სახელმძღვანელო დოკუმენტი „გლეხქალთა სადელეგატო კრებების დებულება", რომელშიც განსაზღვრული იყო სადელეგატო კრებების, როგორც მშრომელთა ფართო ფენებში კომუნისტური პარტიის გავლენის გამტარებლისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში მათი პრაქტიკულად დამკავშირებლის როლი და მნიშვნელობა.

ამ ახალი დოკუმენტის საფუძველზე სადელეგატო კრებები შეიძლება ჩამოყალიბებულიყო არა მარტო იმ სოფლებში, სადაც არსებობდა პარტიული უჯრედი, არამედ იქაც, სადაც სათემო ორგანიზაციებს საშუალება ჰქონდა ხელმძღვანელობა გაეწია მისი მუშაობისათვის ცალკეული კომუნისტების საშუალებით[112].

1925 წლიდან გლეხქალთა პოლიტიკური აღზრდა სადელეგატო კრებების საშუალებით მიმდინარეობდა ერთიანი გეგმით, პროგრამის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებდა ქალთა ცენტრალური განყოფილება. სადელეგატო კრებების პოლიტსაგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდებოდა მათ პრაქტიკულ საქმიანობას. პარტია განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას ქალთა პრაქტიკულ საქმიანო-

---

111 „სკკპ.... რეზოლუციებში", ნაწილი II, გვ. 116.

112 გლეხქალთა სადელეგატო კრებების სახელმძღვანელო დებულება. თბილისი, 1927, გვ. 11.

ნობაზე, რამაც გარკვეული წლების შემდეგ გამოიღო სათანადო ნაყოფი. დელეგატი ქალები მონაწილეობას იღებდნენ სასოფლო საბჭოების, კოოპერაციული კომიტეტების, ქოხსამკითხველოებისა და სასკოლო საბჭოების, სახალხო სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მუშაობაში. მაგალითად, თბილისის წინა მოწვევის დელეგატი ქალები ჩააბეს მუშურ-გლეხურ დეპუტატთა საბჭოების სექციების მუშაობაში[113]. საინტერესო სურათს იძლევა, აგრეთვე, დელეგატ ქალთა პრაქტიკული საქმიანობა სოფელ ბაკურციხეში: „წინათ თუ ქალთა მუშაობა საზოგადოებრივ პრაქტიკულ მუშაობაში მოისუსტებდა და მხოლოდ უბრალო საუბრების მოსმენით განისაზღვრებოდა, დღეს ქალები უკვე ჩაბმულნი არიან საზოგადოებრივ-პრაქტიკულ საქმიანობაში. საბჭოებში, კოოპერაციაში, ქოხ-სამკითხველოთა საბჭოებში და სხვა დაწესებულებათა მუშაობაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ბაკურციხის დელეგატი ქალები ერთსულოვნად გამოვიდნენ და იმუშავეს სურებ—ჩოხატაურის გზის მშენებლობაზე. დელეგატ ქალთა ამ მაგალითს მიბაძეს სხვა ქალებმაც და ამით დაამტკიცეს მათი უნარი საზოგადოებრივ საქმიანობაში. დელეგატმა ქალებმა მონაწილეობა მიიღეს საგლეხო ობლიგაციების გასაღებაში, შეიძინეს საგლეხო სესხის ობლიგაცია კოლექტიურად“[114].

სადელეგატო კრებების მუშაობის ამოცანა თუ პირველ წლებში მხოლოდ მშრომელ ქალთა აქტივობის ზრდით იფარგლებოდა, მეორე პერიოდში დელეგატი ქალები სოციალისტური მშენებლობის შეგნებულ მონაწილეებად გვევლინებიან. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის კოლექტივიზაციის გასატარებლად პარტია აღრმავებდა მშრომელთა ფართო ფენებში მასობრივ მუშაობას. დელეგატების როლი და მნიშვნელობა ამ პერიოდში დღითიდღე იზრდებოდა.

დელეგატთა პრაქტიკული მუშაობის ამოცანები უკვე არსებითად განსხვავდებოდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდის ამოცანებისაგან. დელეგატებს, პირველ წლებთან შედარებით, უყენებენ უფრო გადიდებულ მოთხოვნებს. ბევრი სამაზრო კომიტეტი ქმედითად ეხმარებოდა სადელეგატო კრებებს. არჩევდა კარგ პროპაგანდისტს, აწესრიგებდა კადრებს, აუმჯობესებდა სადელეგატო კრებების სოციალურ შემადგენლობას, რითაც ხელს უწყობდა მისი ავტორიტეტის ზრდასა და განმტკიცებას.

განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა სადელეგატო პუნქტების

---

113 მლისფპა, ფ. 17, საქ. 300, ფურც. 71.

114 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 22—23, გვ. 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვი ისეთ ქალაქებსა და მაზრებში, სადაც უკეთესად იდგა პარტიულ-პოლიტიკური მასობრივი მუშაობა,—ქუთაისში, სიღნაღში, თბილისის, შორაპნის, ოზურგეთის, თელავის და რაჭის მაზრებში, ხოლო ჩამორჩენილ კუთხეებში — ახალქალაქის, ახალციხის, სვანეთის მაზრებსა, სამხრეთ ოსეთში, აჭარასა და აფხაზეთში მუშაობა ჯერ კიდევ ერთ წერტილზე იყო გაყინული[115].

სადელეგატო კრებების რიცხვი იზრდებოდა საქართველოს იმ ქალაქებსა, მაზრებსა და რაიონებში, სადაც ქალთა შორის მუშაობას გამოცდილი პარტიული კადრები ხელმძღვანელობდნენ და სადაც ისინი ამ მუშაობას პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად თვლიდნენ.

მუშაობა მოიკოჭლებდა ან სულ არ ტარდებოდა საქართველოს ყველაზე ჩამორჩენილ რაიონებში, რაც იმით იყო განპირობებული, რომ ადგილებზე არ ჰყავდათ გამოცდილი პარტიული კადრები, გარდა ამისა, სათანადო მუშაობის ჩატარებას აფერხებდა მოსახლეობის დაბალი კულტურა და ჯერ კიდევ მაგრად ფესვგადგმული ადათ-წესები.

სადელეგატო კრებებში დელეგატთა რიცხობრივი ზრდა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიურ მოღონიერებასთან, მშრომელ ქალთა რიცხვის ზრდასთან და საერთოდ მშრომელ მასებში პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გაშლასთან. თუ 1922 წლისათვის სადელეგატო კრებები 200 ქალს აერთიანებდა, 1924—1925 წლებში მათმა რიცხვმა უკვე 5015 მიაღწია.

გლეხქალთა შორის თუ როგორ იხვეჭდა ავტორიტეტს სადელეგატო კრებები, ამის შესახებ ზუგდიდის მაზრის სოფელ დარჩელის დელეგატი ქალის წერილი გვამცნობს: „დელეგატმა ქალებმა დავიწყეთ თუ არა კრებებზე სიარული, პირველად ხელს გვიშლიდნენ ოჯახის წევრები, მაგრამ ორი წლის შემდეგ პირიქით, ხელს გვიწყობდნენ და გვირჩევდნენ კრებებზე მხურვალე მონაწილეობა მიგვეღო“[116]. რით იყო განპირობებული გლეხობის დამოკიდებულების შეცვლა სადელეგატო კრებების მიმართ? პასუხს თვით წერილი გვაძლევს: „დელეგატ ქალთა მონაწილეობით გაკეთდა წყალსადენი. ქალებმა მონაწილეობა მივიღეთ აფთიაქის მშენებლობაში. დღეს ქალები მამაკაცებს არ ჩამორჩებიან საერთო საქმეში და მიდიან წინ გამოფხიზლებისა და სინათლისაკენ“[117]. ამდენად, სადელეგატო კრებების სწორმა ორგანიზაციამ და ქალთა აქ-

---

115 მლისფპა, ფ. 14, საქ. 2209, ფურც. 156.

116 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 11—12, 1927, ფ. 27.

117 იქვე.

ტივობის ზრდამ განაპირობა კრების ავტორიტეტის ზრდა, დელეგატთა ყოველწლიური არჩევნები ტარდებოდა მთელს საბჭოთა კავშირში დროულად შემოდგომის თვეებში. არჩევნები მასობრივ-პოლიტიკური კამპანიის ხასიათს იღებდა. 1925 წლისათვის სადელეგატო კრებებში მთელი კავშირის მასშტაბით გაერთიანებული იყო 378820 ქალი[118].

წლითიწლობით ფართოვდებოდა სადელეგატო კრებების ქსელი, იხვეწებოდა სოციალური შემადგენლობა. მაგალითად, უკვე 1927 წლისათვის საკავშირო პარტიული ცენტრალური კომიტეტი სადირექტივო წერილით მოუწოდებდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს: „ყურადღება გაემახვილებიათ, პირველ რიგში, ქალაქად მსხვილ საწარმოთა მუშა ქალებისა და სოფლად მოჯამაგირე ქალთა არჩევნებში გასაყვანად“[119].

სადელეგატო კრებების ქსელის გაფართოებამ და პოპულარობამ როგორც სოფლად, ისე ქალაქად გამოიწვია ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლა. როგორც ვიცით, პირველ ეტაპზე სადელეგატო კრებები იკრიბებოდა პარტიის საქალაქო, სამაზრო, სათემო და რაიონულ კომიტეტთან, ქალაქში კი რაიონულ კომიტეტებთან.

პარტიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქშიც სადელეგატო კრებების ხელმძღვანელობა, ისე როგორც ქალთა შორის მუშაობის მთელი ხელმძღვანელობა, ხელში აეღო არა მარტო ქალთა განყოფილებებს, არამედ ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებსაც.

საკავშირო პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებით სადელეგატო კრებები იქმნებოდა ქალაქებში საწარმოო პარტიულ უჯრედებთან. ეს ღონისძიება აფართოებდა დელეგატთა წარმომადგენლობით ნორმებს და ამჭიდროებდა სადელეგატო კრებებს მშრომელ ქალთა ფართო მასასთან. პარტიის დირექტივების თანახმად სადელეგატო კრებებში შეიძლებოდა გაერთიანებულიყო 30-დან 300-მდე დელეგატი ქალი“[120].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა განყოფილება, დიდ მნიშვნელობას აძლევდა რა საწარმოებთან სადელეგატო კრებების ჩამოყალიბებას, როგორც ქალთა უპარტიო მასასთან მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს, წინადადებას

---

118 მლისფპა, ფ. 13, აღწ. I, საქ. 3385, ფურც. 11.

119 მლისფპა, ფ. 13, აღწ. I, საქ. 3385, ფურც. 11.

120 იხ. ჟურნ. «Коммунистка», № 5, 1925.

აძლევს თბილისის პარტიულ კომიტეტს — მოუწოდოს რაიკომებს გადაუდებლად შეუდგნენ ამ ღონისძიებების განხორციელებას[121].

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიულმა კომიტეტებმა საფაბრიკო-საქარხნო ორგანიზაციებთან სადელეგატო კრებების პარალელურად დატოვეს რაიონული და საერთო-საქალაქო სადელეგატო კრებები, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვრილი საწარმოების მუშა ქალთა, დაწესებულებების მოსამსახურე ქალთა, მუშების ცოლებისა და დიასახლისების ჩაბმა.

შექმნილი სადელეგატო კრებები მუშაობდნენ საქალაქო და სარაიონო ქალთა განყოფილებების პროგრამით, რომელშიც გათვალისწინებული იყო თითოეული საწარმოს სპეციფიკა და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანები. სადელეგატო კრებებში მეცადინეობის დროს ქალები ეცნობოდნენ კომპარტიის ამოცანებს, კლასთა ბრძოლის საკითხებს, პროფკავშირების მოძრაობას, კონსტიტუციას, საბჭოთა ხელისუფლების კანონებს, კოოპერაციულ მშენებლობასა და სხვ.[122]. რაიონულ სადელეგატო კრებებზე კითხულობდნენ, აგრეთვე, ლექციებს, აკეთებდნენ მოხსენებებს, ატარებდნენ საუბრებს პოლიტეკონომიის, ანტირელიგიურ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სხვა თემებზე. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ დელეგატები მეცადინეობდნენ წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლებში[123].

დელეგატ ქალთა საფუძვლიანი მომზადება საშუალებას იძლეოდა — მათი დიდი ნაწილი გამოეყენებიათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში სამუშაოდ: ქალთა სადელეგატო კრებების წარმომადგენლები შედიან ღარიბ გლეხთა კოოპერაციაში, სესხის მომცემ ფონდების განმანაწილებელ კომისიებში, საგადასახადო საადგილმამულო კომისიებში და სხვ.[124].

კურსდამთავრებულ დელეგატებს ირჩევენ საბჭოებში სახალხო მსაჯულებად. ისინი არ ივიწყებენ სხვა სოფლის გლეხ ქალებსაც, სხვადასხვა სოფლებში აწყობენ სააგიტაციო საღამოებსა და წარმოდგენებს[125].

საქართველოში პრაქტიკულ საქმიანობაში ქალთა ჩაბმა 1925 წლიდან თანდათან მტკიცდება და ფეხს იკიდებს სადელეგატო კრებების მუშაობაში, როგორც საუკეთესო მეთოდი. 1926 წლისათვის დელეგატთა

---

121 მლისპფა, ფ. 17, აღწ. I, საქ. 300, ფურც. 86.

122 მლისფპა, ფ. 17, აღწ. I, საქ. 257, ფურც. 31.

123 ა. ა რ ტ ი უ ხ ი ნ ა, „დელეგატი ქალის ნაკაზი“, ტფილისი, 1929 წ., გვ. 5.

124 იხ. ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 22—23, 1928, გვ. 9.

125 იხ. ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 18, 1928, გვ. 26.

30—40% უკვე ჩაბმული იყო პრაქტიკულ საქმიანობაში[126], რამაც გარკვეული შედეგები გამოიღო. მაგალითად, ოზურგეთის მაზრაში-სოფელ ნიგოეთში სადელეგატო კრებებზე წამოაყენეს პურზე ფასების დაკლების საკითხი, რომელიც დელეგატმა პრაქტიკანტებმა სამსჯელოდ გაიტანეს კოოპერატივის სხდომაზე და გადაწყვიტეს გლეხების სასარგებლოდ[127]. აგრეთვე, გურიანთის თემში (ოზურგეთის მაზრა) პრაქტიკანტ დელეგატთა ინიციატივით გლეხის ქალებმა შემოღობეს სასკოლო ეზო[128].

დელეგატი პრაქტიკანტები ორთვიან პრაქტიკას გადიოდნენ სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულებებში, პრაქტიკის გავლის შემდეგ კი მათ ტოვებდნენ იმავე დაწესებულებებში სამუშაოდ.

ქალთა ახალი კადრების მომზადება პრაქტიკანტთა ინსტიტუტის მეშვეობით შესაძლებლობას იძლეოდა საბჭოთა აპარატში მუშათა ბირთვის გასამტკიცებლად და მუშაობის პროლეტარული მეთოდების დასანერგად. ყოველივე ეს ქმედით საშუალებას წარმოადგენდა ბიუროკრატიზმის, მექრთამეობის, უწესრიგობისა და კაპიტალიზმის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად. 1927 წელს საბჭოს წევრ ქალთა პირველ ყრილობაზე 51 დელეგატი ქალი საბჭოების სხვადასხვა სექციებში მოღვაწეობდა.

დელეგატთა მუშაობის აღრიცხვისათვის შემოიღეს ერთიანი წიგნაკები, ანკეტები, სადაც სისტემატურად იწერებოდა მათი ანგარიშები[129]. ქალთა განყოფილების ყოველდღიური კონტროლი და ხელმძღვანელობა აძლევდა სადელეგატო კრებებს მიზანდასახულებას და კონკრეტულობას. დელეგატი ქალები მონაწილეობას იღებდნენ პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა პრაქტიკულად გადაწყვეტის საქმეში. მაგალითად, როგორიც იყო მოსავლის გადიდება, პურის დამზადება და სხვ. დელეგატ ქალთა ინიციატივით დაარსდა ზუგდიდის მაზრაში 22 მებოსტნე ქალისაგან შემდგარი კოლექტივი „შრომა". მეაბრეშუმეობის, ჩაის და მებამბეობის კოლექტივები და სხვ. ქალთა სამეურნეო კოლექტივებში გაერთიანების ინტერესი და სურვილი დიდი იყო. ზუგდიდის მაზრის ქალთა ერთმა კოლექტივმა საჩუქრად მიიღო ერთი გუთანი, 10 ფუთი სიმინდი და ერთი ჯიშიანი ქათამი[130]. სოფელ გოჩა-ჯიხაიშში გლეხობის მიერ კოლმეურნეობის ჩამოსაყალიბებლად ხელშე-

---

126 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2209, ფურც. 108.

127 იქვე, ფურც. 110.

128 იქვე, ფურც. 111.

129 იქვე, საქ. 1735, ფურც. 47.

130 ჟურნ. „მშრომელი ქალი", 1928, გვ. 26.

კრულების დადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დელეგატმა ქალებმა[131].

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტია წლითიწლობით აფართოვებდა სადელეგატო კრებების ქსელს. თუ საქართველოში 1923 წელს 23 სადელეგატო პუნქტი იყო, 1925 წლისათვის 183, 1929 წლისათვის სადელეგატო პუნქტები თითქმის რესპუბლიკის ყველა რაიონში გავრცელდა და მათმა რიცხვმა 141 მიაღწია. გაიზარდა დელეგატთა რიცხობრივი და თვისებრივი შემადგენლობა, რასაც შესანიშნავად ადასტურებს აქ წარმოდგენილი ცხრილი. იზრდება დელეგატ ქალთა პოლიტიკური აქტივობაც და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის სურვილი. მაგალითად, ლიის თემში (ზუგდიდის მაზრა) დელეგატი ქალები ჩაბმულნი არიან თავისუფალი საზოგადოების მუშაობაში, როგორიცაა თავდაცვა-ავიაქიმი, რემედასი, ულმერთოთა კავშირი. დელეგატ ქალთა მონაწილეობით ჩატარდა ყოფა-ცხოვრებითი კულტურული ლაშქრობა[132]. „თეკლათის თემის სოფელ ნოღოჩაოს ქალებმა მოაწყეს შაბათობა გზის შესაკეთებლად. გაშლილი და გასწორებული იქნა რამდენიმე საჟენის მანძილზე დაყრილი ხრეში, აგრეთვე ამოწმენდილ იქნა თხრილები. ქალები გულმოდგინედ მუშაობდნენ“[133].

საბჭოების არჩევნების დროს დელეგატ ქალებს ევალებოდათ არა მარტო თვითონ მიეღოთ აქტიური მონაწილეობა არჩევნებში, არამედ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მოეყვანათ რამდენიმე ათეული მშრომელი ქალი. პარტია და საბჭოთა მთავრობა არჩევნების მზადებისა და ჩატარების პერიოდში ეყრდნობოდა დელეგატ ქალებს და ისინიც უმეტეს შემთხვევაში ამართლებდნენ მთავრობის ამ დიდ ნდობას.

ვ. ი. ლენინი თავის რიგ გამოკვლევებში მიუთითებდა, რომ მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის გასამტკიცებლად აუცილებელია, რომ თითოეულმა მუშამ და თითოეულმა მუშა ქალმა, როგორც უფრო შეგნებულმა, განუმარტოს გლეხობას საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა.

სოფლად მუშათა კლასის კავშირის გასამტკიცებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, როგორც XII პარტყრილობა აღნიშნავდა, ქალაქის შეფობა სოფელზე. ქარხნებისა და ფაბრიკების პარტიული და კომკავშირული უჯრედები, პროფსაბჭოს და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები იღებდნენ კულტურულ შეფობას სოფელზე და გაზეთებისა და ლიტერატურის გაგზავნით საბჭოთა და პარტიულ გამოცდილე-

---

131 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, 1928, გვ. 26.

132 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 6—7, 1929, გვ. 28.

133 იქვე, გვ. 30.

ბათა გაზიარებით, მუშა ქალთა და გლეხქალთა გაერთიანებული სადელეგატო კრებებით, იზრდებოდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გავლენა გლეხობაზე.

1923 წლიდან საქართველოში საფუძველი ეყრება ქალაქის შეფობას სოფელზე, რომელმაც ფართო გავრცელება პოვა მომდევნო წლებში. იგი მოიცავდა სოფლის ცხოვრების ყველა მხარეს. სკოლებისა და ქოხ-სამკითხველოების გახსნა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეძენა, კოოპერატივების მოწყობა და სხვ. შეფობის განხორციელებაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ დელეგატი ქალები, სადელეგატო კრებების პროგრამაში ზაფხულის პერიოდისათვის ქალთა განყოფილებები ითვალისწინებდნენ ორგანიზებულ ექსკურსიებს სოფლად გლეხქალთა დასახმარებლად, ბავშვთა ბაგების, ბავშვთა მოედნების, კუთხეების მოწყობას, გლეხქალთა შორის ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას. მაგალითად, თბილისის ყველა რაიონში გამოიყო საშეფო კომისიები, რომლებმაც აიღეს შეფობა დედათა და ჩვილთა სახლზე[134].

ქალაქის დელეგატი ქალები საშეფო მუშაობას იწყებენ გლეხქალთათვის საღამოების მოწყობით, მათი ექსკურსიებით ქალაქებში. ეს ხელს უწყობდა გლეხქალს ღრმად გაცნობოდა ქალაქის პროლეტარიატის ცხოვრებას, მათში იღვიძებდა სურვილი თვითონაც ჩაბმულიყვნენ აქტიურად სოციალისტურ მშენებლობაში. ზესტაფონის რაიონის დელეგატმა ქალებმა მოაწყვეს ექსკურსია ბათუმში, სადაც დაათვალიერეს ქალაქის ბაღი, ნავსადგური, მუზეუმი, ჩაისა და თამბაქოს ქარხნები. ინახულეს, აგრეთვე, ჩაისა და მანდარინის პლანტაციები"[135].

თელავის რაიონის სოფ. შილდის სადელეგატო კრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სარწმუნოებრივი დღესასწაულის ნაცვლად მოეწყო ექსკურსია ქალაქ თბილისში. ჩამოსულებმა დაათვალიერეს კონიაკის ქარხანა, რკინიგზის ბავშვთა ბაგა, ქალთა კონსულტაცია, თამბაქოს ქარხანა და სხვა. „ჩვენ წინათ ვინ გვაღირსებდა თბილისის ნახვას ამბობდნენ ისინი, — ჩვენ რომ სოფელში ჩავალთ, ყველა გლეხის ქალს ვუამბობთ, თუ რა დიდი მიღწევები აქვს საბჭოთა ხელისუფლებას"[136].

სადელეგატო კრებების დახმარებით გლეხის ქალები თანდათანობით ებმებიან სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრების ფერხულში, მათ ირჩევენ სასოფლო საბჭოებში, კოოპერატივებში და ურთიერთდამხმარე კომიტეტებში.

ყველა ეს ღონისძიება პოლიტიკურად ზრდიდა გლეხ ქალებს, აერ-

---

134 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 1318, ფურც. 135.

135 ჟურ. „მშრომელი ქალი", № 8—9, 1925, გვ. 30.

136 ჟურნ. „მშრომელი ქალი", № 271, 1928, გვ. 32.

თიანებდა მათ და ემსახურებოდა ქალაქისა და სოფლის დაახლოების საქმეს. „მუშა ქალთა დახმარებით გლეხი ქალები აქტიურად ებმებიან სოციალისტურ მშენებლობაში“[137].

ქალაქიდან დაბრუნებული გლეხი ქალები თვით ეწეოდნენ სოფლად აგიტაციას, მათზე დაყრდნობით ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეძლეს დაერაზმათ გლეხქალთა დიდი ნაწილი და შეექმნათ სოფლად სადელეგატო კრებები. შეფი დელეგატები გლეხქალებთან ერთად ხსნიდნენ ჭრა-კერვის სკოლებს, რომელიც წარმოადგენდა გლეხქალთა მუშაობის პირველ ელემენტარულ ორგანიზაციულ ფორმას.

ქალთა განყოფილებები დაინტერესებული იყვნენ რაც შეიძლება მეტი მშრომელი ქალი დაერაზმათ სადელეგატო კრებების გარშემო და ამიტომ ადგილობრივი პარტორგანიზაციები დიდი სერიოზულობით ეკიდებოდნენ სადელეგატო კრებების არჩევნებისათვის მზადებას. მაგალითად, ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის ქალთა განყოფილება კამპანიის ჩატარების დაწყებამდე შეუდგა სამზადისს. მან წინასწარ მოიწვია რაიორგანიზატორების თათბირი და გააცნო მათ, თუ როგორ ჩაეტარებიათ დელეგატ ქალთა ხელახალი არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა და არჩევნები[138]. ყოველივე ამის შედეგად არჩევნები ორგანიზებულად ჩატარდა ზუგდიდის მაზრის თექვსმეტივე პუნქტში.

სადელეგატო კრებების გავლენის ზრდისა და ქალთა სადელეგატო კრებების მუშაობაში ჩაბმის დიდი სურვილი იგრძნობოდა დუშეთის მაზრის სოფელ თამარიანის აქტიური გლეხი ქალის წერილში: „ჩვენ სოფელში დღემდე არ არსებობს ქალთა სადელეგატო კრება, ამიტომ რამდენიმე ქალი ოთხი ვერსის სიშორეზე დავდივართ, გთხოვთ ყურადღება მოგვაქციოთ და შემდეგი წლისათვის ჩვენს სოფელშიც დაარსოთ სადელეგატო კრება“[139].

სადელეგატო კრებების ინტერესსა და დელეგატ ქალთა ავტორიტეტის ზრდაზე მეტყველებს გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი იმის შესახებ, რომ თურქმა კომუნისტმა ქალმა დელავერ-ოღლიმ თავისი სოფლიდან ათი ვერსი გამოიარა და დელეგატ ქალთა კრებაზე 4 თურქი ქალი მოიყვანა[140].

პარტია ყოველწლიურად აღრმავებდა და აფართოვებდა სადელეგატო კრებების პოლიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობას, რაც დღი-

137 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 13, 1925, გვ. 1.

138 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 8—9, 1927, გვ. 27.

139 იქვე.

140 გაზ. „კომუნისტი“, № 30, 1928 წლის 5 ნოემბერი.

თიდღე ზრდიდა მათ აქტივობას და შეგნებულობას. სადელეგატო კრებების ინსტიტუტი გვევლინება პარტიულ და უპარტიო ქალთა ფართო მასების შემაკავშირებელ შესანიშნავ რგოლად. სადელეგატო კრებების ინსტიტუტში გაერთიანებულ ქალთა მნიშვნელოვანი რაოდენობა შევიდა პარტიის რიგებში, აგრეთვე, მონაწილეობდა ხელმძღვანელ, საბჭოთა, პროფესიულ და კოოპერატიულ ორგანოებში.

1924 წელს პარტიაში ლენინური გაწვევით შევიდა 146 დელეგატი, საბჭოებში აირჩიეს 664 დელეგატი, აღმასკომებში 120, გლეხკომებში 100, სახალხო მსაჯულებად კი 102 დელეგატი ქალი[141].

დელეგატთა უმნიშვნელო რაოდენობას სადელეგატო კრებებში ხელმეორედ ირჩევდნენ. პარტია ძველ დელეგატებს უტოვებდა ხელმძღვანელ საწყისებს და ქმნიდა აქტიურთა ბირთვს.

„ძველი დელეგატი ქალებიდან ჩვენ მივიღეთ 354 აქტიური მომუშავე, რომლებიც ამჟამად საბჭოების სექციებში, კოოპერაციებში და ნებაყოფლობით საზოგადოებებში მუშაობენ“ — ვკითხულობთ გაზეთ „მუშას“ ფურცლებზე[142].

დელეგატი ქალი ვალდებული იყო ყოველთვიურად თავისი მუშაობის შესახებ ანგარიში ჩაებარებინა ამომრჩეველთათვის საბჭოთა დაწესებულებებში, კოოპერაციაში და სხვადასხვა კომისიებში. დელეგატ ქალთა საანგარიშო საარჩევნო კრებები, რომელიც ყოველწლიურად იწყობოდა, აშკარად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ წლების მანძილზე ისინი გადაიქცნენ როგორც კულტურულ-პოლიტიკურად, ასევე პრაქტიკულად მომზადებულ მებრძოლებად, რომლებსაც აშკარად ძალუძთ აშენონ სოციალისტური სახელმწიფო.

პარტიის XV ყრილობის მიერ წამოჭრილი საკითხი კულტურული რევოლუციის სასარგებლოდ მუშაობის გაფართოება-გაღრმავებისათვის ქალთა განყოფილებების წინაშე დღის წესრიგში აყენებდა კულტურულად ჩამორჩენილი ერების ზნე-ჩვეულებათა შესწავლას და ყოფაცხოვრებითი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლას.

სადელეგატო კრებები, რომელიც ამზადებდა მუშათა და გლეხთა მასებს საზოგადოებრივი მუშაობისათვის, ამ საკითხშიც გამოდის სათანადო სიმაღლეზე. პარტიის მითითებათა საფუძველზე 1928 წლიდან ყურადღება გამახვილდა ეროვნული უმცირესობის ქალთა სადელეგატო კრებებში გასაერთიანებლად.

1928 წლის თებერვალში ქალთა შორის მომუშავე განყოფილე-

---

141 მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 940, ფურც. 21.

142 გაზ. „მუშა“, № 1465, 1927 წლის 11 ოქტომბერი.

ბის გამგეთა IX თათბირმა შეაჯამა 1926—1927 წწ. სადელეგატო კრებების მუშაობა და აღნიშნა, რომ 1928 წლისათვის სადელეგატო კრებებში მომუშავე ქალთა 25% ეროვნულ უმცირესობათა დელეგატ ქალებისაგან შედგებოდა.

საქართველოს დელეგატმა ქალებმა წარმატებით გადაჭრეს პარტიის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

1929 წლიდან პარტია მეტად სერიოზულ მოთხოვნილებებს უყენებს სადელეგატო კრებებს. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებამ სამდივნოზე დაამტკიცა სადელეგატო კრებების დებულება და წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებელი ცირკულარი, რომელიც დაუგზავნა რესპუბლიკის ყველა მაზრასა და ქალაქს. ადგილებზე სამაზრო კომიტეტებმა და საქალაქო კომიტეტებმა გამოყვეს სპეციალური კომისიები სადელეგატო კრებების არჩევნების ჩატარების მიზნით. სამაზრო კომიტეტებმა სპეციალურად დაავალა ცალკეულ მუშაკებს არჩევნების ჩატარება (თბილისში, აფხაზეთში, შორაპანში, ზუგდიდში), ცალკეულ რაიონებში თემუჯრედების მდივნების თათბირებზე (გორი, აჭარა, ზუგდიდი), ქალ-

ცხრილი 1

ქალთა სადელეგატო კრებების შემადგენლობა *

წლები	ამომრჩეველ ქალთა რაოდენობა	არჩეულ დელეგატ ქალთა რაოდენობა	სადელეგატო პუნქტების რაოდენობა	სოციალური შემადგენლობა			ეროვნება				
				მუშა	გლეხი	მოსამსახ. და დიასახლისი	ქართველი	რუსი	მესხელმანი**	სომეხი	სხვადასხვა ეროვნება
1921	500	200		—	—	—	—	—	—	—	—
1925	25.000	7512	183	825	3023	3664	5313	684	185	712	330
1929	36.175	12.359	441	1932	7178	3249	8836	889	402	1070	1162

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ცხრილში არ არის მოცემული პარტიის და კომკავშირის წევრ ქალთა რაოდენობა, ვინაიდან არ გვქონდა ამ წლების პარტიულობის სრული სურათი.

* ცხრილი შედგენილია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივის დოკუმენტებისა და საქართველოს კომპარტიის V ყრილობის მასალების საფუძველზე.

** იგულისხმება ოურქი, სპარსი და აზერბაიჯანელი.

თა ორგანიზატორების თათბირებზე (სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი), პროფაქტივის საერთო კრებებზე (ბათუმი)[143] უშუალოდ იდგა სადელეგატო კრებების არჩევნების საკითხი.

პარტია სადირექტივო წერილში განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას მოჯამაგირე, ღარიბ, მუშა და ეროვნული უმცირესობის რაიონების ქალთა სადელეგატო კრებებში გაყვანაზე. ამავე წლიდან ზოგიერთი სადელეგატო კრების მუშაობაში პარტიის მითითებათა საფუძველზე მოხდა ცვლილებები, ერთწლიანი სწავლების ორწლიან სწავლებაზე გადასვლით, რითაც დელეგატებს საშუალება ეძლეოდათ ორი წლის განმავლობაში დაუფლებოდნენ პრაქტიკული და საზოგადოებრივი მუშაობის ჩვევებს და მომზადებულიყვნენ პასუხისმგებელი თანამდებობის დასაკავებლად.

1929 წლიდან სადელეგატო კრებები უკვე ჩამოყალიბდა მებრძოლ საზოგადოებრივ ერთეულად, რომელნიც აქტიურად ებმებოდნენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგარ ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, როგორიცაა მრეწველობის რეკონსტრუქცია, სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევა და კულტურული მშენებლობის გაშლა.

სადელეგატო კრებების საშუალებით პარტია გზას უკაფავდა თითოეულ მუშა და გლეხ ქალს ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის.

სადელეგატო კრებები პარტიისა და მთავრობის ნამდვილ თანაშემწეებად იქცნენ. ისინი დიდ მუშაობას ატარებდნენ ყოველგვარი ნაკლოვანებების, ბოროტმოქმედებების, ავადმყოფური მოვლენების, როგორც გამოკვლევის ისე აღმოფხვრის საქმეში. თავისი მუშაობით სადელეგატო კრებები მჭიდროდ უკავშირდებიან ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონკრეტულ ამოცანებს და როგორც საზოგადოებრივი ერთეულები აქტიურად ებმებოდნენ ამ ამოცანათა განხორციელების საქმეში.

სადელეგატო კრებები წარმოადგენენ იმ მასობრივ სკოლას, რომლის საშუალებითაც კომუნისტურმა პარტიამ პოლიტიკურად აღზარდა მუშა და გლეხ ქალთა მასები, მოამზადა პრაქტიკული საქმიანობისათვის და შემდგომ ჩაება ისინი სახელმწიფოს მშენებლობის ყველა სფეროში. ამავე კრებების საშუალებით პარტიამ შეძლო დაერაზმა აქტიურ მშრომელ ქალთა დიდი ნაწილი და თავისი გავლენა გაევრცელებინა ქალთა ფართო მასაზე.

აქედან ნათელი ხდება, რომ კომუნისტური პარტია მშრომელ ქალ-

---

143 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3422, ფურც. 49.

თა შორის მუშაობის უმთავრეს ორგანიზაციულ ფორმად თვლიდა სადელეგატო კრებებს, რომლის შემდგომი გაფართოება და მუშაობის გაცხოველება წარმოადგენდა ქალთა განყოფილების უმთავრეს ამოცანას.

„სადელეგატო კრებები წარმოადგენდნენ მეტად მნიშვნელოვან არსებით მოძრავ მექანიზმს, რომელიც ჩვენს პარტიას აკავშირებდა მუშათა კლასის ქალთა ნაწილთან“[144].

პარტიის ცენტრალური კომიტეტი აჯამებდა რა სადელეგატო კრებების მუშაობის შედეგებს, რეზოლუციაში წერდა: „მუშა და გლეხ ქალთა სადელეგატო კრებებმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია, მთლიანად გაამართლა თავისი თავი და დაგვანახა, რომ ქალთა შორის მუშაობის ეს ფორმა წარმოადგენს ძირითადს მშრომელ ქალთა ფართო მასებში პოლიტიკური აქტივობის ზრდისა და პარტიის გარშემო გარკვეული კადრის შექმნის საქმეში[145].

* * *

ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლუბებს. „კლუბები, ნათქვამია რკპ (ბ) XII ყრილობის რეზოლუციაში, უნდა გადავაქციოთ მასობრივი პროპაგანდისა და მუშათა კლასის შემოქმედებითი ნიჭის განვითარების ნამდვილ ცენტრებად[146].

1921 წლის 24 აპრილს თბილისში გაიხსნა მუშათა ცენტრალური კლუბი, რამოდენიმე ხნის შემდეგ თბილისის მუშათა უბანში გაიხსნა მელითონეთა კავშირის კლუბი. ორივე კლუბის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქალები. ეს კლუბები შემდგომში გადაიქცნენ მშრომელთა დასვენებისა და კულტურული მუშაობის კერებად. კლუბებში ეწყობოდა ჭრა-კერვის წრეები, პოლიტიკური და პროფესიული წრეები, კურსები, წერა-კითხვის უცოდინარობის სკოლები. კლუბში ქალი ეუფლებოდა სპორტს, ერთიანდებოდა დრამწრეში, მომღერალთა გუნდში და სხვ.[147]. სწორედ ეს კლუბები იყო ამ პერიოდში ის დაწესებულებები, სადაც ქალი იღებდა სისტემატურ აღზრდას, იძენდა კოლექტიურ ჩვევებს და სწავლობდა სოციალისტური წყობილების შენებას.

1927 წლისათვის საქართველოში 67 კლუბი იყო გახსნილი, რომელშიც 7720 ქალი იყო გაერთიანებული. ძირითადად ქალთა შორის

---

144 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 202.

145 „სკკპ... რეზოლუციებში“, ნაწ. II, 1954.

146 ი ქ ვ ე, ნაწ. I, 1954, გვ. 944.

147 მლისფპა, ფ. 14, საქ. 2211, ფურც. 263.

მუშაობა კლუბებში წარმოებდა ქალთა კუთხეებში. მაგალითად, თბილისში 9 ასეთი ქალთა კუთხე იყო გახსნილი[148].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლად მთელი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრს და დასაყრდენს წარმოადგენდა ქოხ-სამკითხველოები, რომლის დახმარებითაც პარტიას საშუალება ეძლეოდა აღეზარდა მოსახლეობა პოლიტიკურად და აემაღლებია მისი კულტურული დონე. ქოხ-სამკითხველოების საშუალებით პარტია ამჭიდროებდა მუშათა კლასთან გლეხობას და ზრდიდა მათ კომუნისტური სულისკვეთებით[149].

პარტიის XII ყრილობამ (1923 წ.) მიუთითა ადგილობრივ პარტორგანიზაციებს, რათა ყველა კულტურული ძალა სოფლად დაერაზმა ქოხ-სამკითხველოების გარშემო და მათი საშუალებით შეეტანა კულტურულ-პოლიტიკური განათლება გლეხ ქალთა შორის[150].

საქართველოს ქალთა განყოფილებები ფართოდ გამოეხმაურნენ ამ დადგენილებას და გაშალეს ქალთა შორის კულტ-საგანმანათლებლო მუშაობა ქოხ-სამკითხველოების და გლეხ-ქალთა კუთხეების საშუალებით.

1926 წელს ქალთა განყოფილების მიერ შემუშავებულ დებულებაში — „საქართველოში გლეხქალთა კუთხეების მუშაობის შესახებ“[151] —განხილულია გლეხქალთა კუთხის მიზანი, ქალთა კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად, მისი კლასობრივი შეგნების ზრდა.

გლეხქალთა კუთხეები არსებითად წარმოადგენდნენ ქოხ-სამკითხველოს თავდაპირველ უჯრედს, სადაც ძირითადად მუშაობა ეყრდნობოდა ქალთა ინტერესებს. „ქალთა კუთხის ამოცანაა მშრომელ ქალთა კულტურულ-პოლიტიკური აღზრდა, ამით განისაზღვრება გლეხ ქალთა კუთხეების მუშაობის შინაარსი და სახე“[152].

საქართველოს გლეხქალთა კუთხეები პირველად გაიხსნა ჩამორჩენილ რაიონებში, იქ სადაც ქალები განსაკუთრებით კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ. ასეთი კუთხეები პირველად გაიხსნა 1924 წელს. 1927 წლისათვის ასეთი კუთხეების რიცხვმა 37-ს მიაღწია. თითოეულ მათგანს არსებობის სხვადასხვა ხნის ისტორია ჰქონდა. ქალთა კუთხეები გაიხსნა შემდეგ მაზრებში: რაჭის, თელავის, სიღნაღის, გურიის, ლეჩხუმის, სენაკის, ქუთაისის, სვანეთის და ბორჩალოს მაზრებში. ამათგან

---

148 მლისფპა, ფ. 14, საქ. 3107, ფურც. 25.

149 ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს კომპარტია ქართული საბჭოთა კულტურის შექმნისათვის ბრძოლაში, თბილისი, 1960, გვ. 53.

150 „სკპპ... რეზოლუციებში“, ნაწ. I, გვ. 989.

151 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2195, ფურც. 140.

152 ი ქ ვ ე.

10 კუთხე ქოხ-სამკითხველოების ბინაზე, 2 საფერშლო პუნქტთან, ხოლო 25 სპეციალურად ქალთა კუთხისათვის განკუთვნილ ბინაზე. თითოეულ კუთხეში გაერთიანებული იყო 50-დან 100 წევრამდე[153]. კუთხე ირჩევდა გამგეობას და მის თავმჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელი იყო ქალორგანიზატორთან ერთად კუთხის მუშაობაზე.

თითქმის ყველა კუთხის გახსნას უკავშირებდნენ რომელიმე რევოლუციური თარიღის აღნიშვნას, რითაც მას კიდევ მეტი საზეიმო ხასიათი ეძლეოდა. ყოველივე ეს კი შესანიშნავი საშუალება იყო ფართო აგიტაცია-პროპაგანდისათვის როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა შორის. კუთხეებთან არსებობდა სხვადასხვა წრეები, სახელდობრ ჭრა-კერვის, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო, იურიდიული, პოლიტწრე, სანიტარული, აგრონომიული და სხვ. მეცადინეობა წარმოებდა თვეში ორჯერ.

ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში, ქალთა კუთხეებთან გამოდიოდა კედლის გაზეთები „ქალის ხმა“ და „განთიადი“[154]. კუთხის წევრები ჩაბმული იყვნენ, აგრეთვე, თავისუფალი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში, ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა წითელი ჯვრის, რემედასისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მაგალითად, მარტყოფის ქალთა კუთხეში 20 ქალმა დაამთავრა „პირველი დახმარების“ კურსები, რომელსაც ხელმძღვანელობდა ადგილობრივი ექიმი ლ. ავშაროვი[155].

თელავის გლეხქალთა კუთხეებს დიდ დახმარებას უწევდა პოლიტგანი საჭირო ლიტერატურით და ჟურნალ-გაზეთებით. ქალთა კუთხეს გამოწერილი ჰქონდა გაზ. „მუშა“ და „ახალი სოფელი“, ჟურნ. „ჩვენი გზა“. კუთხე ყოველდღიურ მუშაობას ატარებდა. გლეხქალთა კუთხეებმა დაიმსახურეს დიდი ნდობა და სიყვარული.

მიუხედავად იმისა, რომ გლეხქალთა კუთხეები ადგილებზე მეტად სერიოზული ხასიათის სამუშაოებს ატარებდნენ, ჩვენ მაინც არა გვაქვს უფლება წარმოვიდგინოთ ისე თითქოს გლეხქალთა კუთხეების მუშაობა ყველგან ერთნაირად მიმდინარეობდა. რასაკვირველია არა, იყო მაზრები, სადაც სულაც არ არსებობდა გლეხქალთა კუთხეები ან თუ ასეთი არსებობდა — გადაქცეული იყო ან სადელეგატო კრებების სამეცადინო კუთხედ ანდა ჭრა-კერვის შესასწავლ ადგილად. ასეთებს მიეკუთვნებოდა დუშეთის მაზრა, ლეჩხუმის მაზრა და სხვები.

---

153 მლისფპა, ფ. 14. აღწ. I, საქ. 2217, ფურც. 116.

154 ი ქ ვ ე.

155 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 1, 1929, გვ. 30.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებისა, გლეხქალთა კუთხეები შეიძლება ჩაითვალოს სწორ და გამართლებულ ფორმად გლეხქალთა მასების დარაზმვისა პოლიტიკური აღზრდის საქმეში. გლეხ ქალთა კუთხეებმა დიდი როლი შეასრულეს შემდგომში საქართველოს მშრომელ გლეხ ქალთა სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის საქმეში.

* * *

ქალთა განყოფილებები აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მუშაობის ფორმად იყენებდნენ, აგრეთვე, მუსულმან ქალთა კლუბებს. ამ კლუბების შექმნის იდეა ეკუთვნის 1920 წლის მარტში ჩატარებულ რუსეთის კომპარტიის საგუბერნიო კომიტეტებთან არსებულ ქალთა განყოფილების გამგეთა II თათბირს. იგი პირველად პრაქტიკაში დანერგეს აზერბაიჯანელმა კომუნისტებმა 1920 წელს ბაქოში[156]. კომუნისტმა ქალმა ჯეირან ბაირამოვამ თავისი ბინა დაუთმო ქალთა კლუბს, რომელიც 1922 წლიდან მგზნებარე რევოლუციონერის ალი ბაირამოვის სახელს ატარებდა. იგი შემდგომში გვევლინება ამიერკავკასიის მუსულმან ქალთა მუშაობის სამაგალითო ცენტრად[157].

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მუსულმან ქალთა კლუბი გამოიყენა რესპუბლიკაში მცხოვრებ თურქ, სპარსელ, აზერბაიჯანელ და აჭარელ ქალთა გასაერთიანებლად და ქალთა განყოფილების გარშემო დასარაზმავად. 1922 წელს ქალთა ცენტრალური განყოფილების ინიციატივით კლუბი დაარსეს თბილისში[158], 1924 წელს ბათუმში[159], ხოლო 1925 წელს ქობულეთში[160]. პირველ ხანებში ქალთა კლუბები ერთადერთი ფორმა იყო მუსულმან ქალთა პოლიტიკურად მოსამზადებლად და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩასაბმელად[161].

დაბეჩავებულ, დამონებულ, კარჩაკეტილ ცხოვრებას მიჩვეულ მუსულმან ქალს მხოლოდ ასეთ კლუბში შეეძლო ჩადრის მოხსნა და თავისუფლად, შეუბოჭავად სუნთქვა. იგი აქ სწავლობდა წერა-კითხვას, ისმენდა ლექციებს საბჭოთა მშენებლობის სხვადასხვა საკითხებზე და

---

156 Газ. «Коммунист», орган ЦК Азербайджанской Компартии, № 29, 1920, 6 июля, Баку.

157 აზერბაიჯანის სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 441, აღწ. 5, საქ. 3, ფურც. 3—4.

158 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2195, ფურც. 112—114.

159 აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № 6.

160 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2236, ფურც. 3—4.

161 შემდეგში მუსულმანი ქალები ერთიანდებიან ჭრა-კერვის წრეებში, გლეხქალთა კუთხეებში, სადელეგატო კლუბებში და პოლიტსკოლებში.

ანტირელიგიურ თემებზე. ერკვეოდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემულ კანონებში და სხვ.

ქალთა კლუბი მუსულმან ქალთა საზოგადოებრივი სკოლის პირველი საფეხურია. „კლუბების მიზანი იყო ქალთა შორის საზოგადო, კულტურული და შემოქმედებითი ჩვევების გამომუშავება, სადელეგატო კრებებში გაერთიანება და სოციალისტური მშენებლობისათვის მათი მომზადება“[162].

კლუბებმა დიდი როლი შეასრულეს მუსულმანი ქალების პოლიტიკური გათვითცნობიერების და კულტურულად აღზრდის საქმეში. საკლუბო მუშაობა წლების მანძილზე იყო თითქმის ერთადერთი საშუალება საზოგადოებრივ საქმიანობაში მუსულმან ქალთა ჩასაბმელად.

პარტიის ყრილობების და კონფერენციების დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებში არა ერთხელ დაისვა საკითხი აღმოსავლეთის ქალთა შორის მუშობის შესახებ, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ქალთა კლუბებსაც ეთმობოდა.

პარტიის XIII ყრილობა (1924 წ., მოსკოვი) თავის რეზოლუციებში აღნიშნავდა, რომ ქალთა განყოფილებები გაიტაცა სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობამ, რომ მათ უკანა პლანზე გადაწიეს საყოფაცხოვრებო პირობებისათვის ზრუნვა[163]. ქალთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებაზე დიდად იყო დამოკიდებული ქალის შრომის გამოყენება სოციალისტურ მშენებლობაში.

დადგენილების შემდეგ საწარმოო ფორმების დანერგვით დაიწყო ადგილებზე საკლუბო მუშაობის გამოცოცხლება, იქმნება სახელოსნოები, ჭრა-კერვის წრეები, არტელები, სამედიცინო კონსულტაციები, საბავშვო ბაღი და ბაგები. ჩამოთვლილ დაწესებულებათა შექმნა კლუბებთან ხელს უწყობდა ქალთა საოჯახო საქმიანობისაგან განთავისუფლებას, აძლიერებდა ქალის საწარმოო და პრაქტიკულ ცოდნას. კლუბები წლების მანძილზე ამზადებდნენ კვალიფიციურ კადრებს მსუბუქი მრეწველობისათვის. ქალი კლუბის საშუალებით ეკონომიურად დამოუკიდებელ ცხოვრებას სწავლობდა.

კლუბებმა წლების მანძილზე დიდი გამოცდილება დააგროვეს. საკლუბო მუშაობის შინაარსი და მეთოდები იცვლებოდა და ფართოვდებოდა ქვეყნის წინაშე მდგარ ამოცანათა შესაბამისად. კლუბი ყურადღებას ამახვილებდა საბჭოთა კანონმდებლობის პოპულარიზაციისათვის.

---

162 Женские клубы на Востоке, Сборник материалов первого Всесоюзного совещания, М., 1927, стр. 587.

163 „სკკპ... რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 218.

კლუბებთან არსებული იურიდიული კონსულტაცია ქალს ეხმარებოდა თავისი იურიდიული უფლებების გარკვევაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტია, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალთა კლუბებს, ხშირად აწყობდა ქალთა კლუბების და გლეხქალთა კუთხეების მუშაკთა თათბირებს, რომელზეც სახავდა საკლუბო მუშაობაში ახალ-ახალ ამოცანებს. 1926 წელს ბაქოში ოქტომბრის თვეში მოწვეულმა ამიერკავკასიის ქალთა კლუბებისა და გლეხქალთა კუთხეების მუშაკთა თათბირმა მოისმინა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში არსებული კლუბების მუშაობის ანგარიში. ეს თათბირი საკლუბო მუშაობის შედეგების ერთგვარი დათვალიერება იყო, სადაც იმსჯელეს არსებულ ნაკლოვანებებზე და დასახეს მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები[164].

1927 წელს მოსკოვში ქალთა კლუბების მუშაკთა I საკავშირო თათბირმა დიდი ყურადღება დაუთმო აღმოსავლეთ ქალთა შორის მუშაობაში კლუბების როლს და შეიმუშავა „ქალთა კლუბების დებულება“[165], რომელიც გადაიქცა საკლუბო მუშაობის სახელმძღვანელო პროგრამად.

1928 წელს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესია თვლიდა რა კლუბებსა და გლეხ ქალთა კუთხეებს ეროვნული უმცირესობის ქალთა შორის მუშაობის ძირითად ფორმად, დღის წესრიგში აყენებდა კლუბებისა და კუთხეების ქსელის გაფართოების საკითხს[166].

წლების მანძილზე მუსულმან ქალთა შორის დიდი პოპულარობა მოიხვეჭეს კლუბებმა, მათ დიდი როლი შეასრულეს საქართველოს მუსულმან ქალთა გამოღვიძების, გათვითცნობიერებისა და სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის საქმეში. 1928 წლისათვის თბილისისა და ბათუმის კლუბები აერთიანებდა 800-მდე მუსულმან ქალს[167]. კლარა ცეტკინმა დაათვალიერა თბილისისა და ბათუმის მუსულმან ქალთა კლუბები და მათ „რევოლუციური ძალების შემკრები პუნქტი“ უწოდა[168].

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გამოიყენა რუსეთის კომპარტიის მიერ ქალთა შორის მუშაობის გამოცდილი და პრაქტიკაში დანერგილი ფორმები და შეიმუშავა საქართველოს სპეციალური პი-

---

164 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2217, ფურც. 46—48.

165 Женские клубы на Востоке, Сборник материалов Всесоюзного совещания работников женских клубов. М., 1927, стр. 3.

166 გაზ. „მუშა“, № 1561, 1928, 3 თებერვალი, გვ. 3.

167 მლისფპა, ფ. 14 აღწ. I, საქ. 2195, ფურც. 112—114.

168 К. Цеткин, «Кавказ в огне», М., 1926.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობების შესაბამისი ახალი მეთოდები. ამგვარად, თვით ცხოვრება ქმნიდა ქალთა შორის მუშაობის ახალ შესაფერ ფორმებს.

ყველა ამ ფორმებისა და მეთოდების გამოყენების ბაზაზე იზრდებოდა პარტიის ირგვლივ დარაზმული მშრომელ ქალთა მასა.

* * *

მშრომელ ქალთა შორის მუშაობის ერთ-ერთი თავისებური ფორმა იყო ქალთა საერთაშორისო დღის რვა მარტის დღესასწაული. კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ კამპანიას და ყოველთვის ზრუნავდა მის მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის.

საქართველოს მშრომელებმა პირველად რვა მარტი იდღესასწაულეს 1921 წელს თბილისში[169], საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ფეხდაფეხ. ისინი ამ დღეს წითელი დროშებით და ლოზუნგებით გამოვიდნენ დემონსტრაციაზე. ალექსანდროვის ბაღში[170], ძმათა სასაფლაოზე გამართულ მიტინგზე ქალებს მიესალმა და ამ დღესასწაულების მნიშვნელობა განუმარტა ფ. მახარაძემ[171]. ეს იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მიერ მშრომელ ქალთა შორის მასობრივ პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაშლელად ჩატარებული პირველი ღონისძიება. უფრო ფართოდ და საზეიმოდ 8 მარტი იდღესასწაულეს 1922 წელს, მას 1921 წელთან შედარებით მასობრივი ხასიათი ჰქონდა. დღესასწაული მოედო საქართველოს ბევრ რაიონს. საქალაქო და სამაზრო პარტიულ კომიტეტებთან ახლად ჩამოყალიბებული ქალთა განყოფილებები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩაეტარებინათ დღესასწაული. მაგალითად, სიღნაღის მაზრაში ქალთა განყოფილების ინიციატივით ჩატარდა ქალთა კონფერენცია, გამოიცა საგანგებო გაზეთი „8 მარტი“, შეიქმნა დამშეულთა დამხმარე კომისია, რომელმაც შეწირულობის სახით შეაგროვა 4.272.000 მანეთი[172].

ნუკრიანში ქალთა საზეიმო კრების შემდეგ გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა და სათესლე არტელი[173]. ბორჩალოში ქალთა განყოფილების მიერ მოწყობილ საზეიმო კრებაზე ქართ-

---

169 აღსანიშნავია, რომ თბილისი იყო ამიერკავკასიაში პირველი ქალაქი, სადაც პირველად ჩატარდა ეს დღესასწაული.

170 დღევანდელი ბაქოს 26 კომისრების სახელობის ბაღი თბილისში.

171 გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 11 მარტი.

172 გაზ. „კომუნისტი“, 1922 წლის 22 მარტი.

173 გაზ. „კომუნისტი“, 1922 წლის 21 მარტი.

ველ ქალებთან ერთად შეიკრიბნენ აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი, გერმანელი და ებრაელი ქალები, რომლებმაც დაგმეს წარსულში მუსულმანების მიერ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა და ფიცი დადეს შეენარჩუნებინათ ხალხთა ძმობა და მშვიდობა[174].

თბილისში ჩატარებული დღესასწაული წმინდა ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდა. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ქალთა განყოფილებამ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებამ და თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებამ ერთად მოაწყვეს მუსულმან, იეზიდ და ებრაელ ქალთა სპეციალური კონფერენცია, რომელიც მიმართული იყო ნაციონალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, ინტერნაციონალური დროშის ქვეშ[175].

მეტად დამახასიათებელია თბილისში როზა ლუქსემბურგის ძეგლის გახსნაზე გამოსული მუსულმანი ქალის საჯარო განცხადება: „მე ვაგდებ ამ ჩადრს, მაგრამ ამ ჩადრის შიგნით ჩვენ გვაქვს მეორე უფრო სქელი ჩადრი, რომლითაც საუკუნოდ შებოჭილია ჩვენი სული, ეს ჩადრია უმეცრება. მისი გადაგდება ასე ადვილი არ არის, ამიტომ გთხოვთ პირველ რიგში გვასწავლოთ წერა-კითხვა, მხოლოდ მაშინ შევძლებთ ჩვენ უკუნეთიდან ახალ გზაზე გამოსვლას“[176]. მშრომელმა ქალმა პირველად საჯაროდ განაცხადა სწავლის სურვილი, ახალი ცხოვრების გზაზე გამოსვლის დაუშრეტელი სურვილი, მან პირველად იგრძნო თავი მშრომელთა დიდი ოჯახის თავისუფალ წევრად[177].

1923 წელს მშრომელმა ქალმა რვა მარტი იზეიმა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებისა და ყოფაცხოვრების მდგომარეობის გაუმჯობესების ლოზუნგით. ბავშვთა სახლები გაიხსნა თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისსა და თელავში. სამრეცხაო და სამკერვალო სახელოსნოები — ფოთში, ხოლო მუსულმან ქალთა კლუბი—თბილისში[178].

კომუნისტური პარტიის მიერ მუშაობის შედეგად მიღწეულ გარკვეულ ძვრებზე, წარმატებებზე და საერთო გამარჯვებებზე მეტყველებს 1924 წელს საქართველოში ჩატარებული ქალთა საერთაშორისო დღის— 8 მარტის დღესასწაული ლოზუნგით: „გახსოვდეს და ასრულებდე ილიჩის ანდერძს“[179].

---

174 „ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი“, ტფილისი, 1925, გვ. 33.
175 იქვე, გვ. 40.
176 იქვე, გვ. 44.
177 «Правда Грузии», 1922 წლის 8 მარტი.
178 გაზ. „კომუნისტი“, 1923 წლის 10 მარტი.
179 გაზ. „კომუნისტი“, 1924 წლის 18 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში მოწყობილ ზეიმში მონაწილეობას იღებდა 7 000 მშრომელი ქალი. ზეიმის დროს გაიხსნა „ბავშვთა მეგობრის“ საზოგადოება, რამაც ფართო გამოხმაურება პოვა მოსახლეობის ფართო ფენებში. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მოწოდებით მიმართეს მშრომელებს, — თავიანთი წვლილი შეეტანათ ამ მნიშვნელოვან წამოწყებაში. მშრომელ ქალთა შორის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის ზრდაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში 196 მოწინავე ქალი შევიდა პარტიის რიგებში[180]. 1925 წლის 8 მარტი საქართველოს ქალებმა იზეიმეს ლოზუნგით: „გახსოვდეს პროლეტარიატის ბელადის ანდერძი, გაჰყევ ლენინიზმის გზას, შედი ლენინის პარტიაში, უფრო მეტად შემჭიდროვდი საბჭოთა ხელისუფლების გარშემო“[181].

რკპ(ბ) XIII ყრილობის დადგენილებების შესაბამისად პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებამ ამ წელს ყურადღების ცენტრი გადაიტანა ქალაქებიდან პერიფერიებში გლეხქალთა შორის მუშაობაზე. ამიტომ 8 მარტის დღესასწაული ტარდებოდა უკვე სოფლებშიც, სადაც ეწყობოდა საზეიმო სხდომები, ქალთა კონფერენციები, სპექტაკლები და სხვ.

პარტია ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიმართულ ღონისძიებებს უკავშირებდა რვა მარტის დღესასწაულს. სწორედ ამით აიხსნება საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა პროექტის[182] და სისხლის სამართლის კოდექსში ქალთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიების ცვლილებების შესახებ პრესაში გამოქვეყნება[183].

კომუნისტურმა პარტიამ სოციალისტური მშენებლობის დაგვირგვინებისათვის დღის წესრიგში დააყენა მრეწველობის ინდუსტრიალიზაცია (1925 წლის დეკემბერი, პარტიის XIV ყრილობა). ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებაში დიდი როლი ენიჭებოდა მშრომელ ქალებს, სწორედ ამიტომ 1927 წლის 8 მარტი მშრომელ ქალთა ძალების დათვალიერების დღედ იქცა. ამ მხრივ დამახასიათებელია ი. კიდაიშის[184] სიტყვა. ის წერს: „მუშა ქალებმა შეამოწმეს, თუ რამდენად აქტიურად ებმებოდნენ ისინი მრეწველობაში და რამდენად შეიგნეს გლეხის ქალებმა სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობა[185].

---

180 მლისფპა, ფ. 13, აღწ. I, საქ. 493, ფურც. 36.

181 იქვე.

182 იხ. გაზ. «Правда Грузии», 1926 წლის 5 მარტი.

183 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1926 წლის 7 მარტი.

184 ი. კ ი დ ა ი შ ი (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების მუშაკი).

185 იხ. „კომუნისტი“, 1927 წლის 8 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვა მარტის ზეიმი ყოველთვის პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. პარტიის ყოველი მორიგი ამოცანა მის ლოზუნგად ხდებოდა. წლიდან წლამდე მშრომელ ქალთა შორის პოპულარული ხდებოდა რვა მარტის დღესასწაული და სულ უფრო და უფრო მეტი ქალი ზეიმობდა ამ დღეს. ე. ი. წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო მეტი ქალი ებმებოდა კომუნისტური პარტიის მიერ გაჩაღებულ მუშაობაში.

კომუნისტური პარტია ცდილობდა ქალთა საერთაშორისო დღე გადაექცია საერთო-სახალხო დღესასწაულად. ამ მიმართულებით ყველაფერი კეთდებოდა, რათა მასში მშრომელ ქალებთან ერთად ხალისით ჩაბმულიყო მთელი მოსახლეობა. სწორედ ამ მიზნით, 1929 წლის რვა მარტისათვის სამზადისი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებამ დაიწყო იანვრის თვიდან[186]. ცენტრალურ აღმასრულებელ კომტეტთან არსებულ ქალთა განყოფილებამ ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიასთან ერთად დასახა მთელი რიგი ღონისძიებები. უპირველეს ყოვლისა, ზეიმის მომზადებაში მონაწილეობა უნდა მიეღო ყველა სახალხო კომისარიატს: შრომის, მიწის, განათლების, ჯანმრთელობისა და იუსტიციის კომისარიატებს, მთავარი პოლიტგანათლების სამმართველოს, პროფსაბჭოს და ალკკ-ის ცენტრალურ კომიტეტს. გარდა ამისა, ეს დღე გამოცხადდა უმეცრების, რელიგიის და, საერთოდ, წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ[187] კულტურული ლაშქრობის დასაწყისად.

სადღესასწაულოდ მოსამზადებელ პერიოდში საქართველოს ქალაქებსა და მაზრებში ეწყობოდა კოოპერაციის, საბჭოთა, პროფესიული, სამეურნეო და კომკავშირის ორგანიზაციების გაერთიანებული თათბირები, სადაც სახავდნენ ზეიმის ჩასატარებლად პრაქტიკულ ღონისძიებებს. ზოგან ეს საკითხი იდგა საორგანიზატორო — სარაიონო და სათემო თათბირებზე და ქალთა აქტივის კრებებზე[188] (მაგალითად, თბილისში, აფხაზეთში, ქუთაისში, სამხრეთ ოსეთში და სხვაგან).

პარტიის ჩატარებული ღონისძიებების შედეგად 1929 წლის 8 მარტის დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა საბჭოთა, პროფესიონალურმა, კოოპერაციულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რაც გამოიხატა რიგი საყოფაცხოვრებო დაწესებულებების გახსნით და ასეთი დაწესებულებებისათვის არსებული მატერიალური დახმარების აღმოჩენით.

---

186 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3425, ფურც. 67.

187 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1929 წლის 3 მარტი.

188 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3425, ფურც. 69.

ამ დღისათვის ჯანმრთელობის კომისარიატმა გაატარა „დედათა და ბავშვთა დაცვის“ სამდღიური. ხონში (დღევანდელი წულუკიძე) ტა თელავში გახსნა ბავშვთა ბაგა, სამტრედიაში საბავშვო კერა, ხოლო ახალქალაქში და ბაშკიჩეთში ბავშვთა კონსულტაცია[189]. სულ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში გაიხსნა 10 საბავშვო ბაღი, მათ შორის 2 აჭარაში. აღსანიშნავია, რომ აქედან ერთი სომხური საბავშვო ბაღია ახალქალაქში და ორი თურქული საბავშვო ბაღია ახალციხესა და ბორჩალოში[190]. იუსტიციის კომისარიატმა მარტის ბოლოსათვის განიხილა 246 საქმე, რომელიც ეხებოდა ქალთა უფლებებს. ორ რაიონში (ბორჩალოსა და ახალქალაქის) მოაწყო საჩვენებელი პროცესები, სადაც დაიცვა ქალთა სამართლიანი უფლებები. რვა მარტისადმი მიძღვნილი ქალთა კრებები გამოიყენა საბჭოთა კანონმდებლობით ქალთა გათანაბრების პოპულარიზაციისათვის. შრომის კომისარიატმა საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მშრომელ ქალთა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიას გადასცა 6000 მანეთი. კომისიამ ეს თანხა დანიშნულებისამებრ გამოიყენა და 650 ქალი მოაწყო სამუშაოზე[191]. პროფკავშირების დახმარებით ოზურგეთის აბრეშუმის და ქუთაისის მაუდის ფაბრიკებთან გაიხსნა საბავშვო ბაგები, ღარიბ მუშა ქალებს დაურიგდათ 500 მანეთი, ადგილკომებში აირჩიეს 4 ქალი, ორი ქალი დააწინაურეს ადგილკომის მდივნებად, ხოლო 6 ქალი სხვადასხვა სამუშაოზე. თბილისში მუსულმან ქალთა კლუბთან გაიხსნა ტრიკოტაჟის არტელი 19 ქალისათვის, ხოლო შალის სართავ-საქსოვი ფაბრიკა 350 ქალისათვის, ბორჩალოს მაზრაში გაიხსნა ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა, ზესტაფონში — სამკერვალო არტელი, ხოლო ოზურგეთში — საქსოვი არტელი. გაიხსნა კოოპერატორ ქალთა გადასამზადებელი კურსები. ამავე დროს ჩატარდა ღარიბი ქალების სამომხმარებლო კოოპერაციაში გაერთიანება. მთელ რიგ რაიონებში ღარიბთა ფონდის გამოყენებით ქალებისათვის გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო არტელები და სხვ. დღესასწაულთან დაკავშირებით კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს 142 მოწინავე ქალი, ხოლო კომკავშირის რიგებში — 74 გოგონა[192].

აქ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ 1929 წელს რვა მარტის დღესასწაული ნამდვილად ატარებდა მასობრივ ხასიათს. თითქმის საქართველოს ყველა კუთხეში ამ კამპანიაში მონაწილეობა მიიღო ყვე-

---

189 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3425, ფურც. 70.

190 გაზ. „კომუნისტი“, 1929 წლის 9 მარტი.

191 იქვე.

192 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3425, ფურც. 71.

ლა საბჭოთა, პროფესიულმა, კოოპერაციულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ. ამ ორგანიზაციების დახმარებით გაფართოვდა ... მოყალიბდა რიგი ახალი დაწესებულებები, რომელნიც პრაქტიკულად უწყობდნენ ხელს ქალის ნამდვილ განთავისუფლებას. ასეთ დაწესებულებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა: საბავშვო ბაგები, კონსულტაციები, საბავშვო სახლები და ბაღები, სახელოსნოები, პროფესიულ-ტექნიკური სკოლები, ქალთა კლუბები და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია, რომ რვა მარტის დღესასწაულები ფართო გამოხმაურებას პოულობდა პრესაში. ცენტრალური გაზეთები: „კომუნისტი", „პრავდა გრუზიი", „ზარია ვოსტოკა", „მუშა" და „ახალი სოფელი", ხოლო ჟურნალები „ამიერკავკასიის მშრომელი ქალი", „ჩვენი გზა" და „მშრომელი ქალი" თავის ფურცლებზე უხვად აშუქებდა ქალთა ზეიმის დღისადმი მიძღვნილ მასალებს. თითქმის ყოველი წლის ამ დღის ნომერში ვხვდებით ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მოწინავეს. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მისალმებებს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების — ქ. ცეტკინის, ნ. კრუპსკაიას, მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის და სხვათა წერილებს, პარტიულ კომიტეტებთან არსებულ ქალთა განყოფილების გამგეების და სხვა აქტიური მუშაკების — ო. კიდაიშის, ნ. ალაჯალოვას, ლ. გასვიანის, ვ. გეგეშიძის, თ. გორგაძის, ი. ადამიძის და სხვათა ფართო ანგარიშებს. საქართველოს მშრომელ ქალთა მიერ სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა ფრონტზე მიღწეულ წარმატებებს თუ ნაკლოვანებებს და მომავალი მუშაობისადმი მიძღვნილ სტატიებსა და წერილებს.

მაშასადამე, კომუნისტურმა პარტიამ ქალთა საერთაშორისო დღის დღესასწაული გამოიყენა როგორც ქალთა მასობრივი აღზრდის შესანიშნავი ფორმა. ამ ზეიმით იგი აწყობდა მშრომელ ქალთა ძალების დათვალიერებას, აღნუსხავდა წარმატებებსა თუ ნაკლოვანებებს და სახავდა შემდგომი მუშაობისათვის ახალ ამოცანებს. ამ დღეს პარტია ატარებდა ყველა იმ პრაქტიკულ ღონისძიებას, რომლითაც ქალი წლიდან წლამდე თავისუფლდებოდა, ვ. ი. ლენინის გამოთქმით, არამწარმოებლური, დამაჩლუნგებელი, დამაბეჩავებელი შრომისაგან, რითაც მას შესაძლებლობა ეძლეოდა ჩაბმულიყო სოციალისტური მშენებლობის საერთო ფერხულში.

ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის — 8 მარტის წყალობით კომუნისტური პარტია ერთი დროშის ქვეშ აერთიანებდა და რაზმავდა

საბჭოთა კავშირის მშრომელ ქალებს. ეს დღესასწაული საყოველთაო ხასიათს ატარებდა და სოციალისტური საზოგადოების აშენების დიადს საქმეს ემსახურებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ანტირელიგიური პროპაგანდა და პარტიის ლენინისეული ბრძანება ძველი ყოფითი ჩვევების წინააღმდეგ

საუკუნეთა მანძილზე ქალის ყველაზე სასტიკი მტერი სარწმუნოება იყო. ქალი, რომელიც მამაკაცთან შედარებით ყოველთვის მეტად იყო დატვირთული ოჯახური საქმეებით, ოჯახური ყოფით და ბავშვების მოვლით მთლიანად იზოლირებული აღმოჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. რელიგია, რომლის კალთის ქვეშ იზრდებოდა ქალი, უნერგავდა მას მოთმინებას, მორჩილებას და ქმრისადმი პატივისცემას. ვერცერთ „საღვთო“ წიგნში ვერ შეხვდებით, რომ ქალი მამაკაცის თანასწორად იყოს მოხსენებული. ყურანში ნათქვამია, რომ „მამაკაცს შეუძლია მოეპყრას თავის ცოლს სურვილისამებრ“[193]. მორწმუნე ებრაელი ყოველდღე მიმართავდა ღმერთს შემდეგი ლოცვით: „გმადლობთ შენ უფალო ღმერთო, რომ ქალად არ გამაჩინე“. „დაბადებაში“ ასეთი ადგილიც კი გვხვდება „დიდად სამარცხვინოა და სათაკილო, როდესაც ცოლი ჯობს თავის ქმარს“. ამავე წიგნში შეურაცხოფილია ქალის პიროვნება, „ქალი სიკვდილზე უმწარესია, მისი გული მახეა, ხელები ბორკილები“. ქრისტიანობა ქადაგებდა, რომ „ცოლს მართებს შიში ქმრისა თვისა; ცოლო, იყავ მორჩილი ქმრისა შენისა“[194] და სხვ.

საქართველოში ქართველი ქალი, ისე როგორც ყველგან, შებოჭილი იყო სარწმუნოებით, ძველი ზნე-ჩვეულებებით, ცრუმორწმუნეობით, ადათებით, ყოფითი გადმონაშთებით და სხვ. განსაკუთრებით დაბეჩავებული იყო ქალი საქართველოს განაპირა რაიონებში — აჭარაში ახალციხისა და ბორჩალოს მაზრებში. აქ ქალი ჩადრით სახედაბურული დადიოდა. ქალთა დიდი უმრავლესობა სკოლებს გარეთ რჩებოდა. ისინი აღზრდას მოლებთან ღებულობდნენ, ეს კი მეტად აძლიერებდა და ამტკიცებდა მათზე ძველი ზნე-ჩვეულებებისა და რელიგიის გავლენას. ხევსურ ქალთა მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იყო. მშობიარობის დროს ქალი ოჯახიდან იდევნებოდა ბოსელში, ნათესავების ყურადღების გარეშე.

გარდა ამისა, რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრებში არსებობდა ქა-

---

193 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2133, ფურც. 194.

194 წიგნი ისო ზირაქისა, გვ. 25—27.

ლისათვის მეტად დამამცირებელი მრავალცოლიანობა, ქალის მოტაცება, ადგილი ქონდა მცირეწლოვანთა ქორწინებას და სხვ.“[195].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში მოსახლეობის ეროვნული სიჭრელით იყო გამოწვეული მართლმადიდებლური რელიგიის გვერდით გრიგორიანული, კათოლიკური, მუსულმანური, იუდაისტური და სხვა სარწმუნოებათა არსებობა, რომელნიც წლების მანძილზე უნერგავდნენ ქალებს, რომ მათი საქმიანობა ძირითადად უნდა იფარგლებოდეს რელიგიით, სამზარეულოთი და ბავშვების მოვლით. ჩამოთვლილი სარწმუნოებანი ყოველნაირად ცდილობდნენ შეეზღუდათ ქალის საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არსებულ ქალთა საეპარქიო სასწავლებლებში, მედრესებში, იუდაისტურ სკოლებში ქალთა რელიგიური სულისკვეთებით აღზრდა დაკავშირებული იყო რელიგიის გავლენის ზრდასთან. სწორედ ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საქართველოს მთავრობამ გამოსცა დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ, გამოაცხადა, აგრეთვე, სინდისისა და ანტირელიგიური პროპაგანდის თავისუფლება[196], რითაც პირველი ლახვარი ჩასცა სამღვდელოებას და მასზე დაყრდნობილ კონტრრევოლუციურ ანტისაბჭოთა პარტიებს. ამ დეკრეტის საფუძველზე მომავალი თაობის აღზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ხელში გადადიოდა.

რესპუბლიკის მოსახლეობის მრავალფეროვანი შემადგენლობა, სხვადასხვა რაიონებში ქალთა სხვადასხვა კულტურული დონე, არაერთნაირი დამოკიდებულება სარწმუნოებასთან,—გახდა იმის განმსაზღვრელი, რომ სახელმწიფომ გაითვალისწინა ადგილობრივი თავისებურებანი და სიფრთხილით ახორციელებდა ეკლესიების გამოყოფას სახელმწიფოსაგან და სკოლისა — ეკლესიისაგან. 1926 წლამდე ანტირელიგიური მუშაობის გაშლა დაკავშირებული იყო დიდ სიძნელეებთან, განსაკუთრებით მივარდნილ და ჩამორჩენილ რაიონებში, იქ სადაც ჯერ კიდევ ბატონობდა რელიგიური ფანატიზმი. „თუ აჭარელი ქალის თვალის ახელაში ვინმემ რაიმე თქვა, ცოდვა ყოფილა, ვინაიდან ეს რელიგიის, სარწმუნოების შელახვას ნიშნავს“[197].

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოს მოსახლე-

---

195 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2133, ფ. 194.

196 საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული 1921—1940 წ., ტ. I, თბილისი, გვ. 11.

197 ჟურნ. „ჩვენი გზა“, № 7, 1924, გვ. 43.

ობაში ანტირელიგიური პროპაგანდა ათეისტური ხასიათის ლექციებით დაიწყო, რომლის პარალელურად ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის შეცდომებისა და სერიოზული გადახრების შედეგად რელიგიური დაწესებულებებისა და სასულიერო პირების მიმართ ადმინისტრაციულ ღონისძიებებსაც იყენებდნენ. სულ რამდენიმე თვის განმავლობაში რესპუბლიკაში დახურეს 1500 ეკლესია და რამდენიმე ათეული სინაგოგა[198].

ეკლესიების გაუქმებას წინ უძღოდა გარკვეული მოსამზადებელი მუშაობა მოსახლეობაში, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზე იხურებოდა ეკლესიები, თუმცა ადგილი ჰქონდა რიგ დამახინჯებებსაც. საგულისხმოა, რომ სინაგოგები დახურეს იმ შეკრებათა გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელთა მონაწილე გლეხებს საერთო არა ჰქონდათ რა იუდაისტურ რელიგიასთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის სექტემბრის პლენუმმა[199] და 1924 წლის პარტიის მესამე ყრილობამ[200] ყურადღება გაამახვილეს ანტირელიგიური პროპაგანდის გაშლის მიმართულებით.

საქართველოში ანტირელიგიურ შემდგომ მუშაობას საფუძვლად დაედო რკპ(ბ) XIII ყრილობის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ „აუცილებელია გადაჭრით აღმოვფხვრათ რელიგიურ ცრუმორწმუნეობასთან ადმინისტრაციული ზომებით ბრძოლის ყოველგვარი ცდები, მაგალითად ეკლესიების, მეჩეთების, სინაგოგებისა და სხვათა დახურვით“[201].

ხელმძღვანელობდა რა ზემოაღნიშნული დადგენილებით, საქართველოს კომუნისტური პარტია ცდილობდა გამოესწორებია დაშვებული შეცდომები და გაეტარებია ანტირელიგიური მუშაობის დროს სწორი პოლიტიკა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს და პრეზიდიუმის სხდომებზე, ქალთა განყოფილებების გამგეთა თათბირებსა და კონფერენციებზე ანტირელიგიური მუშაობის საკითხების განხილვის შედეგად სკოლებში, ქოხ-სამკითხველოებში, ქალთა კრებებზე, ქალთა კუთხეებში, კლუბებში და სადელეგატო კრებებზე გაშალეს ფართო ათეისტური პროპაგანდა[202].

---

198 Четвертое совещание ЦКРКП(б) с ответ-работниками национальных республик и областей, 1924, стр. 124.

199 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 292, ფურც. 33

200 იქვე, საქ. 976, ფურც. 20—22.

201 „სკკპ... რეზოლუციებში“, ნაწ. II, თბილისი, 1955, გვ. 65—66.

202 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 486, ფურც. 137.

ქალთა განყოფილებები რელიგიურ გადმონაშთებთან ბრძოლას იწყებდნენ იდეოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობით. განყოფილებები ფართოდ იყენებდნენ პრესას, რომლის ფურცლებზე გარკვეულ ადგილს უთმობდნენ ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხებს. ამუშავებდნენ ათეისტური ხასიათის საუბრებსა და ლექციების პროგრამებს, ქალებს აერთიანებდნენ საბუნებისმეტყველო და ათეისტურ წრეებში.

პროპაგანდა მიმდინარეობდა რელიგიასთან ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებისა და ფორმების გამოყენებით. 1926 წლიდან პროპაგანდა სისტემატურ და გეგმიან ხასიათს ატარებდა, რასაც ხელმძღვანელობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება.

1926 წლის სექტემბერში ყველა მაზრასა და თემში დაგზავნილი მიმართვებიდან ირკვევა, რომ პარტიული ორგანიზაციები, კომკავშირი, პროფკავშირი და პოლიტ-განათლების მთავარი სამმართველო ამ მიმართებით მეტად სუსტად მუშაობდა, რამაც განაპირობა ზოგიერთ ადგილზე რელიგიური განწყობილების ზრდა, სამღვდელოების ავტორიტეტისა და აქტიურობის გაძლიერება და სხვადასხვა სექტანტური მოძღვრების გავრცელება[203]. რა იყო ამის მიზეზი?

სოციალისტური მშენებლობის ამ ეტაპზე პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი სარწმუნეობასთან და მას იყენებდნენ იარაღად პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მღვდლები, მოლები, დიაკვნები, ხახამები და სხვა რელიგიური კულტის მსახურნი, სარგებლობდნენ რა მასებში ჯერ კიდევ შემორჩენილი გავლენით, ყოველ ღონეს ხმარობდნენ არ დაეკარგათ გავლენა და ავტორიტეტი მათ შორის. წერა-კითხვის უცოდინარობა და კულტურული ჩამორჩენილობა მათ ხელს უწყობდა ფარული ზრახვების განხორციელების საქმეში.

1928 წელს საქართველოში შექმნილი უღმერთოთა ბრძოლის კავშირი — ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის მუშაობაში ჩაებენ ყველა ეროვნების წარმომადგენლები, იწყებენ იდეოლოგიურ ბრძოლას რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ. კავშირი მუშაობას ეწეოდა ანტირელიგიური პროპაგანდით და თავისი მოღვაწეობით უკავშირდებოდა სოციალისტური მშენებლობის მორიგ ამოცანებს. „უღმერთოთა კავშირი უმარტავდა მასებს რელიგიის კლასობრივ არსს, რელიგიური დოგმატიზმის სოციალურ არსს და ხელს

---

203 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2133, ფურც. 17.

უწყობდა ხალხთა მასების რელიგიური შეხედულებებისაგან განთავისუფლების საქმეს"[204]. თბილისში უღმერთოთა კავშირში 1929 წელს ირიცხებოდა 5650 კაცი. კავშირს ჰქონდა 109 უჯრედი, მუშაობდა 48 ანტირელიგიური წრე, რომელშიც 730 მსმენელი იყო[205].

უღმერთოთა კავშირის წევრები, ქალთა განყოფილებების წარმომადგენლებთან ერთად, იწყებენ ქალთა შორის ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას და ათეისტური ხასიათის ლექცია-საუბრებით აღწევენ რიგ წარმატებებს.

განსაკუთრებით ფართო ანტირელიგიური კამპანია ჩაღდებოდა რელიგიური დღესასწაულების დროს, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და სადელეგატო კრებების აქტიური დელეგატი ქალები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების 1926 წლის 20 აპრილის წერილში ვკითხულობთ: პარტიული კომიტეტების ყურადღება უნდა გამახვილებულიყო მოახლოებული ტრადიციული რელიგიური დღესასწაულის „აღდგომის" წინააღმდეგ. ანტირელიგიური პროპაგანდა უნდა ეწარმოებიათ ქოხ-სამკითხველოებში, კლუბებში, სადელეგატო კრებებზე, გლეხ-ქალთა კუთხეებში, ჭრა-კერვის წრეებში, საბუნებისმეტყველო ხასიათის და ათეისტური ლექციების ციკლით. ამავე წერილში ყურადღება გამახვილებულია, აგრეთვე, იმაზე, რომ „კომუნისტებს და კომკავშირლებს ეკრძალებოდათ უადგილო გამოსვლები რელიგიის წინააღმდეგ"[206].

ამდროისათვის პარტია ძირითადად ათეისტური მუშაობის დროს ეყრდნობოდა მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდას და არავითარ შემთხვევაში არ უშვებდა რაიმე ადმინისტრაციული ზომების გამოყენებას.

ჯერ კიდევ 1924 წელს საქართველოს ქალთა განყოფილების გამგეთა თათბირზე ძველ ყოფაცხოვრებითს და რელიგიურ დღესასწაულებს უპირისპირებდნენ ახალი კომუნისტური ყოფითი ჩვეულების გამომუშავებას. „ოქტომბრის" წესით ნათლობას, საბჭოთა წესით ქორწინებას და სხვ.[207]. ანალოგიურად ცდილობდნენ რელიგიური დღესასწაულებისათვის საბჭოთა დღესასწაულების დაპირისპირებას. ამ მიზნით 1927 წელს გორის მაზრაში, სოფელ ტყვიავში, აპრილში, პარტიულმა უჯრედმა დელეგატ ქალებთან ერთად ჩაატარა სოფლის ქალთა საზოგა-

---

204 Большая Советская энциклопедия, т. 40, стр. 214.

205 „კომუნისტი", № 32, 1928 წლის 9 მარტი.

206 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 1832, ფურც. 3.

207 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 1325, ფურც. 19—25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოების კრება. კრებაზე ყურადღება გაამახვილეს რელიგიური დღესასწაულის „ამაღლების“ ჩატარების წინააღმდეგ. კრებამ დაადგინა, რელიგიური დღესასწაულის „ამაღლების“ ნაცვლად ჩაეტარებიათ პროლეტარიატის სოლიდარობის დღესასწაული 1 მაისი[208].

ანტირელიგიური პროპაგანდის სისტემატური წარმართვის შედეგებზე მეტყველებს ლაგოდეხის სასოფლო საბჭოში შემავალ ქალთა სადელეგატო პუნქტებისა და კოლმეურნე და ინდივიდუალურ მეურნე ქალთა კრების დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია: „ქალები ერთხმად მოითხოვდნენ რომ ამიერიდან აღარ იუქმონ არც ერთი რელიგიური დღესასწაული“[209]. ეწყობოდა კომკავშირული აღდგომები, კომკავშირული შობა, რომელიც ძირითადად ტარდებოდა ქალაქგარეთ. ეს იყო მასობრივი ღონისძიებები, რომელშიც მონაწილეობდნენ, აგრეთვე, კომკავშირელი და უპარტიო ქალიშვილებიც. შემდგომ ასეთი შეკრებები ქალაქგარეთ მიზანშეუწონლად ცნეს, ვინაიდან იგი ვერ აერთიანებდა ახალგაზრდობის დიდ ნაწილს, რადგან ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ქალაქში რჩებოდა. 1928 წლისათვის ახალგაზრდობის შეკრებები ქალაქში გადმოიტანეს. ამ ღონისძიების შედეგად შეკრებებზე წლების მანძილზე ათასობით ახალგაზრდა კაცი და ქალი ცხადდებოდა.

რიგი წლების მანძილზე ჩატარებული ანტირელიგიური მუშაობა თავის პირველ შედეგებს იმკიდა. „საეკლესიო დღესასწაულებმა დაკარგეს თავისი მნიშვნელობა, მღვდლები უკვე ვეღარ ატყუებენ ხალხს. მათ ბნელ ზრახვებში ქალები ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდნენ. ეკლესია უარყვეს, რომლის ნაცვლად ქოხ-სამკითხველოებს ეტანებიან“[210].

ბერეჟოულის გლეხმა ქალებმა ერთხელ და სამუდამოდ უარყვეს საეკლესიო დღესასწაულები. მის ნაცვლად დღესასწაულობდნენ რევოლუციურ დღესასწაულებს[211].

ქალთა განყოფილებები პროპაგანდას უწევდნენ ბავშვთა წითელ ნათლობებს, ახალ საბჭოთა ქორწინებას, სამოქალაქო პანაშვიდებს,

---

208 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 22—23, 1927, გვ. 27.
209 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 1, 1932.
210 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 8, 1928, გვ. 28.
211 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციურ დღესასწაულებს. ქალთა შორის ამ ახალი ჩვევების დანერგვა, ნ. კრუპსკაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „არა მარტო კომუნისტურ იდეებთან დაკავშირება იყო, არამედ ეკლესიის გავლენისაგან მათი განთავისუფლების საწინდარიც“[212].

მართალია, ქალთა განყოფილებებმა ანტირელიგიური პროპაგანდის დარგში წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ ათეისტურმა მუშაობამ ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ გაშალა ფრთები რიგი ხელისშემშლელი პირობების გამო, რომელთა შორის აღნიშვნის ღირსია: რელიგიური ფანატიზმის ტყვეობაში მოქცეული მუსულმანური, იუდაიზმის და ქრისტიანული რელიგიის სექტანტების მიმდევართა დიდი რაოდენობა და მათ შორის ანტირელიგიური მუშაობისათვის გამოცდილი კადრების სიმცირე.

1927 წლისათვის საქართველოში მუსულმანურ რელიგიას 412 სასულიერო პირი ემსახურებოდა. მარტო ახალციხის მაზრაში 69 მეჩეთი მოქმედებდა, ბორჩალოს მაზრაში კი 23[213]. იმავე ახალციხის მაზრაში ათეისტი პროპაგანდისტები თითებზე ჩამოითვლებოდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1929 წლის 8 იანვარს განიხილა მოსახლეობაში რელიგიური მოძრაობის და ანტირელიგიური აგიტაციისა და პროპაგანდის საკითხი. აღინიშნა რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაში ნაწილობრივი გამოცოცხლება, რასაც ჩვენს მიერ აღნიშნულ მიზეზებთან ერთად ხელი შეუწყო პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღების მოდუნებამ. მიღებული დადგენილებით გათვალისწინებული იყო აღეკვეთათ ანტირელიგიური მუშაობის კამპანიური ხასიათი, გეგმიანად, სისტემატურად და ღრმად დაემუშავებიათ რელიგიისა და ათეიზმის საკითხები, ადგილებზე შეექმნათ უღმერთოთა მებრძოლი კავშირები, თბილისში მოეწყოთ ანტირელიგიურ პროპაგანდისტთა კადრების სპეციალური კურსები, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მომზადების მიზნით. ყურადღება უნდა გამახვილებულიყო მუშათა კლუბებში, წითელ კუთხეებში, ქოხ-სამკითხველოებში, ბიბლიოთეკებში, სადელეგატო კრებებზე, პოლიტწრეებში და სხვა ორგანიზაციებში ანტირელიგიური ხასიათის ლექცია-საუბრებზე. ათეისტური პროპაგანდის სათანადო წარმართვას ხელს უშლიდა, აგრეთვე, ათეისტური მეცნიერულ-პროპაგანდისტული ლიტერატურის უქონლობა ადგილობრივ ენებზე. ცენტრალური კომიტეტი გადაუდებელ ამო-

---

212 Н. Крупская, О работе среди женщин. Сборник статей, стр. 394.
213 მლისფპა, ფ. 13, აღწ. I, საქ. 2305, ფურც. 11—13.

ცანად თვლიდა ყველა ლეგალური და არალეგალური რელიგიური სკოლის დახურვას[214].

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულმა დადგენილებამ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ანტირელიგიური პროპაგანდის საქმეში, რამაც განაპირობა ჩვენი პარტიისა და მთავრობის წარმატებები ამ მიმართებით. ანტირელიგიური პროპაგანდის პარალელურად საქართველოში მიმდინარეობდა აშკარა ბრძოლა წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ: ქალის ყიდვა-გაყიდვა, მრავალცოლიანობა, ჩადრის ტარება, მცირეწლოვანთა გათხოვება, აკვანში დანიშვნა, ექიმბაშობა, სისხლის აღება, ქალის მოტაცება და სხვ., რომელიც, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის, როგორც მემკვიდრეობით მიღებული მავნე ტრადიციები.

წარსული ჩვეულებისა და ტრადიციების მავნებლობა, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ისინი იწვევდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას და პიროვნების უფლებების შელახვას, მატერიალური რესურსების დაუზოგავად ფლანგვას, სამუშაო დღის გაცდენას, დამღუპველად მოქმედებდნენ ადამიანის ჯანმრთელობაზე და ფსიქიკაზე. სწორედ ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკის სოციალისტურად გარდაქმნის დროს ქალთა მასების კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად საჭირო იყო ამ მავნე ტრადიციებთან სასტიკი ბრძოლის წარმოება.

1926 წლის შემოდგომაზე საკავშირო კომუნისტური პარტიის მოწოდების საფუძველზე მთელს საბჭოთა კავშირში და, განსაკუთრებით, აღმოსავლეთის ქალთა შორის, დაიწყო ლაშქრობა წარსულის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად. პირველად მუშაობა ძველი ჩვეულებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით გაიშალა შუა აზიის რესპუბლიკაში, სადაც ამ მოძრაობას ეწოდა „ხუჯუმი"[215], ხოლო მსგავსი ხასიათის სამუშაოები 1928 წლიდან დაიწყო ამიერკავკასიაში.

საკ. კპ(ბ) ამიერკავკასიის კომიტეტის ქალთა განყოფილებამ სამივე რესპუბლიკაში დაგზავნა დირექტივები კულტურულ-ყოფაცხოვრებითი ლაშქრობის მნიშვნელობის შესახებ"[216]. მთელ რესპუბლიკაში, ადგილებზე, აღნიშნული ცირკულარის თანახმად გამოყვეს სათემო და სასოფლო კომისიები ლაშქრობის ჩასატარებლად. კომისიებში შედიოდნენ პარტიის წევრები, კომკავშირლები, დელეგატი ქალები, პროფკავშირის წევრები და სხვა წარმომადგენლები.

კომისია იწვევდა დელეგატ ქალთა სათემო თათბირებს, სადაც

---

214 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3158, ფურც. 65—66.

215 ხუჯუმი — ძველი ფეოდალურ-პატრიარქალური ჩვეულების წინააღმდეგ შეტევა.

216 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3429, ფურც. 81—82.

სწავლობდნენ საკითხს კულტურულ-ყოფაცხოვრებითი ლაშქრობის მნიშვნელობაზე და მასში დელეგატ ქალთა მონაწილეობის შესახებ. შერჩეული აქტიური ქალები სხვადასხვა უბნებზე ხელმძღვანელობდნენ ლაშქრობებს.

პარტიამ დიდი მუშაობა ჩაატარა მთის რაიონების ეროვნული უმცირესობის გლეხქალთა შორის, სადაც განსაკუთრებით ფესვგადგმული იყო როგორც რელიგიური ფანატიზმი, ისე ძველი ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი.

აჭარელ და თურქ ქალთა შორის გაწეული ანტირელიგიური პროპაგანდის მუშაობის პირველი შედეგები შეაჯამა და ამ მუშაობის განვითარების და გაღრმავების გზები დასახა სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა I ყრილობამ, რომელიც შესდგა 1929 წლის 8—10 თებერვალს. აჭარელ და თურქ ქალთა ძველ, სულისშემხუთავი ყოფაცხოვრების პირობებისაგან განთავისუფლების საქმისათვის ყრილობას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, მან მოისმინა სპეციალური მოხსენება წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[217].

აღსანიშნავია, რომ მოძრაობა აჭარელ და თურქ ქალთა განთავისუფლებისათვის მიმართული იყო ქალის ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვის, ქალის დამონების ყველაზე უფრო აშკარა და უმსგავსო გამოხატულების — ჩადრის — წინააღმდეგ. ძირს ჩადრი! ამ ლოზუნგით დაიწყო და დაასრულა ყრილობამ თავისი მუშაობა.

მაგრამ ჩადრის ახდის კამპანიის მსვლელობის დროს სერიოზულად დაირღვა ნებაყოფლობითი პრინციპები, გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული ღონისძიებანი[218], რითაც ისარგებლეს მტრულად განწყობილმა ძალებმა და სასულიერო პირებზე დაყრდნობით გააჩაღეს ჩადრის ახდის წინააღმდეგ დიდი მუშაობა, რასაც, აგრეთვე, დაუკავშირეს მთავრობის მიერ სამეურნეო და სახელმწიფო ღონისძიებებით გამოწვეული უკმაყოფილება. ეს გამოსვლები ძირითადად დაკავშირებული იყო ჩადრის ახდის და მედრესების დახურვის კამპანიის შედეგად. რა თქმა უნდა, მას ხელი შეუწყო, აგრეთვე, იმ დარღვევებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა აჭარის ზოგიერთ მაზრაში სასოფლო-სამეურნეო გა-

---

217 იხ. „სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა ყრილობა". სტენოგრაფიული ანგარიში, თბილისი, 1929, გვ. 60—70.

218 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3428, ფურც. 13—17.

დასახლის აკრეფის და სავალდებულო სოცდაზღვევის შემოღებასთან დაკავშირებით[219].

1929 წლის თებერვალში აჭარის ზოგიერთ მაზრაში დაიწყო გამოსვლები. ამ მხრივ აღსანიშნავია ხულოს მაზრა. ადმინისტრაციულ დამახინჯებებს ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, ახალციხის რაიონში, სადაც 1929 წელს შეიქმნა „ოპერატიული ჯგუფები“, რომელნიც თავს ესხმოდნენ მედრესებს[220].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა 1929 წლის 5—8 აპრილს აღნიშნულ საკითხზე მოისმინა მოხსენება, დაგმო ადმინისტრაციული წესების გამოყენება ჩადრის ახდისა და მედრესების დახურვის დროს და დაადგინა, რომ რელიგიისა და ჩადრის წინააღმდეგ ბრძოლა განეგრძოთ უაღრესად ფხიზლად, ანტირელიგიური პროპაგანდით, ახსნა-განმარტებითი მუშაობით. ამასთან ერთად, ჩადრი პირველ რიგში უნდა მოეხსნათ პარტიის წევრებისა და კომკავშირლების ოჯახის წევრებს, მათვე მეტი რაოდენობით უნდა ჩაებათ ქალები კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში.

ხალხში ჯერ კიდევ არსებული გადმონაშთების წინააღმდეგ შეტევის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს, აგრეთვე, საქართველოს ცაკის მე-4 მოწვევის მესამე სესიის 1928 წლის 29 იანვრის დადგენილება სისხლის სამართლის კოდექსში განსაკუთრებული დებულების შეტანით იმ დანაშაულობათა შესახებ, რომლებიც შეადგენდა გვაროვნული ყოფის ნაშთებს[221].

1928 წლის მარტში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშა და გლეხქალთა განყოფილების გამგეთა თათბირმა საქართველოში გადმონაშთების აღმოფხვრის დაჩქარების საკითხთან დაკავშირებით გამოყო კომისია ეროვნულ უმცირესობათა ყოფის შესწავლის მიზნით[222]. კომისიის მასალებმა ერთხელ კიდევ ცხადყო ყოფითი გადმონაშთების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის გამოცხადების აუცილებლობა[223].

ძველი გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში და ქალთა მდგომა-

---

219 იხ. დ. დიასამიძე, აჭარის პარტიული ორგანიზაცია კულტურული რევოლუციის ლენინური იდეის განხორციელებისათვის ბრძოლაში. თბილისი, 1964, გვ. 84—92.

220 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3115, ფურც. 184.

221 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3435, ფურც. 24.

222 იქვე, საქ. 2443, ფურც. 406.

223 იქვე, საქ. 3078, ფურც. 395—398.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეობის გაუმჯობესების საქმეში გარკვეულ როლს ასრულებდა კლუ-ბებთან არსებული იურიდიული კონსულტაციები. ამ მხრივ აღსანიშნავია თბილისის მუსულმან ქალთა კლუბი, სადაც განსაზღვრულ საათებში იურიდიული კონსულტაცია რჩევა-დარიგებებებს აძლევდა ქალებს იურიდიულ საკითხებზე[224].

მუსულმანი ქალებისაგან განსხვავებით ოსი ქალი არ ატარებდა ჩადრს, მაგრამ იგი არა ნაკლებ უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ადგილი ჰქონდა ქალის ყიდვა-გაყიდვას — ყალიმს (გამოსასყიდი), ყალიმი ზოგჯერ 1000 მანეთს აღწევდა. ხშირად 50—55 წლის მამაკაცი ცოლად ირთავდა 14—15 წლის გოგონას. ოსთა შორის წარსულის გადმონაშთების, ყალიმის, არასრულწლოვანთა ქორწინების და ქალის მოტაცების საკითხი განიხილა საქართველოს ცაკის სესიამ 1928 წლის 28 იანვარს და მიიღო დადგენილება ყალიმის აკრძალვის შესახებ. სისხლის სამართლის დანაშაულს გაუთანაბრდა ყალიმის აღებმიცემა, რომელიც ისჯებოდა ორ წლამდე პატიმრობით, გამოსასყიდის კონფისკაციით.

როგორც ვიცით, მრავალცოლიანობის წინააღმდეგ იყო მიმართული საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი[225], რომელმაც რეგისტრაციაში გატარებული ქორწინება გაათანაბრა ფაქტიურ ქორწინებასთან. კოდექსის 6 მუხლი აღნიშნავდა, რომ არ შეიძლება ქორწინება იმ პირისა, რომელიც დაქორწინებულია, რეგისტრაციით ან ურეგისტრაციოდ[226].

ყოველივე ეს იცავდა სვანი, მოხევე, აჭარელი, აზერბაიჯანელი, თურქი, ქურთ-იეზიდი და ოსი ქალების ინტერესებს. სწორედ ამიტომ ქურთ-იეზიდთა I უპარტიო საქალაქო კონფერენცია, რომელიც შედგა 1928 წლის 3 დეკემბერს, მოითხოვდა საქართველოს ცაკის აღნიშნული დადგენილების პოპულარიზაციას და საზოგადოებრივი საჩვენებელი სასამართლოების მოწყობას[227].

ქურთებს შორის გაწეული მუშაობის შედეგებზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ფაქტი: ერთ-ერთმა ქურთმა მოკლა თავისი ცოლი ჭრა-კერვის სკოლაში სიარულის გამო. ამის საფუძველზე მოკლულის

---

224 К. Цеткин, Кавказ в огне. М.—Л., 1936, стр. 979.

225 საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული, ტ. I, 1959 წ., გვ. 140.

226 გაზ. „კომუნისტი", № 21, 1928 წლის 29 იანვარი.

227 მლისფპა, ფ. 17, ნაწ. I, საქ. 1636, ფურც. 4—5.

გვარს სურდა სისხლის აღება. ამასთან დაკავშირებით გაიმართა ქურთ-იეზიდთა კრება: განიხილა რა ეს საკითხი, კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: ორივე მოდგმა უარს აცხადებს სისხლის აღებაზე, ერთად შუამდგომლობენ საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე საზოგადოებრივ-საჩვენებელი სასამართლოს მოწყობის შესახებ თბილისის მთელი ქურთ-იეზიდური მოსახლეობის მონაწილეობით და მოითხოვენ მხეცი მკვლელის სასტიკ დასჯას, რაც „მაგალითი უნდა იყოს ყველა ჩვენთაგანისათვის"[228].

მიუხედავად ყველა იმ ღონისძიებისა, რომელიც ჩაატარა პარტიამ საქართველოში ქალთა შორის კულტურული მუშაობის შემდგომი გაშლისათვის და ძველი გადმონაშთების მთლიანად აღმოფხვრისათვის, ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩებოდა გასაკეთებელი.

4. პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გაშლა და ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე საქართველოში გაიშალა პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც ერთ-ერთ ძირითად როლს წარმოადგენდა მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

საქართველოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ქალთა განყოფილებამ მუშაობა წარმართა პოლიტსაგანმანათლებლო ხაზით საგანმანათლებლო სკოლების, ქალთა კლუბების, გლეხქალთა კუთხეების, ქოხ-სამკითხველოების და სადელეგატო კრებების მეშვეობით[229]. პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის პირველ საფეხურს წარმოადგენდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლა.

ვ. ი. ლენინის უკანასკნელ წერილებსა და სტატიებში — „ფურცლები დღიურიდან", „კოოპერაციის შესახებ", „ჩვენი რევოლუციის შესახებ" — მოცემულია კულტურული რევოლუციის განხორციელების ძირითადი გზები და საშუალებები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სოციალიზმის მშენებლობის უდიდესი შემფერხებელი ძალის, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხს. ვ. ი. ლენინი საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ მტრად ასახელებდა წერა-კითხვის უცოდინარობას. „წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე დგას, მას ჯერ ანბანი უნდა

228 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3337, ფურც. 318.

229 მლისფპა, ფ. 62, აღწ. I, საქ. 305, ფურც. 115:

ვასწავლოთ, უამისოდ პოლიტიკა შეუძლებელია, უამისოდ არის მხოლოდ ხმები, ჭორები, ზღაპრები, ცრურწმენა და არა პოლიტიკა"[230].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის რუსეთის იმპერიაში, საქართველო ერთ-ერთ მოწინავე კუთხედ ითვლებოდა, მიუხედავად ამისა წერა-კითხვის მცოდნეთა საერთო პროცენტი აქაც დაბალი იყო[231].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე 1921 წლის 4 ივნისს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი რესპუბლიკის მოსახლეობას შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ[232], რომლითაც ყველა მოქალაქეს 14-დან 50 წლამდე ევალებოდა შეესწავლა წერა-კითხვა. რევკომმა შექმნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისია და დაიწყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის სისტემატური მუშაობა.

ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის პირველ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს ყველა მუშა და გლეხქალთა განყოფილებებისათვის პარტიის მიერ გაგზავნილი სადირექტივო წერილი, რომელშიც აღნიშნულია: „წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია წარმოადგენს ჩვენს მთავარ და გადაუდებელ ამოცანას. ქალთა მასების წერა-კითხვის სკოლებში ჩაბმა შეიძლება მხოლოდ ქალთა განყოფილებების ენერგიული მონაწილეობით"[233]. ამავე წელს ქ. თბილისის კომუნისტ ქალთა გაერთიანებულ კრებაზე ქალთა განყოფილების გამგის ლ. გასვიანის მოხსენებაში გარკვეული ადგილი დაეთმო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის პრაქტიკული მუშაობის დაწყების აუცილებლობას[234].

1922 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი მოწოდების საფუძველზე წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა პირველ რიგში გაიშალა ახლად ჩამოყალიბებულ სადელეგატო კრებების დელეგატ ქალთა შორის[235].

გარკვეულ მასალებს სადელეგატო კრებებში წერა-კითხვის სალი-

---

230 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 71—72.

231 იხ. „საბჭოთა საქართველო ციფრებში"; თბილისი, 1929, გვ. 35, სადაც მითითებულია, რომ საქართველოში წ.-კ. მცოდნეთა რიცხვი მოსახლეობის 32,2% შეადგენდა.

232 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 340, ფურც. 30.

233 ი ქ ვ ე.

234 ი ქ ვ ე, საქ. 157.

235 ი ქ ვ ე, ფ. 14, აღწ. I, საქ. 491, ფურც. 36—40.

კვიდაციო წრის მუშაობის შედეგების შესახებ ვხვდებით ქალთა ჟურ-ნალის „ჩვენი გზის“ 1923 წლის ნოემბრის ფურცლებზე[236].

1921—1923 წლებში საქართველოში პარტიულ კომიტეტებთან არსებული საქალაქო და სამაზრო ქალთა განყოფილებები ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა, ჯერ კიდევ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ძიებას განაგრძობდა. ამ დროს ქალთა განყოფილებების მუშაობას, კადრების სიმცირესთან ერთად, საგრძნობლად აფერხებდა მოსახლეობაში ფესვგადგმული რელიგიური ფანატიზმი, ყოფითი გადმონაშთები და მენშევიკური მთავრობისაგან მემკვიდრეობით მიღებული ეროვნული შუღლი, რამაც განაპირობა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კამპანიის სუსტი მიმდინარეობა.

მთელს რესპუბლიკაში 1923 წლისათვის 74 სალიკვიდაციო წრე არსებობდა, რომელშიც 350 ქალი იყო გაერთიანებული[237].

საქმეს ართულებდა ისიც, რომ მრავალეროვანი საქართველოს მოსახლეობის კულტურული განვითარების დონე ერთნაირი არ იყო, რაც ეძნელებდა მოსახლეობაში ჯერ კიდევ არსებულ რელიგიური ფანატიზმის, გაუნათლებლობისა და მავნე ყოფითი ჩვევის წინააღმდეგ ბრძოლას. საჭირო გახდა ამ სიძნელეებისათვის, რომელიც ამ დროისათვის საერთო სენად იქცა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ შუა აზიისა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებისათვისაც, გადამწყვეტი ბრძოლის გამოცხადება.

სრულიად რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი დაიკავა აღმოსავლეთის ქალთა შორის მუშაობის საკითხმა. თითქმის პარტიის ყველა ყრილობასა და პლენუმზე ამ საკითხს თვლიდნენ აქტუალურ საკითხად. პარტიის XIII ყრილობამ (1924 წ. იანვარში) თავის გადაწყვეტილებებში დიდი ადგილი დაუთმო აღმოსავლეთის ქალთა შორის მუშაობას[238]. 1924 წლის პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი ყურადღებას ამახვილებდა ძირითადი ეროვნული კადრების მომზადების საკითხზე[239].

---

236 იხ. ჟურნ. „ჩვენი გზა“, № 1—5, 1923.

237 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 940, ფურც. 30.

238 „სკკპ... რეზოლუციებში“ ნაწ. II, გვ. 332.

239 Директивы ВКП(б) по вопросам просвещения, Сборник, стр. 122—124.

1925 წელს, აპრილში მოწვეულ აღმოსავლეთის ქალთა სპეციალურ თათბირზე, მოსკოვში, დაადგინეს ქალთა შორის მუშაობის დროებითი პირველ პლანზე წამოეწიათ საგანმანათლებლო მუშაობა[240].

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური პარტიის დირექტივების საფუძველზე, საქართველოს ქალთა განყოფილებებმა სადელეგატო კრებების, ქალთა კლუბების, ქოხ-სამკითხველოების, ქალთა კუთხეების, ჭრა-კერვის სკოლებისა და სხვა ორგანიზაციული ფორმების გამოყენებით მუშაობა გაიჩაღეს ქალთა ფართო მასების წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კამპანიაში ჩასაბმელად. რესპუბლიკის ძირითად მაზრებში და ქალაქებში ქალთა კრებების დღის წესრიგის მნიშვნელოვან საკითხად, ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საკითხი იდგა[241].

1924 წელს 12 მაისს თბილისში მოწვეულ ამიერკავკასიის ქალთა განყოფილების გამგეთა IV თათბირზე[242] მოსმენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ თბილისის მაზრაში გახსნილ წერა-კითხვის სკოლებში სწავლობდა 480 ქალი, საქართველოში კი მიმდინარე წელს წერა-კითხვა შეისწავლა 600 ქალმა.

1924 წელს რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების (წერკუმსი)[243] შექმნამ, რომელიც 1926 წლიდან საზოგადოება „წერა-კითხვად" გადაკეთდა, დიდი როლი შეასრულა ქალთა შორის წერა-კითხვის გავრცელების საქმეში. რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებთან არსებული ქალთა განყოფილებები საზოგადოება „წერა-კითხვასთან" ერთად ხელიხელ ჩაკიდებული იწყებენ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ მუშაობას. საზოგადოების მიერ გამოცემული ჟურნალი „თანამგზავრი" ფართოდ აშუქებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხს და ქალთა განყოფილებების ამოცანებს[244].

სალიკვიდაციო კამპანიის შემდგომი გაშლისათვის საჭირო გახდა მასწავლებელთა კადრების აღზრდა. ჯერ კიდევ სრულიად რუსეთის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდატორთა II ყრილობამ წამოჭრა იგი, როგორც საკითხი, რომელზეც ბევრად იყო დამოკიდებული

---

240 «Справочник партийного работника», М., 1926, გვ. 389.

241 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 917 და 918.

242 იქვე, საქ. 1318, ფურც. 67—70.

243 იხ. გაზ. „კომუნისტი", № 123, 1924 წლის 31 მაისი.

244 იხ. ჟურნ. „თანამგზავრი", № 1, 1925.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის წარმატება. „საჭიროა დაუყოვნებლივ გავაფართოვოთ ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდატორთა კადრები, განათლებული მუშა, გლეხი და დელეგატ ქალთა შემდგომი მომზადებით“[245].

საქართველოში რიგ ქალაქებსა და მაზრებში საზოგადო მოღვაწე და დელეგატი ქალები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი წერა-კითხვის სალიკვიდაციო კამპანიაში. მაგალითად, ქუთაისის მაზრის სოფელ სიმონეთის დელეგატი ქალის ვერა ფურცხვანიძის მუყაითი შრომით და ღვაწლით ბევრმა ქალმა ისწავლა წერა-კითხვა და ხელსაქმე[246].

აქტიური ქალი ბაბილინე ჩაჩანიძე ჟურნ. „მშრომელი ქალის“ ფურცლებზე წერს: „წინათ მე წერა-კითხვა არ ვიცოდი. ჩავები ქალთა შორის მუშაობაში, მოვკიდე ხელი საზოგადოებრივ საქმიანობას, მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარობა ხელს მიშლიდა მუშაობაში, 3 თვის მუშაობის შედეგად, ეს დაბრკოლებაც გადავლახე. მე მინდა ყველა ქალმა მიბაძოს ჩემს მაგალითს“[247]. წერილიდან ირკვევა, რომ წლების მანძილზე პარტიამ შეძლო ქალთა აქტივიდან კადრების მომზადება წერა-კითხვის უცოდინარობასთან შემდგომი ბრძოლის გაგრძელებისათვის.

ქალთა განყოფილებები და საზ-ბა „წერა-კითხვა“ განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ეროვნული უმცირესობის ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად, რამაც შესაფერი შედეგი გამოიღო. 1924 წელს აგვისტოში ახალქალაქის მაზრაში გაიხსნა ქალთა ორგანიზატორების კურსები, რომელშიც 25 ქალი გაერთიანდა. კურსებთან მოწყობილ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში წერა-კითხვას დაეუფლა 10 ქალი[248]. ამავე წლის ოქტომბერში მშრომელ ებრაელთათვის მოეწყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი ქ. თბილისში, სადაც 300-მდე ქალი და კაცი სწავლობდა[249]. 1924—1926 წლებში მარტო ახალქალაქის, ახალციხისა და ბორჩალოს მაზრებში მოქმედებდა 176 სკოლა[250].

პირველი წარმატებები აღინიშნა მოსახლეობის 1926 წ. საკავში-

---

245 Информационный бюлетень, № 2, 1924, გვ. 55.

246 იხ. ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 22—23, 1928, გვ. 30.

247 ი ქ ვ ე, № 8—9, 1929, ნოემბერი.

248 მლისფპა, ფ. 14, საქ. 1331, ფურც. 29—44.

249 იხ. გაზ. „კომუნისტი“, № 289, 1924 წლის 18 დეკემბერი.

250 იხ. საქართველოს სსრ მთავრობის 1925—1926 წწ. მოქმედების ანგარიში, გვ. 245.

რო აღწერით, როდესაც წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი საქართველოში მთავარი ეროვნების ქალთა შორის შემდეგი იყო: ქართველი — 33%, სომეხი — 32,2%, თურქი — 1,6%, რუსი, უკრაინელი, ბელორუსი — 63,4%, აფხაზი — 4,5%, ოსი — 5,6%, ებრაელი — 40,4% და ბერძენი — 16,2%[251].

მიუხედავად ამ ხასიათის პირველი წარმატებებისა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციამ, ამ პერიოდში მაინც ვერ პოვა დიდი გაქანება, განსაკუთრებით ქალთა შორის, კერძოდ კი ეროვნული უმცირესობის ქალთა შორის, რაც აიხსნება, როგორც მატერიალურ საშუალებათა უქონლობით, ისე პედაგოგებისა და საჭირო სახელმძღვანელოების ნაკლებობით.

1928 წლის თებერვალში საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას პლენუმმა შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად მიიღო დადგენილება გაეძლიერებინათ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო უჯრედთა ქსელი[252].

პლენუმის შემდეგ რესპუბლიკურ პოლიტგანათლების მუშაკთა თათბირზე კვლავ აღინიშნა, რომ ადგილობრივმა მუშაკებმა ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოება „წერა-კითხვის" ორგანიზაციულ გაძლიერებასა და მისი მუშაობის ხელმძღვანელობას[253].

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის 3 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს კომპარტიის (ბ) მუშაობის შესახებ" ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს ცალკეული რაიონების კულტურული დონის დიდ განსხვავებაზე და მოითხოვდა ჩამორჩენილი რაიონებისადმი ყურადღების გაძლიერებას[254]. ეს დებულება საფუძვლად დაედო საქართველოში კულტურული მშენებლობის შემდგომი განვითარების საქმეს.

ქალთა ცენტრალური განყოფილება, რომელიც 1928 წლიდან სათავეში უდგება საქართველოში კულტურულ ლაშქრობას, რომელიც თავისთავად უპირისპირდება ჩამორჩენილ ყოფით ჩვევებსა და რელიგიურ გადმონაშთებს ეროვნული უმცირესობის რაიონებსა და მთიან ადგილებში, ხსნის სპეციალურ ქალთა სკოლებსა და წრეებს. მაგალითად, ახალქალაქის მაზრაში მუშაობდა წერა-კითხვის უცოდინარობის 11 სა-

---

251 იხ. „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", 1921—1931 წლ. სტატისტიკური კრებული, ტფილისი, 1931, ფურც. 52.

252 იხ. „კომუნისტი", № 50, 1928 წლის 1 მარტი.

253 იქვე.

254 О работе Компартии Грузии (постановление ЦК ВКП(б) от 4 сентября 1928), Тбилиси, 1928, გვ. 17.

ლიკვიდაციო პუნქტი, ახალციხის მაზრაში კი — 14, აქედან 8 თურქული, 3 სომხური, 2 ქართული და 1 ებრაული[255].

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია ის როლი, რომელიც შეასრულეს ჭრა-კერვის სკოლებმა რესპუბლიკის ჩამორჩენილ კუთხეებში ქალთა შორის წერა-კითხვის სწავლის საქმეში. იგი გადაიქცა იმ გასაღებად, რომლითაც საშუალება მიეცა პარტიას ფართოდ გაეღო ცოდნის კარი ჩამორჩენილი, დაბეჩავებული მთის ქალისათვის. გლეხი წვრილბურჟუაზიული ბუნებითა და წმინდა ეკონომიური მოსაზრებით არ უშვებდა ქალიშვილს სკოლაში. „მას შემდეგ, რაც სკოლებთან ჭრა-კერვის სახელოსნოები მოაწყვეს, ლტოლვა სკოლისაკენ ახალგაზრდა ქალებში საკმაოდ იზრდება. თუ 1924—1928 წელს ქალთა რიცხვი სკოლებში 14—16% იყო, ამჟამად 21—23%-მდე ადის“[256].

ჭრა-კერვის სკოლების ქსელი წლითიწლობით ფართოვდებოდა და საქართველოს ქალთა შორის გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა. 1928 წლისათვის თითქმის ყველა მაზრაში გაიხსნა ჭრა-კერვის სკოლები, რომელთა გახსნაში დიდ როლს დელეგატი ქალები ასრულებდნენ. ახალციხის მაზრაში ჭრა-კერვის 3 სკოლა მოქმედებდა, რომელშიც 103 ქალი სწავლობდა, ხოლო ახალქალაქის მაზრაში 9 ასეთივე სკოლაში 400 სომეხი, თურქი და ქართველი გოგონა ჭრა-კერვასთან ერთად წერა-კითხვასაც ეუფლებოდა[257].

წლების მანძილზე პარტიამ აღზარდა მასწავლებელთა შესაფერისი კადრები, რომელთა ცოდნასა და უნარზე ბევრად იყო დამოკიდებული წერა-კითხვის სწავლის წარმატება. „ისეთ ჩამორჩენილ კუთხეში, როგორიც აჭარის ხულოს მაზრაა, გლეხის ქალებს იშვიათად თუ ვინმე გააგზავნიდა სკოლაში. მაგრამ ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა, რომელიც უნარიანი და ენერგიული აღმოჩნდა, შეძლო 30 ქალის სკოლაში თავმოყრა“[258].

ამრიგად, აღნიშნულ პერიოდში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კამპანიის დროს არსებული ყველა მეთოდისა და ფორმების გამოყენების შედეგად, წლების მანძილზე ქალთა აქტივისაგან მომზადებული კადრების დახმარებით პარტიამ მიაღწია გარკვეულ წარმატებებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნების ქალ-

---

255 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2715, ფურც. 99—74.

256 იხ. გაზ. „სოფლის კომუნისტი“, № 9, 1928 წლის იანვარი.

257 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2715, ფურც. 99—104.

258 იხ. გაზ. „მუშა“, № 1817, 1928 წლის 9 დეკემბერი, გვ. 3.

თა შორის. თუ 1925—1926 წლებში სალიკვიდაციო სკოლებში წერა-კითხვა შეისწავლა 8300 ქალმა, 1929 წლისათვის მათი რიცხვი 12.800-მდე გაიზარდა[259].

ამ ეტაპზე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის პარალელურად, პარტია, აგრეთვე, იწყებს ზრუნვას ქალთა პოლიტიკური განათლების ქსელის გაფართოებისათვის, ვინაიდან ქალთა პოლიტიკური აღზრდა სოციალისტური საზოგადოების აშენების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა იყო.

სალიკვიდაციო სკოლების ბუნებრივ გაგრძელებად ითვლებოდა მცირემცოდნეთა წრეები, სადაც ქალები საწარმოო ცოდნასთან ერთად იძენდნენ პოლიტიკურ ცოდნასაც. მაგრამ ამ სკოლებს არ ჰქონდათ საშუალება მუშაობა გაეფართოებინათ პოლიტიკური განათლების მიმართულებით[260], რაც იმ დროისათვის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ქვეყნად კაპიტალისტური ელემენტების ერთგვარ გამოცოცხლებას, რაც შესანიშნავად გამოიყენეს მტრულად განწყობილი კლასების იდეოლოგებმა და ფართო ანტისაბჭოთა აგიტაცია გააჩაღეს მშრომელთა ჩამორჩენილ ფენებში.

მენშევიკები და მათთან ერთად სხვა კონტრრევოლუციური ელემენტები გამსჭვალულნი არნახული სიძულვილით საბჭოთა წყობის მიმართ, გამოდიოდნენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა და ღონისძიებების წინააღმდეგ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე.

საქართველოში 1924 წლის აგვისტოში თავადაზნაურობასა და სამღვდელოებაზე დაყრდნობით მენშევიკების მიერ მოწყობილი გამოსვლები გურიაში, დუშეთსა და ჭიათურის მაზრებში[261], ნაწილობრივ აიხსნება პარტიის მიერ მშრომელთა ფართო ფენებში ჩატარებული პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის სისუსტითაც. ამიტომ შემდგომ წლებში პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას პარტიის გადაუდებელ ამოცანათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო.

პარტიის მეცამეტე ყრილობამ აღნიშნა მშრომელთა და მათ შორის ქალთა პოლიტიკური აქტივობისა და კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ჯერ კიდევ პარტიის გავლენის ზრდა მუშა და გლეხქალთა ფართო მასაზე, პოლიტიკური და კულტურული

---

259 იხ. გაზ. „ახალი სოფელი", № 18, 1925 წლის მარტი.

260 „სკკპ... რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 115.

261 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, ნაწ. III, თბილისი, 1967, გვ. 64.

აღზრდის საშუალებით რჩებოდა პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომპარტიის 1925 წლის იანვრის პლენუმმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება მუშა და გლეხქალთა შორის საბჭოთა და კომუნისტური განათლების გაძლიერებაზე. მიღებულ დადგენილებაში ამავე საკითხებს აშუქებენ საქართველოს კომპარტიის III— და IV ყრილობებიც.

წრეებითა და მცირემცოდნეთა სკოლებით პარტის მიერ წამოჭრილ ამოცანათა გადაწყვეტა შეუძლებელი იყო, საჭირო გახდა ქალთა განყოფილებებს ამ სკოლების პარალელურად მოეძებნათ ისეთი ფორმები, რომელნიც მეტად უპასუხებდნენ ქალთა პოლიტიკური აღზრდის ამოცანებს.

საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კამპანიის პირველმა წარმატებებმა განაპირობა ქალთა შორის შემდგომი პოლიტიკური განათლებისათვის პარტიის ზრუნვა, რაც გამოიხატა სპეციალური პოლიტსაგანმანათლებლო სკოლების ახალი ქსელით. ქალთა შორის პოლიტიკური განათლების პირველდაწყებით ფორმად იქცა პოლიტსაგანმანათლებლო წრეები.

პარტიის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მუშა და გლეხქალთა განყოფილება პროპაგანდის განყოფილებასთან ერთად ადგენდა პოლიტსაგანმანათლებლო წრეებისათვის სპეციალურ პროგრამებს, რომელსაც ყოველწლიურად ცვლიდნენ მიმდინარე მოვლენების შესაბამისად[262].

რესპუბლიკებში პროგრამები ითარგმნებოდა ადგილობრივ ენებზე და ისე ვრცელდებოდა. პოლიტწრეებში ქალი სწავლობდა პარტიის ისტორიას, მის ტაქტიკას. მაღლდებოდა მისი შეგნება, ვითარდებოდა პოლიტიკურად, რაც საშუალებას აძლევდა მას შემდგომში აქტიურად ჩაბმულიყო მშრომელთა წინაშე მდგარი მორიგი ამოცანების შესასრულებლად. ქალთა პოლიტიკური აღზრდის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მათი მიზიდვა პარტიულ, სახელმწიფო, კოოპერატიულ და პროფკავშირულ მუშაობაში.

საქართველოს ქალაქებსა და მაზრებში ქალთა განყოფილებების ინიციატივით ჩამოყალიბდა ქალთა სპეციალური პოლიტსაგანმანათლებლო წრეები. 1924 წლისათვის თბილისის მაზრაში 6 პოლიტწრე მუშაობდა, ოზურგეთის მაზრაში—37[263]. ზუგდიდის პოლიტწრეებში 40

---

262 Журн. «Коммунистка», № 10, 1925, 44—46.

263 მლისფა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 1318, ფურც. 134—146.

ქალი იყო ჩაბმული, ქუთაისის მაზრის პოლიტწრეებში კი — 41 ქალი[264]. პოლიტწრეებში გაერთიანებული ქალები გამოირჩეოდნენ აქტიურობით, მაგალითად, საქართველოში „იმპერიალისტური ომის 10 წლისთავის“ კამპანიის ჩატარების დროს, თავი გამოიჩინეს პოლიტწრის მოსწავლე ქალებმა[265].

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ წლებში პოლიტწრეებში გაერთიანებული ქალთა დიდი რაოდენობა მუშა ქალებია, მათი რიცხვი 1926 წლისათვის 1112 უდრის[266].

ქ. თბილისში მეორე რაიონის სახელოსნო კლუბში პოლიტგანათლების წრეში სწავლობდა 30 ქალი[267].

ქალებს კარგად ესმოდათ, რომ პოლიტიკური ცოდნით ისინი ადვილად გაერკვეოდნენ ცხოვრების მიმდინარე მომენტებში და შეძლებდნენ სოციალისტურ მშენებლობაში შეგნებულ მონაწილეობას.

ქალთა განყოფილებები, რომელნიც სისტემატურ კონტროლს უწევდნენ წრეების მეცადინეობას, არ კმაყოფილდებოდნენ მათი მხოლოდ თეორიული აღზრდით. პოლიტწრეში გაერთიანებული ქალებისთვის აწყობდნენ ექსკურსიებს მუზეუმებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, ქარხნებში და სხვ.

მშრომელთა ფართო ფენებზე პარტია გავლენას ახდენდა პოლიტწრეების მოსწავლეებზე დაყრდნობით. მაგალითად, პოლიტწრედამთავრებულმა მუშა ქალმა, ბათუმის დიასახლისთა შორის ჩაატარა საუბარი „უნდა ისწავლოთ“[268], სიღნაღის პოლიტწრედამთავრებული გლეხი ქალი შეკრებილ ქალებს ხმამაღლა უკითხავდა გაზეთებს.

1928 წლისათვის პოლიტსაგანმანათლებლო ქსელში 18459 მსმენელიდან 2040 ქალი იყო, ხოლო 1929 წლისათვის ქალთა რიცხვი გაიზარდა 4410-მდე[269], ე. ი. 120%-ით, რაც აშკარად მეტყველებს პოლიტსაგანმანათლებლო წრეების ავტორიტეტის ზრდაზე.

ქალთა პარტიული კადრების მომზადებაზე დიდად იყო დამოკიდებული პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გაშლა-გაფართოება. ქალთა პარტიული კადრების იდეური დონის ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტგანათლების სტაციონალურმა ქსელმა — საბჭოთა პარტიულმა სკოლებმა და კომუნისტურმა უმაღლესმა სასწავლებლებმა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურად-

---

264 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 1318, ფურც. 134—136.

265 იქვე.

266 იქვე, საქ. 1728, ფურც. 22.

267 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3107, ფურც. 25.

268 იქვე, საქ. 3423, ფურც. 69—70.

269 იქვე.

ღებას უთმობდნენ ეროვნული კადრების მოსამზადებლად უმაღლესი პარტიული სასწავლებლების შექმნას.

სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის 1921 წლის 21 ოქტომბრის დეკრეტით, ეროვნულ საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეიქმნა აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტი. აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში 1923 წელს სწავლობდა 1050 კაცი — შუა აზიის, ვოლგისპირეთის, ამიერკავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის 62 ეროვნებათა წარმომადგენელი. 1924 წლისათვის აღნიშნულ უნივერსიტეტში ამიერკავკასიიდან სწავლობდა 12 ქართველი, 23 სომეხი, 24 აზერბაიჯანელი[270].

პარტიული და საბჭოთა მუშაკების ახალი კადრების მომზადებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში პარტიული სკოლების შექმნას. ჯერ კიდევ 1921 წელს თბილისში დაარსდა სამთვიანი კურსები, რომელიც შემდეგ ცენტრალურ პარტიულ სკოლად გადაკეთდა[271]. ამავე დროს თბილისის რაიონებში შეიქმნა რაიონული პარტსკოლები. 1922 წლის სექტემბრისთვის თბილისის ექვს რაიპარტსკოლაში მეცადინეობა მიმდინარეობდა სამ ენაზე — ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. სულ ამ სკოლებში მეცადინეობდა 183 კაცი და ქალი, ეროვნების მიხედვით ქართველი 51, რუსი 57, სომეხი 72 და ებრაელი — 2[272].

1924 წლისათვის საქართველოში პარტიული სკოლების ქსელი ფართოვდება. არსებულ 9 საბჭოთა პარტიულ სკოლაში[273] ცოდნას იძენდა 91 მუშა და გლეხი ქალი[274].

ქალთა განყოფილებების დღის წესრიგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს ქალთა პოლიტიკური აღზრდა წარმოადგენდა, პარტიული სკოლები კი სწორედ იმ მოსამზადებელ სკოლას, საიდანაც ყოველწლიურად ათობით და ასობით პოლიტიკურად განათლებული, შემდგომი მუშაობისათვის დასაყრდენი, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული გამოწრთობილი კადრები გამოდიოდა.

1927 წლისათვის პარტიულ სკოლებსა და კომუნისტურ უნივერსიტეტში ქალთა რიცხვი 941 აღწევდა, რაც საერთო რიცხვის 12,05% უდრიდა[275].

---

270 იხ. Шесть лет национальной политики Советской власти, М., 1924, გვ. 160.

271 Журн. «Известия», № 5, 1924, 101.

272 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 460, ფურც. 13.

273 Журн. «Известия»..., № 5, 1924, გვ. 101.

274 იხ. ჟურნ. „უწყებები“.... № 5, 1924, გვ. 152.

275 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3145, ფურც. 51—54.

ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტისა და საქართველოში ცენტრალური პარტიული სკოლის პარალელურად, თითქმის ყველა მაზრაში გახსნილ პარტიულ სკოლებში ცოდნას ეუფლებოდნენ როგორც მუშა, ასევე გლეხი და მოჯამაგირე ქალებიც. ამის შესანიშნავი დადასტურებაა სენაკის მაზრის ქალთა განყოფილების გამგის 1929 წლის ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ მაზრიდან მოვლინებული 15 კომუნისტი ქალი სწავლას განაგრძობდა თბილისში ცენტრალურ, ქუთაისში ორწლიან და ფოთში ერთწლიან პარტიულ სკოლებში[276].

ამგვარად, კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკური აღზრდის სფეროში გარკვეულ წარმატებებს აღწევს პოლიტწრეებში, პოლიტჯგუფების და პარტიულ სკოლებში ქალთა ფართო მასების უშუალო ჩაბმით. პარტიული კადრების შესანიშნავ სამჭედლოდ იქცა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი და საოლქო და სამაზრო პარტული სკოლები[277].

საქართველოს მშრომელი ქალის კულტურული და პოლიტიკური აღზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულა პარტიულმა და საბჭოთა პრესამ. ი. ბ. სტალინი პარტიის ყველაზე ბასრ ძლიერ იარაღად თვლიდა პრესას, რომელსაც შესანიშნავად იყენებდა პარტია მშრომელ ქალებთან ფართო მუშაობის გასაშლელად.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებებში არა ერთხელ მიუთითებდა, რომ ადგილებზე პარტიულ ორგანიზაციებს მეტი ყურადღება გამოეჩინათ ქალთა პრესის მიმართ. ქალთა პრესა იმ დროისათვის ნამდვილად იყო არა მარტო პროპაგანდისტი და აგიტატორი, არამედ მშრომელი ქალების მილიონიანი არმიის კოლექტიური ორგანიზატორიც. ქალთა პრესამ გარკვეული როლი შეასრულა მშრომელი ქალის ახალი კომუნისტური შეხედულებებისა და ჩვევების გამომუშავების საქმეში.

ქალთა განყოფილებების ინიციატივით როგორც საერთო, პარტიულ და საბჭოთა, ასევე ადგილობრივ პრესაში წლების მანძილზე ადგილი ეთმობოდა „მუშა ქალის ფურცელს“, რომლის საშუალებითაც მუშაობის პირველ პერიოდში, პარტია ცდილობდა გარკვეული კონტაქტის დამყარებას მშრომელთა ფართო ფენებთან. „ფურცლებზე“ იხილებოდა მშრომელ ქალთათვის დამახასიათებელი, საინტერესო საკითხები.

საქართველოში პირველი „მუშა ქალთა ფურცელი“ გამოქვეყნდა 1921 წლის 6 მაისს გაზეთ „კომუნისტში“, რის შემდეგაც იგი სისტემა-

---

276 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3444, ფურც. 13.

277 Очерки истории Коммунистической партии Грузии, ч. II, Тбилиси, 1963.

ტურ ხასიათს იღებს, არა მარტო გაზ. „კომუნისტის“, არამედ «Правда Грузии»-ს ფურცლებზეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, XI პარტყრილობის დირექტივების საფუძველზე, დაავალა ყველა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას აემაღლებინათ „მუშა ქალთა ფურცლის“ იდეური დონე[278]. ამ მითითებათა საფუძველზე საქართველოში 1923 წლიდან „ფურცლები“ ვვხვდება ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და მაზრების გაზეთების გვერდებზე.

ფურცლებში ძირითადად განხილული იყო ქალთა ცხოვრების ეკონომიური და ყოფითი პირობები, მათი მონაწილეობა პროფკავშირში, უმუშევრობასთან ბრძოლა, მუშაქალთა შრომის დაცვა, გლეხქალთა კოოპერირება და სხვ.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ქალთა განყოფილების ინიციატივით 1922 წლის ნოემბრიდან გამოსვლას იწყებს ჟურნალი „ამიერკავკასიის მშრომელი ქალი“[279], ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე, რომელიც აერთიანებდა ამ რესპუბლიკების ქალებს საერთო მიზნებით, მისწრაფებებით და ამოცანებით, ზრდიდა კომუნისტური სულისკვეთებით და უნერგავდა სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის სურვილს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა განყოფილების ბეჭდვითი ორგანო „ჩვენი გზა“, რომელიც 1923 წლის იანვრიდან ქვეყნდება, მიზნად ისახავს „ხელი შეუწყოს, გზა უჩვენოს საქმიანობისა და ბრძოლის დროს საქართველოს მშრომელ ქალს“[280]. რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების ჟურნალები „კომუნისტკა“ და „რაბოტნიცა“ საქართველოს ქალთა ჟურნალებს მიმართულებას აძლევდა.

ქალთა ჟურნალების ფურცლებზე ძირითადად იბეჭდებოდა მასალები მუშა და გლეხი-ქალის მონაწილეობაზე სოციალისტური მშენებლობის ამა თუ იმ უბანზე, ბავშვთა აღზრდის, ჯანმრთელობის დაცვის და ყოფაცხოვრებით საკითხებზე. ჟურნალი სისტემატურად აქვეყნებდა საბუნებისმეტყველო ხასიათისა და ძველი ზნე-ჩვეულებების და რელიგიური გადმონაშთების მავნებლობაზე წერილებსა და სტა-

---

278 იხ. Газ. «Правда», № 130, 1922, 14 июля.

279 მლისფპა, საქ. 932, ფურც. 7.

(„ამიერკავკასიის მშრომელი ქალი“ 1926 წლიდან საქართველოს ქალთა ცენტრალური განყოფილების ჟურნალად გადაკეთდა და „მშრომელი ქალის“ სახელწოდებით იწყო გამოსვლა. დღევანდელი „საქართველოს ქალი“ ამ ჟურნალის მემკვიდრეა).

280 „ჩვენი გზა“, № 1, 1923.

ტიებს, რითაც ხელს უწყობდა ქალთა შორის ანტირელიგიური პროპაგანდის გაშლა-გაფართოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობდნენ პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლები — სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, მამია და მარიამ ორახელაშვილები და სხვები: ჟურნალ-გაზეთებში ყურადღებას ამახვილებდნენ საბჭოთა, პროფესიული და კოოპერაციული მშენებლობის საერთო საკითხებზეც. ამავე ჟურნალებში იბეჭდებოდა ქალთა შორის შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებები, საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული საინტერესო სტატიების თარგმანები და, რაც მთავარია, ქალთა შორის მუშაობის შესახებ რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრებიდან კორესპონდენტი ქალების წერილები.

„ფურცლებთან" ერთად ზემოხსენებულმა ჟურნალებმა დიდი როლი ითამაშეს ქალთა პოლიტიკური და კულტურული აღზრდის საქმეში[281].

ქალთა განყოფილება და ჟურნალ-გაზეთების რედაქცია მასალების სწორი შერჩევით აღწევდა ჟურნალ-გაზეთებით დაინტერესებულ ქალთა რიცხვის საგრძნობ ზრდას.

ქალთა ჟურნალების გარშემო გარკვეული წლების მანძილზე ჩამოყალიბდა აქტიურ კორესპონდენტ ქალთა ჯგუფი, რომელთა შემდგომში გაზრდის თვალსაზრისით ქალთა განყოფილებებმა გახსნეს კორესპონდენტ ქალთა სპეციალური მოსამზადებელი კურსები და ჟურნალის მეგობართა ჯგუფები.

1926 წლისათვის რესპუბლიკაში მოწვეულ სოფლის კორესპონდენტთა ყრილობაზე აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქალთა ჟურნალების ქალ-კორესპონდენტები[282]. საქართველოში ამ დროს 80 კორესპონდენტი ქალი იყო გაბნეული სხვადასხვა კუთხეებში.

ჟურნალ „მშრომელი ქალის" 5000 ეგზ. ენთუზიაზმით ვრცელდებოდა საქართველოს ყველა მაზრასა და სოფელში. ამგვარად, საქართველოს პარტიული, საბჭოთა პრესისა და ქალთა ჟურნალების მეშვეობით, ქალთა განყოფილებებმა მიაღწიეს მშრომელ ქალთა შორის იდეოლოგიურ ფრონტზე გარკვეულ წარმატებებს, მათ შეძლეს თავიანთ გარშემო დაერაზმათ ქალთა ფართო მასები და ხელი შეეწყოთ კომუნისტური სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის.

---

281 Ж. «Известия ЦК РКП (б)», № 3, 1923, გვ. 106.

282 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2715, ფურც. 87—93.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი II

ქალთა პოლიტიკური აქტივობის ზრდა

1. ქალთა აქტივობა პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში

საბჭოთა საქართველომ ხალხის ფართო მასების აქტიური შემოქმედებითი შრომის შედეგად სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო კომუნისტური პარტია.

1922 წლისათვის საქართველოს კომუნისტური პარტია თავის რიგებში აერთიანებდა 10727 წევრს, აქედან 641 ქალს[1]. პარტიას, რომელსაც ხელთ ეპყრა ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეები, ვერ დააკმაყოფილებდა კომუნისტ ქალთა ეს უმნიშვნელო რიცხვი, მაშინ როდესაც რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარს ქალები შეადგენდნენ[2]. ამიტომ კომუნისტური პარტიის რიგებში ქალთა ჩაბმა აქტუალურ პოლიტიკურ ამოცანად იქცა. ამ მიმართებით დიდი მუშაობა გააჩაღეს პარტიულ კომიტეტებთან არსებულმა ქალთა განყოფილებებმა. საგულისხმოა, რომ პოლიტიკური აღზრდისათვის ქალთა განყოფილებები ძირითადად იყენებდნენ სადელეგატო კრებებს, რომელნიც, აგრეთვე, შესანიშნავ შედეგებს გვაძლევდნენ პარტიის რიგების ზრდის თვალსაზრისითაც.

სადელეგატო კრებები, ეს ის რგოლი იყო, რომლითაც პარტია უშუალოდ უკავშირდებოდა მშრომელ ქალთა ფართო მასას. სადელეგატო კრებები ამზადებდა ქალთა აქტივს საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრებისათვის და შეგნებულ და აქტიურ დელეგატებს აერთიანებდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

მაგალითად, სოხუმის პარტიულ კომიტეტთან არსებულმა ქალთა განყოფილებამ დელეგატ ქალთა გამოსაშვებ საზეიმო სხდომაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად გამოიტანა კომუნისტური პარტიის კან-

---

[1] საბჭოთა საქართველოს 10 წელი, 1921—1931 წწ. სტატისტიკური კრებული, ტფილისი, 1931, გვ. 5.

[2] იქვე, გვ. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდატებად დელეგატ ქალთა მიღებაᲐ. ამ დღეს სხვადასხვა ეროვნების და სოციალური წარმოშობის 17 დელეგატი ქალი მიიღეს პარტიის წევრობის კანდიდატებად[4].

სადელეგატო კრებების საშუალებით პოლიტიკური განათლება ერწყმოდა სახელმწიფო, პროფესიულ და კოოპერაციულ დაწესებულებებში პრაქტიკულ მუშაობას. დელეგატი ქალი შესანიშნავად ერკვეოდა პარტიის პოლიტიკაში და თვითონ ხდებოდა ქალთა უფლებრივი და ეკონომიური განთავისუფლების ორგანიზატორი. სადელეგატო კრებებზე მონაწილეობით მიღებული ცოდნა ეხმარებოდა მას შეეგნო თავისი როლი, შეეგნო ის, რომ მხოლოდ თავდადებული შრომით შეიძლებოდა იმ ამოცანათა შესრულება, რომელიც იდგა როგორც საბჭოთა ქვეყნის, ასევე მუშათა კლასის წინაშე, როგორც მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს მმართველის წინაშე.

სოხუმელი დელეგატი ქალი თოფურიძე გვიამბობს: „სადელეგატო კრებებზე სიარულმა დამარწმუნა ბოლშევიკების პოლიტიკის სიმართლეში. 1925 წლის 8 მარტს მე საზეიმო ფიცი დავდე პარტიის წინაშე, რომ გავამართლებდი მის წოდებას“[5].

ვ. ი. ლენინის გარდაცვალებამ კიდევ მეტად გააძლიერა მშრომელთა მასწრაფება კომუნისტური პარტიისაკენ. ყოველმა შეგნებულმა მშრომელმა და მათ შორის მშრომელმა ქალებმაც, ამ მძიმე გლოვის დღეებში კარგად განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება პარტიისადმი. ბელადის ხსოვნის უკვდავსაყოფად მუშათა კლასმა და მისმა პარტიამ პარტიული რიგები ახალი ძალებით შეავსო. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის იანვრის პლენუმმა მიიღო დადგენილება მშრომელთა კომუნისტური პარტიის რიგებში მისაღებად ორგანიზაციული კამპანიის ჩასატარებლად. პლენუმმა განსაზღვრა ლენინური გაწვევის ვადები და ამ გაწვევის ჩატარება პლენუმის პირველ მნიშვნელოვან ამოცანად ცნო[6]. პლენუმმა სპეციალურ მიმართვაში „მუშა და მუშა ქალებისადმი“ მიუთითა, რომ სოციალისტური მშენებლობის წარმატება დამოკიდებულია მუშათა კლასის მიერ პარტიისადმი მხარდაჭერაზე“[7].

სააგიტაციო კამპანიას პარტიის ცენტრალური კომიტეტი წარმართავდა ვ. ი. ლენინის მითითების საფუძველზე — საბჭოთა სახელმწიფოს საქმე ბოლომდე მაშინ შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად, როდე-

---

3 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 487, ფურც. 23.

4 იქვე, საქ. 478, ფურც. 12.

5 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 478, ფურც. 12.

6 „სკკპ.. რეზოლუციებში“, ნაწ. I, გვ. 775.

7 იქვე.

საც მასში მონაწილეობას მიიღებს მილიონობით მუშა და გლეხ-ქალი.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითებით საქართველოს ქალთა განყოფილება მიმართავდა ქალებს: „მუშა და გლეხის ქალო, ამიერკავკასიის მშრომელო ქალო! გახსოვდეს პროლეტარიატის ბელადის ანდერძი, გაჰყევ ლენინიზმის გზას. შედი ლენინის პარტიაში და უფრო მეტად შემჭიდროვდი საბჭოთა ხელისუფლების გარშემო"[8]. ამ მოძრაობის შედეგად, რომელიც ისტორიაში შევიდა ლენინური გაწვევის სახელწოდებით, საქართველოს კომპარტიის რიგები შეავსო 3825 წევრმა, აქედან 170 ქალმა[9]. პარტიაში შევიდნენ მტკიცე და შეუდრეკელი, პარტიისათვის ერთგული მუშაკები.

რკპ (ბ) XIV კონფერენციამ (1925 წლის 27—29 აპრილი) მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო პარტიული შემადგენლობის გაუმჯობესებას და პარტიის ზრდის მოწესრიგების საქმეს. კონფერენციამ აუცილებლად ჩათვალა პარტიის რიგების გაზრდა სოფლის საუკეთესო რევოლუციურად მტკიცე და პოლიტიკურად მომზადებული მშრომელებით და მოჯამაგირეებით, ღარიბი გლეხებით და საშუალო გლეხობის იმ ნაწილით, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა პარტიასთან. ამის საფუძველზე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის თათბირმა 1925 წლის ივნისში განიხილა პარტმშენებლობის საკითხი და მიიღო შესაფერი რეზოლუცია[10].

1925 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს კომპარტია თავის რიგებში აერთიანებდა 515 წევრ და 251 კანდიდატ ქალს[11].

კონფერენციის დადგენილების საფუძველზე დელეგატ ქალთა შორის მუშაობის გაფართოების შედეგად საქართველოს პარტიული ორგანიზაცია აღწევს სასურველ შედეგებს, 1926 წლის იანვრისათვის ქალთა რიცხვი პარტიაში 1329 უდრის[12].

აქ მოყვანილი ციფრობრივი მასალები მეტყველებს, რომ საქართველოში მუშა და გლეხქალთა ჩაბმა პარტიის რიგებში ჯერ კიდევ მოიცუსტებდა და არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ასეთი მდგომარეობა ძირითადად აიხსნება ქალთა ორგანიზაციების სუსტი პარტიული ხელმძღვანელობით, სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მოდუნებით; გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგა-

---

8 მლისფპა, ფ. 13, აღწ. I, საქ. 499.

9 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 1050, ფურც. 15. საქ. 1054, ფურც. 100.

10 Резолюции совещаний при Закрайкоме РКП(б) по вопросам партстроительства, кооперации и по поднятию крестьянского хозяйства, Июнь—июль, 1925, Тифлис.

11 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 1191, ფურც. 2—76.

12 იქვე, საქ. 3147, ფურც. 70.

ნიზაციები სათანადოდ ვერ უწყობდნენ ხელს პარტიას ქალთა ყოფაცხოვრების განმტკიცების საქმეში, რითაც საგრძნობლად აფერხებდნენ ქალთა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1925 წლის დეკემბერში ამიერკავკასიის ბოლშევიკების IV ყრილობამ[13] განიხილა კომუნისტურ პარტიაში ქალთა მცირე მონაწილეობა და დასახა ამ მიმართებით მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები. ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია, რომ მუშა და გლეხქალთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის პარტიულ კომიტეტებსა და პარტიულ ორგანიზაციებს მიექციათ სერიოზული ყურადღება. ყრილობა ქალთა შორის მუშაობას თვლიდა როგორც ქალთა განყოფილების, ასევე მთელი პარტიის საქმედაც[14].

პარტიის რიგებში მშრომელ ქალთა მოსაზიდავად ქალთა განყოფილებებმა გააჩაღეს ფართო სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა. ამ საქმისათვის საჭირო იყო საუკეთესო აგიტატორ ქალთა შერჩევა, რომელთა სწორ და მიზანდასახულ გამოსვლებზე ბევრად იყო დამოკიდებული ამ საქმეში წარმატება.

ნ. კრუპსკაიას მოჰყავს ერთი მაგალითი, როდესაც ცუდმა აგიტატორმა გააფუჭა კარგად დაწყებული საქმე. ერთ-ერთ ფაბრიკაში მუშა ქალთა საერთო კრებაზე მან განაცხადა „შედით პარტიაში, მაგრამ გახსოვდეთ პარტიაში შესვლის შემდეგ უარი უნდა თქვათ ქმარზე და შვილზეო“[15]. ასეთი აგიტატორებისათვის საჭირო იყო განემარტათ, რომ პარტია უარს კი არ ამბობდა პირად ცხოვრებაზე, არამედ პირიქით, მთელი თავისი მუშაობით ზრუნავდა მშრომელთა როგორც პირადი, ასევე ოჯახური პირობების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში ქალთა განყოფილებები აგიტატორებად ძირითადად იყენებდნენ ქალთა განყოფილებების ინსტრუქტორებს, ქალორგანიზატორებს და აქტიურ მუშა ქალებს. ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავთან დაკავშირებით მშრომელთა მასების გაწვევამ პარტიაში ფართო გამოძახილი პოვა საქართველოში. ძირითადად ეს მუშაობა გაიშალა საწარმოოს მუშებში. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის მუშაობა მიმდინარეობდა მძაფრი კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ფონზე, ტროცკისტულ-ზინოვიევური ანტიპარტიული ბლოკისა და მემარჯვენე ოპორტუნისტული ბუხარინ-რიკოვის ანტიპარტიული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე.

---

13 Очерки истории Коммунистической партии Грузии, 1963, Тбилиси, გვ. 62.

14 Материалы К отчету Закавказского Краевого Комитета РКП(б) к IV съезду Коммунистических организаций Закавказья, Тифлис, 1925, стр. 107.

15 Журн. «Коммунистка», № 2, 1925, стр. 40.

კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის ზრდაზე მეტყველებს პარტიაში შემსვლელთა განცხადებანი; ამ დოკუმენტებში ვკითხულობთ: „ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი მუშათა პარტიის რიგების სიმჭიდროვე და გრძნობს, რომ საჭიროა მისი რიგების გამაგრება-განმტკიცება, ის უნდა შევიდეს პარტიაში“[16]. ან კიდევ „პარტიაში შესვლით მე ვამაგრებ მის რიგებს და კოვზს ნაცარში ვუგდებ იმ თავაშვებულ ოპოზიციას, რომელიც ხელს უშლის პარტიის საქმიან მუშაობას. ოქტომბრის რევოლუციის 10 წელი და ის მიღწევანი, რომელიც ჩვენ გვაქვს, საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია ლენინური პარტიის პოლიტიკის სისწორისა“[17]. ოქტომბრის გაწვევის შედეგად პარტიის რიგებში გაერთიანდა 137 ქალი[18]. მართალია, ციფრობრივად ეს მონაცემი ძალიან მცირეა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ძირითადად ოქტომბრის გაწვევამ პარტიას მისცა საზოგადოებრივი მუშაობისათვის კარგად მომზადებული მუშა ქალთა კადრი.

1928 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია აერთიანებს 33.261 წევრს, აქედან 2227 ქალს[19], ხოლო 1930 წელს ქართველი ბოლშევიკები პარტიის VII ყრილობაზე (1930 წ. 25 მაისი — 5 ივნისი) წარდგნენ 26.016 წევრითა და 13.422 კანდიდატით, აქედან 2339 ქალი იყო[20].

მშრომელი ქალებით პარტიის რიგების შევსების შედეგად იზრდებოდა, აგრეთვე, კომუნისტ ქალთა რიცხვიც ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე. მაგალითად, თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში 1925 წლის ბოლოსათვის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა 53 კომუნისტი ქალი[21]. აღსანიშნავია ისიც, რომ რესპუბლიკის სამაზრო და საქალაქო პარტიულ კომიტეტებთან არსებულ ქალთა განყოფილებების გამგეები პარტიის მიერ დაწინაურებული კომუნისტი ქალები იყვნენ (იხილეთ ქალთა განყოფილების გამგეების თანდართული სია 96 გვერდზე), საიდან ირკვევა, რომ ძველ გამოცდილ რევოლუციონერ ქალებთან ერთად ქალთა განყოფილებებს ხელმძღვანელობდნენ ახლად დაწინაურებული მუშაკები.

ხელმძღვანელ პოსტებზე კომუნისტ ქალთა ერთი ნაწილის დაწი-

---

16 ჟურნ. „მოამბე“, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ტფილისის კომიტეტისა. № 1 (8), 1928, გვ. 3.

17 იქვე.

18 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2735, ფურც. 250.

19 იქვე, საქ. 2972, ფურც. 43.

20 იქვე, საქ. 3605, ფურც, 64.

21 იქვე, საქ. 1321, ფურც. 10.

ნაურების მიუხედავად, პარტიას ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა სჭირდებოდა ქალთა ხელმძღვანელი კადრების აღსაზრდელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნავ ბაზას ახალი პარტიული კადრების აღზრდისათვის იძლეოდა ლენინური კომკავშირი. ქალთა განყოფილებები კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ზრუნავდნენ, როგორც კომკავშირში ქალიშვილების მიღებაზე, ასევე მათ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაწინაურებლად. კომკავშირი, როგორც პარტიის რეზერვი, წლიდან წლამდე იზრდებოდა და მტკიცდებოდა. თუ 1926 წლისათვის საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია[22] აერთიანებდა 8755 ქალიშვილს, ე. ი. საერთო რიცხვის 14,6%, 1929 წლისათვის კომკავშირელ ქალიშვილთა რიცხვი 15,983 აღწევდა[23].

კომკავშირულ ორგანიზაციებში ქალიშვილების რიცხობრივი ზრდა შედეგი იყო იმ დიდი მუშაობისა, რომელსაც ეწეოდნენ ქალთა განყოფილებები ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად.

ქალიშვილების კომკავშირში ჩაბმით იზრდებოდა ქალთა განყოფილებების გავლენა მუშა და გლეხქალთა ფართო ფენებზე, რითაც შესაძლებლობა იქმნებოდა სისტემატური, გეგმაზომიერი მუშაობის ჩასაჩაღებლად ქალთა ახალგაზრდა კადრების საზოგადოებრივი მშენებლობის ყველა ფრონტისათვის მოსამზადებლად.

საქართველოს კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა პროფკავშირების მუშაობას, რომელიც ეხმარებოდა პარტიას სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მშრომელთა ფართო ფენების მობილიზაციის საქმეში. „პროფესიული კავშირები წარმოადგენდნენ სწორედ პროლეტარიტის ისეთ მასობრივ ორგანიზაციას, რომელიც იზრდებოდა და აერთიანებდა მთელ მუშათა კლასს და აღარაღებდა მას საბრძოლველად“[24].

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე საქართველოში შეიქმნა ოცამდე სამრეწველო პროფკავშირი, ყალიბდებოდა საქარხნო, საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტები. 1921 წლის ივნისში ჩატარებული საქართველოს პროფესიული კავშირების I კონფერენცია მოუწოდებდა მშრომელებს მიეღოთ აქტიური მონაწილეობა აღდგენითი პერიოდის ამოცანების შესასრულებლად[25].

საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობამ (1922 წლის იანვარი) მოიწონა ლენინის მითითება სოციალიზმის მშენებლობაში

---

22 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2215, ფურც. 139.

23 სტატისტიკური კრებული „საბჭოთა საქართველოს ათი წელი“, ტფილისი, 1931, გვ. 9.

24 იხ. კრებული „განთავისუფლებული გზისაკენ“, თბილისი, 1922, გვ. 9.

25 Очерки истории Компартии Грузии, 1963, Тбилиси, стр. 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სია (1926 წელი)

საქ. კპ(ბ) საოლქო, სამაზრო და საქალაქო

კომიტეტებთან არსებული ქალთა განყოფილებების გამგეებისა [26]

გვარი, სახელი	ოლქი ან მაზრა	პარტსტაჟი	სოციალური მდგომარეობა
1. კიდაიშ ოლგა	საქ. კ. პ. (ბ) თბილ. კომიტ.	1920 წ.-დან პ. წ.	მოსამსახურე
2. ჩიჟოვა ქსენია	აფხაზეთის	1923 წ. პ.წ.	„
3. დანელია ანა	აჭარის	1925 „	„
4. ჯიკოევა ბარბალე	სამხ. ოსეთის	1918 „	„
5. ცაგარეიშვილი ნადია	ფოთის	1919 „	„
6. თალაკვაძე ალვასი	ოზურგეთის	1917 „	„
7. ჩიჩუა ოლგა	ახალი სენაკის	1925 „	„
8. მიქაძე ეკატერინე	ქუთაისის	1903 „	„
9. გვახარია ნადია	ზუგდიდის		
10. იაგორაშვილი იუსტინე	რაჭის	1921 „	„
11. ყრუაშვილი იულია	ლეჩხუმის	1921 „	„
12. ლომთათიძე ნატალია	შორაპნის	1919 „	„
13. ძინძიბაძე	გორის	1923 „	„
14. კრავცოვა ჩიტო	დუშეთის	1923 „	„
15. ჯიოევა	ბორჩალოს		
16. ცინცაძე თამარი	თელავის	1917 „	„
17. გოგოლაშვილი ნინა	სიღნაღის	1925 „	„
18. სიმონიანი ანაიდა	ახალციხის	1921 „	„
19. შალამიანი	ახალქალაქის		
20. გვასალია ოლგა	სვანეთის	1925 პ.კ.	გლეხი
21. კიკაჩეიშვილი ლიდია	თბ. 1 რაიონი	1925 „	მოსამსახურე
22. მიხაილოვა ეკატერინე	„ 2 „	1921 პ.წ.	მუშა
23. ესაიანი ანაიდა	„ 3 „	1913 „	მოსამსახურე
24. თენეიშვილი სოფიო	„ 4 „	1919 „	მოსამსახურე

პროფკავშირების როლის შესახებ და დაავალა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს მისი ცხოვრებაში გატარება[27].

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ მთელი სიმძაფრით დააყენა მშრომელ ქალთა პროფესიულ მშენებლობაში ჩაბმის საკითხი. პროფკავშირებში ქალთა გაერთიანება ხელს შეუწყობდა წარმოებაში მათ დატოვებას და შრომითი კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა გაშალეს პარტიული კომიტეტების ქალთა განყოფილებებმა და პროფკავშირებმა ინსტრუქტორ-ორგანიზატორების მეშვეობით.

ქალთა ფართო მასების პროფესიულ ორგანიზაციებში ჩაბმის საკითხი მწვავედ იდგა 1922 წელს ამიერკავკასიის პროფესიული ორგანი-

---

26 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2215, ფურც. 128.

27 Материалы I съезда Компартии Грузии, Тифлис, 1923, стр. 3.

ზაციების გაერთიანებულ თათბირზე, რომელმაც განსაზღვრა ქალთა შორის პროფმუშაობის ამოცანები და დასახა კონკრეტული ღონისძიებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1924 წელს საქართველოს პროფკავშირთა მეოთხე ყრილობა კვლავ ამახვილებდა ყურადღებას ამ საკითხზე და თავის რეზოლუციაში აღნიშნავდა, რომ „ქალების პროფკავშირში ჩაბმის მხრივ ჯერჯერობით ცოტა რამ არის გაკეთებული. საჭიროა გაძლიერდეს ქალთა აქტივის პროფკავშირებში სისტემატური ჩაბმა (დელეგატთა კრებებზე, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში, ადგილკომებში, გამგეობასა და მასთან არსებულ კომისიებში წამოყენებით)[28]. ამ რეზოლუციის ცხოვრებაში გასატარებლად დიდი როლი შეასრულეს ქალთა შორის მომუშავე ინსტრუქტორ-ორგანიზატორებმა. ქალთა შორის მუშაობას ინსტრუქტორ-ორგანიზატორები წარმართავდნენ პარტიული და პროფკავშირული დადგენილებების საფუძველზე. ისინი უშუალოდ დაკავშირებული იყვნენ პროფკავშირების საორგანიზაციო განყოფილებასთან, შედიოდნენ პროფსაბჭოს ბიუროს შემადგენლობაში და ადგილობრივ პარტიულ კომიტეტში სათათბირო ხმით.

ქალთა შორის მუშაობამ დადებითი შედეგი მოგვცა. ეს, უპირველესად ყოვლისა, გამოიხატა საქართველოს პროფკავშირში მშრომელ ქალთა რიცხობრივი ზრდით. თუ 1923 წლისათვის პროფკავშირი აერთიანებდა 16.247 ქალს, 1927 წლისათვის მათი რიცხვი გაიზარდა 33.067[29].

პროფკავშირების ძირითადი ამოცანა იყო მშრომელთა ეკონომიური ინტერესების დაცვა და მათი მატერიალური უზრუნველყოფა. ისინი ენერგიულად მუშაობდნენ ამ მიმართულებით, რითაც ყოველდღიურად იმტკიცებდნენ მშრომელთა ფართო მასებში მოპოვებულ ავტორიტეტს. პროფესიულ კავშირებში რიცხობრივი ზრდა პროფკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში ქალთა დაწინაურების აუცილებელ პირობებს ქმნიდა. 1926 წლისათვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში დააწინაურეს ქალთა 13%, კულტმასობრივ კომისიებში და შრომის დაცვის კომისიებში — 13%. მაგრამ ქალთა დაწინაურების ასეთი პროცენტი მაინც დაბალი იყო. 1926 წელს საქართველოს პროფკავშირების საბჭოს დადგენილების საფუძველზე ძირეული გარდატეხა მოხდა პროფკავ-

---

28 საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა, ტფილისი, 1925.

29 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2215, ფურც. 17, საქ. 3147, ფურც. 3.

შირების მუშაობაში[30]. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ქალთა შორის პროფმუშაობის გაძლიერების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალთა შორის მომუშავე ინსტრუქტორ-ორგანიზატორები თვალყურს ადევნებდნენ ამ დადგენილების შესრულებას. წლების მანძილზე იზრდებოდა პროფკავშირებისა და მუშა ქალთა კავშირი, მტკიცდებოდა აქტიურ ქალთა კადრებიც. 1928 წლისათვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში ადგილები დაიკავა 15,6% ქალმა, ხოლო სხვადასხვა კომისიებში დაწინაურდა 17,1% ქალი[31].

სადგურ ნავთლუღის ადგილკომთან არსებულ ქალთა კომისიის თავმჯდომარედ 1928 წელს მუშაობდა მარო დავიდოვა, მან შეძლო მუშათა კლუბებში გაეხსნა ჭრა-კერვის სახელოსნო, რომელშიც 30 ქალი სწავლობდა[32]. ესენი იყვნენ როგორც ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეთა ცოლები და შვილები, ასევე გარეუბნის სოფლის მუშა და გლეხი ქალები.

პროფკავშირების ორგანოებში ქალთა დაწინაურება ხელს უწყობდა მშრომელ ქალთა მასების საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ზრდას. მოწინავე მუშა ქალები ცდილობდნენ გაეზარდათ პროდუქციის ხარისხი, შეემცირებინათ თვითღირებულება, რითაც მაგალითს აძლევდნენ და აინტერესებდნენ მუშა ქალთა გარკვეულ ნაწილს.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან არსებული კომისიების მოწინავე ქალები გულდასმით ადევნებდნენ თვალყურს საბჭოთა კანონდებლობის შესრულებას, შრომის პირობების დაცვას, უწყობდნენ ხელს კვალიფიკაციის ასამაღლებელ წრეებში ქალთა ჩაბმას, პოლიტიკოდნის ჯგუფებში და საკლუბო მუშაობაში მათ გაერთიანებას. გარდა ამისა, ასახელებდნენ მუშა ქალთა კანდიდატურებს ხელმძღვანელ სამეურნეო და ადმინისტრაციულ პოსტებზე.

საქართველოში 1928 წლისათვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში, ადგილობრივ პროფკავშირებში და საქართველოს პროფსაბჭოში ქალთა მონაწილეობა შემდეგ სურათს გვაძლევს:

1. პროფსაბჭოში 30 ქალი;
2. სამაზრო განყოფილებების მმართველ ორგანოებში 137 ქალი;
3. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში 621;
4. შრომის დაცვის სექტორში 276 ქალი;
5. კულტსაგანმანათლებლო სექციაში 421;
6. საწარმოო სექციაში 115;

---

30 გაზ. „მუშა“, № 1848, 1927 წლის 22 მაისი.

31 იხ. გაზ. „კომუნისტი“, № 54, 1929 წლის 8 მარტი.

32 იხ. გაზ. „მუშა“, № 1816, 1928 წლის 8 დეკემბერი.

7. სარევიზიო კომისიაში 298.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიულ კავშირებში გაერთიანებულ ქალთა რიცხვი კი 38.184 უდრიდა[33]. ამგვარად, საქართველოში პროფკავშირებში ქალთა აქტივის მონაწილეობამ აამოძრავა მშრომელ ქალთა ფართო მასა და აქტიურად ჩააბა სოციალისტური მშენებლობის ფერხულში.

2. ქალთა მონაწილეობა საქართველოს საბჭოების მუშაობაში

ვ. ი. ლენინი უაღრესად დიდ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალთა მონაწილეობას საბჭოთა სახელმწიფოს მართვისა და შენების საქმეში. 1920 წლის თებერვალში მუშა ქალებისადმი მისასალმებელ წერილში იგი აღნიშნავდა, რომ პარტიის ამოცანაა მშრომელმა ქალმა არა მარტო კანონით, არამედ საქმითაც მიაღწიოს თანასწორუფლებიანობას, რისთვისაც ქალებმა სულ უფრო დიდი მონაწილეობა უნდა მიიღონ საზოგადოებრივ, საწარმოო და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში[34]. საჭირო იყო ქალების არჩევა საბჭოებში. ქალები თავიანთი მრავალმხრივი საქმიანობით უშუალოდ დაუკავშირდნენ მშრომელთა ფართო ფენებს და პარტიის პოლიტიკის პრაქტიკული გამტარებელნი გახდნენ. მშრომელები საბჭოების საშუალებით ხელმძღვანელობდნენ მთელ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას.

საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ვ. ი. ლენინის მითითებები ქალთა პოლიტიკური აღზრდის მნიშვნელობისა და სახელმწიფო ორგანოებში მათი ჩაბმის აუცილებლობის შესახებ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე რიგი ღონისძიებები გაატარეს ამ მიმართულებით.

1921 წლის დამლევსა და 1922 წლის დამდეგს საქართველოში მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების დროს პარტია ზრუნავდა მოეზიდა მშრომელ ქალთა მასები არჩევნებში. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მშრომელ ქალთა განყოფილებამ საქალაქო, საოლქო და სამაზრო განყოფილებებს დაუგზავნა ცირკულარული წერილი, რომელშიც ავალებდა მათ ყველაფერი ეღონათ ქალთა ფართო მასების მისაზიდად არჩევნებში[35]. წერილში ხაზგასმული იყო, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ინტენსიურ აგიტაციას, როგორც ქალთა მობილიზაციის, მათი პოლიტიკური და შრომითი ენთუზიაზმის გაძლიერე-

---

33 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3147, ფურც. 3.

34 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 440.

35 ჟურნ. „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის უწყებები“, 1922.

ბის საშუალებას. წინასაარჩევნო კამპანიას ხელი უნდა შეეწყო მშრომელ ქალთა ფართო მასებში სოციალისტური შეგნების ამაღლებისა და განმტკიცებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებამ გამოაქვეყნა მიმართვა: „საქართველოს ყველა მშრომელ ქალს!“, რომელშიც მოუწოდა მუშა და გლეხქალებს გამხდარიყვნენ საბჭოთა მშენებლობის აქტიური მონაწილენი და საბჭოების არჩევნების დროს ხმა მიეცათ მხოლოდ კომუნისტებისა და უპარტიო პატიოსანი მშრომელებისათვის[36].

1921 წლის დეკემბერში საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაამტკიცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ წარდგენილი „დებულება სათემო და სამაზრო საბჭოებისა და საქართველოს საბჭოების ყრილობის არჩევნებისათვის“[37], რომელშიც განმარტებული იყო სათემო, სამაზრო, საქალაქო საბჭოების არჩევნებისა და ადგილობრივი საბჭოების საარჩევნო კომისიების შექმნის წესი, დადგენილი და განსაზღვრული იყო საარჩევნო ნორმები და სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობის მოწვევის წესი. დებულების თანახმად არჩევნებში მონაწილეობის უფლება სქესის, სარწმუნოებისა და ეროვნების მიუხედავად ენიჭებოდა საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა მშრომელს, რომელთაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდებოდათ და ჩაბმულნი იქნებოდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალებოდათ იმ პირთ, რომელნიც დაქირავებულ შრომას იყენებდნენ, ან უშრომელი შემოსავლით ცხოვრობდნენ. სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ამ ეტაპზე საბჭოების არჩევნები ეწყობოდა მრავალსაფეხურიანი სისტემით და ღია კენჭისყრით.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1921 წლის დეკემბერში თბილისში დაიწყო საბჭოების არჩევნები. არჩევნების პირველივე დღეს სეილანოვის თამბაქოს ფაბრიკის შენობაში თამბაქოს ფაბრიკებისა და ჰილზების დამამზადებელი ფაბრიკების გაერთიანებულ წინასაარჩევნო კრებაზე, რომელსაც 70-ზე მეტი ამომრჩეველი ესწრებოდა, თბილისის საბჭოს შემადგენლობაში ერთხმად აირჩიეს 4 დეპუტატი, მათ შორის ორი მუშა ქალი[38]. ამ არჩევნების შედეგად თბილისის საბჭოში არჩეული 351 დეპუტატიდან 17 ქალი იყო[39].

---

36 გაზ. „კომუნისტი“, 1922 წლის 12 თებერვალი.

37 გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 27 დეკემბერი.

38 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 4 დეკემბერი.

39 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 371, ფურც. 1—2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ითქვას, რომ საბჭოების არჩევნები საქართველოს სს რეს. პუბლიკაში მშრომელთა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით აღინიშნა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის ფართო ფენებმა, მათ შორის ქალებმაც. „მიუხედავად ცუდი ამინდისა, საარჩევნო კრებებზე მოდიან ისეთი ღრმა მოხუცი ქალები, — სწერდა სენაკის მაზრის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ცენტ. საარჩევნო კომისიას, — რომელნიც რამდენიმე წელია ეზოს არ გასცილებიან“[40]. მაზრის გლეხებმა გაიღვიძეს და არჩევნებს ესწრებოდა ქალიც და კაციც[41] — ნათქვამი იყო შორაპნის სამაზრო საარჩევნო კომისიის ერთ-ერთ ანგარიშში.

საბჭოების არჩევნებში მშრომელ ქალთა მოსაზიდად დიდ მუშაობას ეწეოდნენ საქალაქო და სამაზრო პარტიული კომიტეტების ქალთა განყოფილებები. „საბჭოების არჩევნების დროს დავდიოდით თემებში, — წერდა ქალთა განყოფილების ერთ-ერთი აქტიური მუშაკი, — ვცდილობდით გაგვეყვანა საბჭოებში მშრომელი გლეხი ქალები, ზოგან ზედმეტი ჩამორჩენილობის გამო ქალები არჩევნების დროს არ ჩანდნენ, ზოგან კი მათი რიცხვი უთანაბრდებოდა მამაკაცების რაოდენობას. აღსანიშნავია კლდეეთის თემი, სადაც სოფელ ალავერდის გლეხის ქალები დარაზმულნი, რევოლუციური აღტყინებით მოვიდნენ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად[42].

1921—1922 წლების საბჭოების საარჩევნო კამპანიის დროს საქართველოს მშრომელმა ქალებმა ფართოდ ისარგებლეს იმ უფლებებით, რომლებიც მათ საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა. საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკამ, რასაც პარტია ახორციელებდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე, განაპირობა საბჭოების მუშაობაში ქალთა მასობრივი ჩაბმა.

საქართველოს კომპარტიის IV ყრილობამ (1925 წლის დეკემბერი) მოიწონა პარტიის ხაზი საბჭოების გამოცოცხლების საქმეში. ყრილობამ მიუთითა, რომ პარტიის ამოცანას სოფლად წარმოადგენდა ადგილებზე საბჭოების გამოცოცხლება, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება და გაძლიერება[43].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა

---

40 გაზ. „კომუნისტი“, 1922 წლის 15 თებერვალი.

41 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 159.

42 იქვე.

43 საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) IV ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, ტფილისი, 1925, გვ. 56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაავალა ყველა სამაზრო და საქალაქო კომიტეტს, რომ მომავალ არჩევნების დროს საბჭოებში აერჩიათ ყველა აქტიური დელეგატი ქალი[44].

საბჭოების შემადგენლობაში უპარტიო მშრომელ ქალთა არჩევას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა 1925 წლის საარჩევნო კამპანიის პერიოდში[45]. წინანდელი არჩევნებისაგან განსხვავებით, 1925 წლის არჩევნები გამოირჩეოდა მშრომელთა მზარდი პოლიტიკური აქტივობით. საქართველოს მშრომელი ქალი უკვე გამოდის როგორც შეგნებული მოქალაქე, რომელსაც სურს მამაკაცთან ერთად მონაწილეობდეს ქვეყნის მართვა-გამგეობაში. მაგალითად, მშრომელ ქალთა განსაკუთრებული აქტივობით აღინიშნა არჩევნები სიღნაღის მაზრაში[46]. ამავე წელს მეტეხის თემში აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს მოწინავე ქალი მაგდანა ედიშერაშვილი. ეს უთუოდ საგულისხმო მოვლენა იყო იმდროინდელი ქართული სოფლის ცხოვრებაში.

1925 წლის არჩევნების საერთო შედეგები შემდეგ სურათს იძლევა: სათემო და სასოფლო საბჭოების წევრად არჩეული იყო 21054 კაცი, აქედან 1638 ქალი ანუ საერთო რიცხვის 7,8%, სათემო აღმასკომების და სასოფლო საბჭოების პრეზიდიუმში არჩეული 1456 წევრიდან 21 ქალი იყო. საქალაქო საბჭოებში არჩეული 1439 დეპუტატიდან 189 (13,1%) ქალი იყო[47]. სამაზრო აღმასკომებში ქალები 5% შეადგენდნენ.

ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ 1925 წლების არჩევნების შედეგების მნიშვნელობაზე, საკმარისია გავიხსენოთ წინა წლებში ჩატარებული არჩევნების ზოგიერთი მონაცემი. როგორც აღვნიშნეთ, 1921 წელს თბილისის საბჭოში მხოლოდ 17 ქალი აირჩიეს, 1923 წელს სასოფლო საბჭოებში — 686 ქალი, ანუ 4%, სამაზრო აღმასკომში კი — 12 ქალი[48]. როგორც ვხედავთ, 1925 წელს საბჭოებში არჩეულ ქალთა რიცხვი წინა წლებთან შედარებით გაიზარდა. 1925 წლის არჩევნების შედეგები ნათლად მოწმობენ, რომ პარტია მტკიცედ დაადგა საბჭოებში მშრომელი ქალების მაქსიმალური ჩაბმის კურსს, რაც საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების ერთ-ერთი მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდა. ამის შესანიშნავი დადასტურებაა სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუ-

---

44 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 1319, ფურც. 40.

45 გაზ. „კომუნისტი“, 1925 წლის 1 თებერვალი.

46 გაზ. „კომუნისტი“, 1925 წლის 17 თებერვალი.

47 საბჭოთა საქართველოს 10 წელი. სტატისტიკური კრებული, 1921—1931, თბილისი, 1931, გვ. 2—4.

48 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 371, ფურც. 1—2.

ტატების საბჭოების III ყრილობა, რომელიც 1925 წლის 5 აპრილს გაიხსნა. ამ ყრილობის 373 დელეგატიდან 36 ქალი იყო[49].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ რესპუბლიკაში არჩევნების საერთო შედეგებმა ნათლად დაადასტურა, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა, რომ პარტია მშრომელთა დიდი ნდობით სარგებლობდა.

მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი მიღწევებისა, რომლებიც 1925 წლის არჩევნების დროს იქნა მოპოვებული, უნდა ითქვას, რომ პარტიას ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი საბჭოების მუშაობაში რესპუბლიკის მშრომელ ქალთა ძირითადი მასის ჩაბმისათვის. საქმე ის იყო, რომ ზოგიერთი მაზრის კომუნისტურმა უჯრედებმა და საარჩევნო კომისიებმა დროზე და ფართოდ ვერ განუმარტეს მშრომელ მასებს ამ ეარიად მნიშვნელოვანი კამპანიის შინაარსი, არ ჰყავდათ საკმაოდ მომზადებული აგიტატორები, რომლებიც აუხსნიდნენ მშრომელებს საბჭოებში მუშა, გლეხქალთა და დიასახლისთა მონაწილეობის აუცილებლობას, რამაც, რასაკვირველია, შეაფერხა საბჭოების შემადგენლობაში ქალთა მეტი რაოდენობით არჩევის საქმე. ზოგიერთ მაზრაში თვით ქალებსაც ნაკლებად ესმოდათ საბჭოების ძირითადი პრინციპები, მიზნები და ამოცანები; ზოგჯერ წამოყენებულ კანდიდატებს ჯეროვნად არ იცნობდნენ, არ ითვალისწინებდნენ მათს მომზადებას, ავტორიტეტს. უფრო მეტიც, ზოგიერთ კანდიდატ ქალს არც კი ეკითხებოდნენ სურდათ თუ არა საბჭოებში მუშაობა.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ყოველთვის მნიშვნელოვან საკითხად თვლიდა საბჭოებში ქალთა მონაწილეობის საკითხს, მრავალი ღონისძიება გაატარა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. საბჭოთა დაწესებულებების მუშაობაში მშრომელ ქალთა ფართო ფენების ჩაბმის ახალი ფორმების ძიებამ და სახელმწიფო აპარატისათვის კადრების მომზადებაზე ზრუნვამ გამოხატულება პოვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელ რიგ გადაწყვეტილებებში.

პარტია დიდ ყურადღებას უთმობდა ქალთა დაწინაურებას ხელმძღვანელ სამუშაოებზე, კერძოდ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში. სახელმწიფო აპარატის ხალხთან დაახლოებისა და ამ აპარატის ბიუროკრატიული ელემენტებისაგან გაწმენდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მიაჩნდა მუშა და გლეხქალთა ფართო მონაწილეობა აღმასრულებელ კომიტეტებში. ამისათვის აქტიურ ძალებს აგზავნიდნენ საბჭოთა მშენებლობის სკო-

---

49 საბჭოთა საქართველოს 10 წელი, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1931, გვ. 1.

ლებში და ქმნიდნენ სპეციალურ წრეებს აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის შესასწავლად. საბჭოებში იქმნებოდა სექციები. საბჭოს თითოეულ წევრს ევალებოდა ემუშავა ერთ-ერთ სექციაში, რითაც იგი უშუალოდ მონაწილეობდა მმართველობაში[50]. საბჭოებთან მუშაობდენ კომუნალური, ფინანსური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, კოოპერაციული და სხვა სექციები. სექციების შემადგენლობაში შედიოდა საბჭოს 3—5 წევრი, ხელმძღვანელი პოსტებისათვის ქალთა პრაქტიკულად მომზადების მიზნით საველეგატო კრებების მიერ გამოყოფილი იყო დელეგატი ქალი, რომელსაც სათათბირო ხმა ჰქონდა. სექციებში ხშირად ეწყობოდა ზოგადი ხასიათის საუბრები და მოხსენებები. ისინი მთავარ ყურადღებას უთმობდნენ პრაქტიკულ მუშაობას. მაგალითად, ჯანმრთელობის სექცია ეხმარებოდა სხვადასხვა დაწესებულებებს თუ წარმოებებს საბავშვო ბაღების, ბაღების, ამბულატორიებისა და სამშობიარო სახლების გახსნაში. განათლების სექცია აყალიბებდა საგანმანათლებლო კურსებს, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებსა და სხვ.

დელეგატი ქალები სექციის სხვა წევრებთან ერთად აქტიურად მუშაობდნენ. დელეგატთა უმრავლესობა მიმაგრებული იყო კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვისა და კოოპერაციულ სექციებზე. ეს სექციები საბჭოების მუშაობაში ჩაბმისათვის ქალთა მომზადების შესანიშნავ სკოლას წარმოადგენდნენ. სექციებში იწრთობოდა ადგილობრივი საბჭოებისათვის გამოცდილი კადრები. აქ არა ერთი დელეგატი ქალი გამოიზარდა, რომლებიც შემდეგ სათემო აღმასკომებისა, თუ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებად აირჩიეს.

საბჭოს დეპუტატი ქალები თანდათან მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 20-იანი წლების მეორე ნახევარში. ასე, მაგალითად, 1927 წელს სოფელ შაუმიანში (ბორჩალოს მაზრა), სუფსაში (ოზურგეთის მაზრა) და ზუგდიდში დეპუტატმა ქალებმა აკრიფეს მთელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. სოფელ სურების (ოზურგეთის მაზრა) დეპუტატი ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ გზის მშენებლობაზე. თბილისის დეპუტატმა ქალებმა გამოიკვლიეს საბავშვო ბაღებისა და პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა. მაგრამ ასე როდი იყო ყველა მაზრაში. მაგალითად, ახალციხის, ახალქალაქისა და აჭარის ზოგიერთი მაზრის დეპუტატმა ქალებმა არც კი

---

[50] გ. ა. ერემოვი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები, თბილისი, 1960, გვ. 226.

იცოდნენ, თუ რიდის ტარდებოდა საბჭოს სხდომები. ისინი სრულიად მოწყვეტილი იყვნენ პრაქტიკულ საქმიანობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტია ყველა ღონისძიებით ცდილობდა, რომ საბჭოები გადაექცია ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მასობრივ ყოვლისმომცველ ორგანოებად[51].

მშრომელ ქალთა განყოფილებათა გამგეების მორიგ თათბირზე, რომელიც 1927 წლის 2 იანვარს ჩატარდა, ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო საბჭოების არჩევნებში ქალთა მონაწილეობისა და საერთოდ ქალთა დაწინაურების საკითხი. თათბირმა დასახა რიგი ღონისძიებანი ქალთა აქტივობის გაძლიერებისათვის. თათბირმა მიიღო მოწოდება: „ყველა მშრომელი ქალი არჩევნებზე, არ უნდა დაიკარგოს მშრომელი ქალის არც ერთი ხმა"[52].

1927 წლის არჩევნებმა დაგვანახვა საბჭოთა მშენებლობაში მშრომელ ქალთა ჩაბმის ზრდა და მათი უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფა. ამ წელს რესპუბლიკის 526462 ამომრჩეველი ქალიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 198472 ქალმა, ე. ი. 37,7%[53]. განსაკუთრებით დიდი იყო გლეხქალთა აქტივობა. მაგალითად, თბილისის მაზრაში არჩევნებში მონაწილეობდა ქალთა 42,1%, სიღნაღის მაზრაში—56,2%, ბორის მაზრაში — 49,2%, რაჭის მაზრაში — 53,4%[54]. თავი. გამოიჩინეს ოზურგეთის მაზრის ქალებმა, სადაც სადელეგატო კრებები შეგნებულად უდგებოდნენ თითოეული დასახელებული კანდიდატურის განხილვას[55].

საგულისხმოა, რომ წინასაარჩევნო კრებებზე ქალები განსაკუთრებით აქტიურობდნენ იქ, სადაც სადელეგატო კრებები ძლიერი იყო. მაგალითად, ზუგდიდის მაზრაში კომუნისტების და უპარტიოების ბლოკის მიერ წამოყენებული სიის წაკითხვის შემდეგ მენშევიკებმაც გამოაქვეყნეს დეპუტატებად ასარჩევ კანდიდატთა სია, კრებაზე გამოვიდა უპარტიო დელეგატი ქალი, რომელმაც დამსწრეებს მოუწოდა უარეყოთ მენშევიკების მიერ დასახელებულ კანდიდატთა სია, რის შედეგადაც კრების მონაწილე ყველა ქალმა მხარი დაუჭირა პირველ სიას[56].

---

51 Очерки истории Коммунистической партии Грузии, часть II (1921—1963), Тбилиси, 1963, გვ. 70.

52 ჟურნ. „მშრომელი ქალი", № 6—7, 1927, გვ. 9.

53 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2715, ფურც. 82—85.

54 იქვე.

55 იქვე, საქ. 2688, ფურც. 73—75.

56 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3147, ფურც. 12.

წინასაარჩევნო კამპანიები კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. მაგალითად, ოზურგეთის მაზრის სოფლებში ხვარბეთსა და ბახვში, შორაპნის მაზრის სოფელ თერჯოლაში, ქუთაისის მაზრის სოფლებში კურსებსა და საწირეში კულაკურ-ნეპმანური ელემენტების გავლენით ვლეხი ქალები კრებებზე ანტისაბჭოურ განწყობილებას ამჟღავნებდნენ. ორგანიზებულად გამოდიოდნენ და ცალკეულ შემთხვევებში თავიანთ კანდიდატებსაც კი ასახელებდნენ[57]. საჩხერის მაზრის ჭორეთის თემში ერთ-ერთი ქალი აგიტაციას ეწეოდა —რა საჭიროა კრებებზე დასწრება, უმჯობესია ბავშვებს მივხედოთ სახლში[58].

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად დამხობილი კლასები და მათი გაკოტრებული პარტიები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ჩაეშალათ საბჭოების არჩევნები, ანდა იქ, სადაც ხელი მიუწვდებოდათ, გაეყვანათ თავიანთი კანდიდატები, რათა თავიანთი დეზორგანიზატორული მუშაობისათვის დასაყრდენი ჰქონოდათ ხელისუფლების ორგანოებში. ამიტომ, როგორც 1927, ისე 1929 წლების არჩევნები მიმდინარეობდა დამხობილი კლასების წარმომადგენლებთან გააფრთრებული ბრძოლის ვითარებაში. მშრომელ ქალთა უდიდესი პოლიტიკური სიფხიზლით აიხსნება მათი აქტივობა არჩევნებში და მხარდაჭერა, რომელიც მათ კომუნისტური პარტიის მიერ დასახელებულ კანდიდატებს აღმოუჩინეს.

1927 წელს მხოლოდ 2-დან 20%-მდე ღარიბი და მოჯამაგირე ქალი მონაწილეობდა არჩევნებში, რაც პარტიული უჯრედების, სათემო და სამაზრო კომიტეტების უყურადღებობით უნდა აიხსნას.

1927 წლის სექტემბერში მთელ რესპუბლიკაში მიმდინარეობდა დეპუტატ ქალთა კონფერენციები, რომელთა შემდეგ გაიმართა საქართველოს დეპუტატ ქალთა პირველი ყრილობა. ყრილობა გაიხსნა 10 ოქტომბერს ქალაქ თბილისში. მასში მონაწილეობა მიიღო 84 დეპუტატმა ქალმა გადამწყვეტი ხმით, ხოლო 13 სათათბირო ხმით[59].

დეპუტატ ქალთა საერთო რიცხვიდან 12 სათემო აღმასკომის წევრი იყო. ყრილობის ეროვნული შემადგენლობა ასეთი იყო: 48 ქართველი (მათ შორის 3 აჭარელი), 9 სომეხი, 4 თურქი და აზერბაიჯანელი, 12 რუსი, 3 ოსი, 2 აფხაზი, 1 ბერძენი, 2 გერმანელი, 1 ლიტველი. სოციალური შემადგენლობა: 15 მუშა, 1 მოჯამაგირე, 35 გლეხი, 27 მოსამსახურე. საკავშირო კომუნისტური პარტიის წევრი და კანდიდატი იყო

---

57 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2715, ფურც. 82—85.

58 იქვე, საქ. 2688, ფურც. 73—75.

59 მლისფპა, ფ. 14. აღწ. I, საქ. 3147, ფურც. 12.

30, ალკკ წევრი — 6, ხოლო უპარტიო — 77, განათლების ცენზის მიხედვით: 71 იყო წიგნიერი, 6 მცირე წიგნიერი, ხოლო 6 უწიგნური. თითქმის ყველა დელეგატი იყო საბჭოს წევრი, მათგან 63 პრეზიდიუმის წევრი, ხოლო 11 საბჭოს თავმჯდომარე[60].

ყრილობა ჩატარდა დეპუტატ ქალთა აქტივობის ვითარებაში. ყრილობაზე გამოსული ქალები ძირითადად ეხებოდნენ ქალთა შორის მუშაობის მტკივნეულ საკითხებს. ეს გამოსვლები ცხადყოფდნენ ქალთა მასების პოლიტიკურ ზრდას. სასკოლო მშენებლობისა და სანიტარული საქმის არც ერთი წვრილმანი საკითხი არ გაუშვიათ მათ მხედველობიდან, ისინი დაბეჯითებით მოითხოვდნენ, რომ გამოეყენებინათ ქალები როგორც საბჭოთა ორგანიზაციებში სამუშაოდ, ისევე პასუხსაგებ თანამდებობებზე. კამათში გამოსულები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მუშაობის ხელშემშლელ პირობებს. როგორც ყრილობაზე აღინიშნა, რესპუბლიკის ზოგიერთ კუთხეში — აჭარაში, ხევსურეთში, ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში ქმრები და მამები უკრძალავდნენ ქალებს საბჭოებში მუშაობას. ყრილობამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მოუწოდა ქალთა ფართო მასებს უფრო აქტიურად ჩაბმულიყვნენ სოციალისტურ მშენებლობაში[61]. საბჭოების მუშაობაში ქალთა მონაწილეობის საკითხზე ყურადღება გაამახვილა, აგრეთვე, საქართველოს კომპარტიის მეხუთე ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1927 წლის 12 — 19 ნოემბერს. საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ ჯეროვან ყურადღებას უთმობდნენ საბჭოებს, გარდაქმნიდნენ მათ მუშაობას იმის მიხედვით, თუ რა ამოცანები იდგა რესპუბლიკის წინაშე. საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელი იყო თვით საბჭოების განმტკიცება, სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა შესაბამისად მათი მუშაობის გარდაქმნა[62].

საქართველოს პარტიული კომიტეტების მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების გამგეთა თათბირმა (1928 წლის ოქტომბერი) კონკრეტული ამოცანები დასახა იმისათვის, რომ განემტკიცებინათ საბჭოებში პროლეტარული ელემენტები ღარიბ, მოჯამაგირე, მუშა და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა ბაზაზე. თათბირის გადაწყვეტილებებს საფუძვლად ედო საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენ-

---

60 ჟურნ. „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების მოამბე“, № 6, 1927 წლის ნოემბერი.

61 გაზ. „მუშა“, 1927 წლის 2 ნოემბერი.

62 ლ. თ ო ი ძ ე, ბრძოლა საბჭოების შექმნისა და განმტკიცებისათვის საქართველოში (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი, 1963, გვ. 219.

ტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების რეკომენდაცია: ეროვნული ბიბლიოთეკა
ების არჩევნებში დიდი რაოდენობით ჩაებათ მშრომელ ქალთა პროლეტარული ფენა და დაეწინაურებინათ ისინი ქვეყნის მართვის ორგანოებში სამუშაოდ[63].

თათბირის შემდეგ პარტიის დავალებით ადგილებზე მრავალი აქტივისტი ქალი დაიგზავნა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მოსამზადებლად[64]. წინასაარჩევნო კამპანიის სწორად წარმართვის მიზნით რესპუბლიკის ყველა ქალაქსა, მაზრასა და თემში ჩატარდა სპეციალური კონფერენციები, რომლებზეც არჩევნების ჩატარების საკითხის განხილვის პარალელურად იდგა ქვეყნის წინაშე დასახული ისეთი აქტუალური საკითხებიც, როგორიც იყო: სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კოოპერაცია, ბრძოლა წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ.

კომუნისტი და უპარტიო მოწინავე ქალები ეხმარებოდნენ გლეხქალებს მათთვის საინტერესო საკითხების გარკვევაში. სოფლის მეურნეობის საკითხით დაინტერესებული გლეხი ქალები დაჟინებით მოითხოვდნენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციას. ქუთაისელ ქალებს სურდათ კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანება[65] და სხვ. ადგილებზე გაგზავნილმა კომუნისტებმა და მოწინავე უპარტიო ქალებმა შეძლეს ფართოდ გაეშალათ მუშაობა და დაერაზმათ ქალები საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიულ არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოს 13 მაზრაში ასეთ კონფერენციებში მონაწილეობა მიიღო 4500 ქალმა, რომელთა შორის ჭარბობდნენ ღარიბები. მარტო ზუგდიდის მაზრის 15 თემში კონფერენციებში მონაწილეობდა 1305 ქალი. ქალთა აქტივობაზე მეტყველებს, აგრეთვე, 10 სამაზრო კონფერენციაზე გამოსულ ქალთა რიცხვი — 242[66]. კონფერენციებზე ქალთა გამოსვლები კრიტიკულ და თვითკრიტიკულ ხასიათს ატარებდა.

აღსანიშნავია, რომ ქ. სოხუმის მშრომელ ქალთა კონფერენციამ, რომელიც ხალხთა მეგობრობის ნიშნით ჩატარდა, სხვა საკითხებთან ერთად მოისმინა მთიანი ყარაბახის დელეგაციის წარმომადგენლის სურუ-

---

63 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ, 3436, ფურც. 7130.
64 მლისფპა, ფ. 14. აღწ. I, საქ. 3428, ფურც. 1—2.
65 ი ქ ვ ე, საქ. 3445, ფურც. 1—2.
66 მლისფპა, ფ. 14. აღწ. I, საქ. 3428.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოვას მოხსენება საბჭოების არჩევნებში მთიანი ყარაბახის ქალთა მონაწილეობაზე[67].

პარტიის სწორი კურსისა და კარგად ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის შედეგად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ამოძრავდა საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ქალი.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების დირექტივების საფუძველზე 1928 წლის 22 მარტს საქართველოს კომპარტიის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებამ აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებასთან ერთად მოაწყო თათბირი, რომელიც მიეძღვნა ეროვნული უმცირესობის ქალთა შორის მუშაობის შემდგომი განმტკიცების საკითხს[68]. მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმული იყო საბჭოების მუშაობაში ეროვნული უმცირესობის ქალთა ფართოდ ჩაბმის აუცილებლობა.

აჭარელ და თურქ ქალთა ყრილობამ, რომელიც ბათუმში მოიწვიეს (1929 წლის თებერვალში), აშკარა ბრძოლა გამოუცხადა ძველ დახავსებულ ყოფა-ცხოვრებითს ჩვევებს და მოუწოდა ეროვნულ უმცირესობათა ქალებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საბჭოების მომავალ არჩევნებში[69].

საქართველოს კომპარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გაითვალისწინეს ეროვნულ უმცირესობათა რაიონების სპეციფიკურობა და იქ, სადაც ყოფა-ცხოვრებითი თავისებურებების გამო ქალები მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ საარჩევნო კამპანიაში მამაკაცებთან ერთად, არჩევნები მოეწყო ცალკე კრებების მოწვევის გზით. ამან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქალთა აქტივობის ზრდაში. საარჩევნო კამპანიის დროს ქალთა ცალკე საანგარიშო საარჩევნო კრებების მოწყობის მეთოდმა გაამართლა თავისი დანიშნულება და ქალთა ფართო ფენას შესაძლებლობა მიეცა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. დასადასტურებლად მოგვყავს შემდეგი ციფრობრივი მონაცემები: 1927 წელს ახალქალაქის მაზრაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ქალთა 25,9%, 1929 წელს ეს რიცხვი 46,3 პროცენტამდე გაიზარდა; ახალციხის მაზრაში შესაბამისად —23,6 და 52,5; ბორჩალოში — 33,2 და 63,1; სამხრეთ ოსეთში — 42,7 და 66,1 და ა. შ.[70].

ამგვარად, პარტიამ ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის უკ-

---

67 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3419, ფურც. 84—89.

68 გაზ. „კომუნისტი", № 69, 1928 წლის მარტი.

69 სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, თბილისი, 1929, გვ. 116.

70 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3436, ფურც. 130—132.

ვე მიაღწია გარკვეულ წარმატებებს არჩევნების დროს, რაც მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რესპუბლიკის ჩამორჩენილ ქალთა ეროვნულ-პოლიტიკური აღზრდისა და სოციალისტური მშენებლობის საქმეში მათი ჩაბმის თვალსაზრისით.

მთელი საქართველოს მასშტაბით საბჭოების არჩევნებში ქალთა ჩაბმისათვის პარტიის მიერ ჩატარებულმა მუშაობამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. საარჩევნო კამპანიაში ქალთა აქტივობა 1927 წელთან შედარებით 24,3 პროცენტით გაიზარდა.

მოწესრიგდა, აგრეთვე, სახელმწიფოს მართვის ორგანოებში ქალთა დაწინაურების საქმე. მაგალითად, 1929 წელს თემსაბჭოს არჩევნების დროს წაღვერის თემსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს კომუნისტური პარტიის წევრი ვერა ოქროპირიძე. ზუგდიდში ტყაია-ბეჟოღალის თემში თემსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მარო ჯალაღანია, ეწერის თემში თემსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის კომიტეტის ყოფილი მდივანი ნინა არეშიძე, ხოლო კაცხის თემსაბჭოს თავმჯდომარედ ელისაბედ მოდებაძე[71].

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების მზარდ როლზე მეტყველებენ შემდეგი ფაქტები: 1929 წლისათვის საქართველოში 24 ქალი იყო სათემო აღმასკომის თავმჯდომარე და 11 სათემო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, წინა წლებისაგან განსხვავებით, საბჭოებში თავისი მუშაობის შესახებ საარჩევნო კრებებზე ანგარიშით წარსდგა 218 ქალი[72].

1929 წელს საბჭოების არჩევნების დროს პარტიამ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად თავის გარშემო დარაზმა პროლეტარიატი, ღარიბი და საშუალო გლეხთა ფენები. ამ ვითარებაში როგორც ქალაქად, ასევე სოფლად, კიდევ უფრო გაძლიერდა დამხობილი კლასებისა და რელიგიის წარმომადგენელთა აქტივობა. სწორედ ამიტომაც ეს არჩევნები გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. ქალთა საარჩევნო კონფერენციებმა დარაზმეს საშუალო და ღარიბი გლეხი ქალები პარტიის გარშემო. გააქტიურებული კულაკი ქალების გამოსვლებს კონფერენციაზე შესაფერისი პასუხი გასცეს ღარიბმა ქალებმა. დღითიდღე იზრდებოდა გლეხი ქალის კლასობრივი შეგნება. საბჭოს წევრ ქალებს კულაკი ქალები შეჰქონდათ შავ სიებში. მრავალ ასეთ ფაქტს ჰქონდა

---

71 გაზ. „კომუნისტი", № 49, 1929 წლის მარტი.

72 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3436, ფურც. 132.

ადგილი[73]. მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც კულაკი ქალები ახერ-ხებდნენ თავის მხარეზე საშუალო გლეხი ქალის გადაბირებასაც[74]. ასეთ შემთხვევებს ძირითადად ადგილი ჰქონდა იქ, სადაც სადელეგატო კრებები ჯეროვან სიმაღლეზე არ იდგა და სადაც პარტიამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო თავისი ძალების მობილიზაცია და ფართო მუშაობის გაშლა მშრომელ ქალთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2

ქალთა მონაწილეობა საბჭოებში *

	სათემო საბჭოებში			სათემო საბჭოების აღმასკომებში			საქალაქო საბჭოებში		
წელი	წევრთა საერთო რიცხვი	მათ შორის ქალი	პროცენტი	წევრთა საერთო რიცხვი	მათ შორის ქალი	პროცენტი	წევრთა საერთო რიცხვი	მათ შორის ქალი	პროცენტი
1925	21054	1638		1456	21	1,4	1439	189	13.1
1926	24701	2089		1741	32	1,8	1133	105	9,2
1927	25295	2203		1897	42	2,2	1972	234	11,9
1929	26339	4235		2569	370	4,4	2996	510	17,0

* ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულის „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიულ არქივში დაცული მასალების საფუძველზე.

ამ დროს სადელეგატო კრებები გვევლინებიან ქალთა მასების კლასობრივი აღზრდის საუკეთესო სკოლად. ისინი ყოველთვის და ყველგან წარმოადგენენ პარტიის პოლიტიკის გამტარებლებს და არჩევნების დროსაც ხელს უწყობენ არა მარტო საარჩევო კამპანიების ჩატარებას, არამედ პარტიის მიერ წამოყენებულ კანდიდატთა დამტკიცებასაც.

საბჭოთა მშენებლობაში ქალების მონაწილეობის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სრულიად საქართველოს საბჭოს წევრ ქალთა II ყრილობამ, რომელიც მიმდინარეობდა 1929 წლის 30 ოქტომბრიდან 5 დეკემბრამდე. ყრილობამ შეაჯამა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ჩატარებული მუშაობა ქალთა პოლიტიკური აღზრდისა და სოციალისტურ მშენებლობაში მათი ჩაბმისათვის. ყრილობამ გამოავლინა რიგი ნაკლოვანებანი და დასახა საბჭოს წევრ ქალთა შორის მუშაობის უახლესი ამოცანები.

---

73 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3436, ფურც. 132.

74 იქვე.

ისევე, როგორც სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, 1929 წელი, საქართველოს ქალთა საზოგადოებრივი აქტივობის ზრდისა და საბჭოთა მშენებლობაში მათი პრაქტიკულად ჩაბმის საქმეში, დიადი გარდატეხის წელია. ამ წლისათვის საქართველოს კომპარტიის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი წარმატებანი საბჭოთა მშენებლობაში და ქვეყნის მართვა-გამგეობაში ქალთა ფართო მასების ჩაბმის საქმეში. საქართველოს მშრომელი ქალი უკვე თამამად ამოუდგა მხარში მამაკაცს ისეთ უბანზეც, როგორიც სახელმწიფოს მართვის საქმეა.

3. ქალთა ჩაბმა კოოპერაციაში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის ცნობილი კოოპერაციული გეგმა. შრომებში: „საასურსათო გადასახადის შესახებ“, „კოოპერაციის შესახებ“, „უმჯობესია ცოტა და კარგი“ და სხვა, ვ. ი. ლენინმა დასახა ის კონკრეტული გზა, რომლითაც გლეხობის ძირითადი მასა შეძლებდა მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლას. ვ. ი. ლენინის აზრით, სოციალისტურ სახელმწიფოში მოსახლეობის კოოპერირებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. „რაკი სახელმწიფო ძალაუფლება მუშათა კლასის ხელშია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რაკი წარმოების ყველა საშუალება ამ სახელმწიფოს ეკუთვნის, ჩვენ მართლაც ამოცანად დაგვრჩენია მხოლოდ მოსახლეობის კოოპერირება[75].

კომუნისტური პარტიას კოოპერაცია მიაჩნდა სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელი გლეხობის ჩაბმის საუკეთესო საშუალებად. კოოპერაციული მშენებლობის საკითხი იდგა კომუნისტური პარტიის ყველა ყრილობაზე, კონფერენციაზე, პლენუმზე და საბჭოების ყრილობებზე. კომუნისტური პარტია ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების დროს თანმიმდევრულად ავითარებდა, აღრმავებდა და აკონკრეტებდა მას. პარტია კოოპერაციული მშენებლობის საკითხებს მჭიდროდ უკავშირებდა სოციალისტური მშენებლობის საერთო ამოცანებს და ცდილობდა მშრომელთა მეტი მასები ჩაება ამ მშენებლობაში. რკპ(ბ) XIII ყრილობამ „სოფლად მუშაობის შესახებ“ მიღებულ რეზოლუციაში განმარტა მოსახლეობის კოოპერირების ძირითადი მიმართულებანი: სამომხმარებლო კოოპერაცია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და საკრედიტო კოოპერაცია[76] და აღნიშნა,

---

[75] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 551.

[76] „სკკპ... რეზოლუციებში“, ნაწ. II, თბილისი, 1955, გვ. 54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ „წვრილ გლეხურ მეურნეობებს ვერავითარი სხვა გზებით ვერ მიიყვან სოციალიზმამდე, თუ არა ორგანიზაციის კოლექტიური ფორმების მეშვეობით, ე. ი. სამოხმარებლო და საწარმოო კოოპერაციის მეშვეობით. კოოპერირებული გლეხური მეურნეობა აუცილებლად დაკარგავს თავის ინდივიდუალურ ხასიათს და გადაიქცევა კოლექტიურ მეურნეობადო“[77].

ამ დროს საქართველო დაქსაქსული წვრილი გლეხური მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენდა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ეს დაქსაქსულობა კიდევ უფრო გაიზარდა[78]. სოფლის მეურნეობა სუსტად იყო განვითარებული, ტექნიკური აღჭურვილობა მეტად დაბალ დონეზე იდგა[79]. ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი მცირე საქონლიანობა და შრომის დაბალი ნაყოფიერება კიდევ უფრო აჩანაგებდა და აღატაკებდა გლეხობას.

ქართველი კომუნისტები, რომლებიც პარტიის XIII ყრილობის რეზოლუციებით ხელმძღვანელობდნენ და საქართველოს იმდროინდელ ვითარებას ითვალისწინებდნენ, იწყებენ კოოპერაციული გეგმის თანმიმდევრულ განხორციელებას. კოოპერაცია ხომ ის მთავარი რგოლი იყო, რომელზედაც ხელის ჩაჭიდებით პარტიას შეეძლო სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ყველა ამოცანის გადაწყვეტა[80].

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული ქალთა განყოფილებები, რომლებიც ყოველთვის გამოდიოდნენ პარტიის საერთო ამოცანებიდან, 1922 წელს იწყებენ ფართო სააგიტაციო მუშაობას მშრომელ ქალთა კოოპერაციულ მშენებლობაში ჩასაბმელად.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში პარტიის მთავარი ამოცანა სოფლად ის იყო, რომ განევითარებინა და მშრომელ გლეხთა მილიონიანი არმია ჩაება კოოპერაციაში, დაენერგა სოფლად კოოპერაციული საზოგადოებები, მიეზიდა გლეხთა მასები კოოპერაციულ თვითმოქმედებაში, რადგან, ერთი მხრივ, კოოპერაცია იყო მეურნეობის კოლექტიური მართვის ყველაზე მარტივი და გასაგები სკოლა და, მეორე მხრივ, იგი წარმოადგენდა ძირითად რგოლს გლეხობის სოციალისტური მშენებლობის სისტემაში მოსაქცევად[81]. სწორედ ამი-

---

77 „სკკპ... რეზოლუციებში“, ნაწ. II, 1955, გვ. 64.

78 საქართველოს ისტორია, 1960, თბილისი, გვ. 80.

79 მასალები საქართველოს სსრ მთავრობის მოღვაწეობის ანგარიშისათვის, 1931, გვ. 188.

80 ი. მირცხულავა, ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელება საქართველოში, თბილისი, 1968, გვ. 9.

81 თ. ჟღენტი, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება საქართველოში, თბილისი, 1967, გვ. 59.

ტომ გლეხ ქალთა კოოპერაციულ მშენებლობაში ჩაბმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ჯერ კიდევ 1921 წლის ნოემბერში მოსკოვში, რუსეთის პარტიულ კომიტეტებთან არსებულ ქალთა განყოფილებების გამგეთა თათბირმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშა და გლეხქალთა განყოფილების ინიციატივით, რესპუბლიკებში დაგზავნა სადირექტივო წერილი და დებულება მშრომელ ქალთა კოოპერაციულ მშენებლობაში ჩასაბმელად. დებულებაში აღნიშნული იყო ქალაქისა და სოფლის ცხოვრებაში კოოპერაციული მშენებლობის მნიშვნელობა.

საქართველოს ქალთა განყოფილებების გამგეთა მესამე თათბირზე (1923 წ.) და დელეგატ ქალთა I ყრილობაზე (1924 წ.) გამოტანილ მოხსენებებში გარკვეული ადგილი ეთმობოდა მშრომელ ქალთა კოოპერაციულ მშენებლობაში ჩაბმის და ხელმძღვანელ თანამდებობებზე მათი დაწინაურების საკითხს[82]. თათბირი თვლიდა, რომ კოოპერაცია იყო ქვეყნის მეურნეობის აღდგენისათვის ის დაკვრითი ფორმა, რომლის დახმარებითაც მშრომელი კლასი გასწევდა სოციალიზმისაკენ კოლექტიური გაერთიანების გზით[83]. თათბირის დადგენილების თანახმად მეტი მშრომელი ქალი უნდა ჩაებათ კოოპერაციულ მოძრაობაში, დაეწინაურებინათ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, გაეყვანათ სარევიზიო კომისიებში, გაეგზავნათ კოოპერაციულ კურსებზე, ე. ი. შეექმნათ კოოპერატორ ქალთა აქტივი. ქალთა განყოფილებებს კოოპერაციულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით უნდა ემუშავათ. ქალთა განყოფილებას თავისი წარმომადგენელი ჰყავდა ცეკავშირში, რომელიც ხელმძღვანელობდა კოოპერაციაში ქალთა ჩაბმის საქმეს[84].

დიდი იყო მშრომელ ქალთა მოთხოვნილებანი და საჭიროებანი. მას სჭირდებოდა პირველი მოხმარების საგნები: ნავთი, საპონი, მარილი, შაქარი, ჭურჭელი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და კიდევ მრავალი სხვა. სამომხმარებლო საქონელს, რომელსაც მრეწველობა ამზადებდა, მშრომელები იღებდნენ კერძო ვაჭრების საშუალებით. ამ დროს კერძო ვაჭარი გამოდიოდა შუამავლის როლში მრეწველობასა და მომხმარებელს შორის. ეს შუამავლობა ძალიან ძვირად უჯდებოდათ მშრომელებს[85]. სამომხმარებლო კოოპერაცია უნდა დაპირისპირებოდა კერძო ვაჭრობას, ეკისრა შუამავლობა მრეწველობასა და

---

82 ჟურნ. „კომუნისტკა“ (რუს. ენაზე), № 2, 1922, გვ. 34.

83 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 1336, ფურც. 2.

84 იქვე, საქ. 926, ფურც. 11.

85 იქვე, საქ. 1318, ფურც. 105.

მშრომელებს შორის, რაც შეიძლებოდა იაფად მიეწოდებინა მათთვის საჭირო საქონელი და გაედევნა კერძო ვაჭარი. სამომხმარებლო კოოპერაციაში ქალთა ჩაბმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ძირითადი მომხმარებელი — მყიდველი ოჯახში ქალი იყო. გარდა ამისა, სამომხმარებლო კოოპერაცია ქალს ფართო სამოქმედო ასპარეზსაც უხსნიდა. კოოპერატივის წევრი ქალი კოოპერატივში ყიდულობდა მისთვის საჭირო საქონელს, ერკვეოდა ფასებში, ამოწმებდა საქონლის ხარისხს. დროთა განმავლობაში იგი ეცნობოდა კოოპერატივის არსს, მიღწევებს და პერსპექტივებს. ქალთა მონაწილეობა კოოპერატივის საქმიანობაში თანდათან სერიოზულ პრაქტიკულ მნიშვნელობასაც იძენდა. იგი ეწეოდა აგიტაციას კოოპერაციის სასარგებლოდ. ხელს უწყობდა ნაკლის გამოსწორებას, აკონტროლებდა საქონელსა და თვალყურს ადევნებდა წესრიგს.

ამიტომ მშრომელ ქალთა ჩაბმას სამომხმარებლო კოოპერაციულ მუშაობაში დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. XIII ყრილობა აღნიშნავდა, რომ მხედველობაში გვაქვს რა ქალთა მშრომელი მასების მნიშვნელობა კოოპერაციის მშენებლობის საქმეში, ყრილობა ყურადღებას აქცევს ქალთა მშრომელი მასების ფართო კოოპერირების აუცილებლობას და მომხმარებელ ქალთა მოთხოვნილებათა კოოპერაციის მიახლოების საჭიროებას[86].

სოციალისტური მშენებლობის დროს სამომხმარებლო კოოპერაცია მშრომელ ქალთა სამოქმედო ასპარეზედ უნდა ქცეულიყო. მას უნდა გაედევნა კერძო ვაჭრობა საქონელბრუნვიდან და დაემტკიცებინა მისი, როგორც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, სიცოცხლისუნარიანობა. იგი უნდა დახმარებოდა პარტიასა და პროფკავშირს მუშათა კლასის მატერიალური პირობების გაუმჯობესებაში.

თუ პროფკავშირი თავის რიგებში აერთიანებდა მშრომელებს მრეწველობის და საერთოდ სახალხო მეურნეობის აღსადგენად, კოოპერაციას უნდა ჩაება სოფლის მოსახლეობა საწარმოო-სამეურნეო ურთიერთობასა და სავაჭრო საქონელბრუნვაში.

მშრომელ ქალთა შორის გეგმაზომიერი კოოპერაციული მუშაობა საქართველოში 1924 წლიდან იწყება[87], რასაც ხელი შეუწყო ქვეყნის საკრედიტო მეურნეობის მოგვარებამ. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის 148 სამომხმარებლო კოოპერაცია აერთიანებდა 152993[88] წევრს, აქე-

---

86 „სკკპ.. რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში", ნაწ. II, თბილისი, 1955, გვ. 112.

87 ქალთა საერთაშორისო დღე და კოოპერაცია. ტფილისი, 1929, გვ. 5.

88 სტატისტიკური კრებული, 1922—1926 წ., ტფილისი, 1927, გვ. 297.

დან 9588 ქალს[89]. მართალია, მოცემული ციფრები ერთგვარ წარმატებას მეტყველებენ, მაგრამ ჯერ კიდევ მშრომელ ქალთა დიდი ნაწილი არათუ არ იყო ჩაბმული კოოპერაციაში, არამედ არც კი იცოდა ასეთი ორგანიზაციის არსებობა. კარჩაკეტილ ცხოვრებას მიჩვეული საქართველოს მშრომელი ქალი გვერდს უვლიდა კოოპერაციას, რადგანაც არ ესმოდა მისი მნიშვნელობა და დანიშნულება. 1925 წლიდან პარტიულ კომიტეტებთან არსებული ქალთა განყოფილებები კოოპერატიულ ორგანოებთან ერთად განსაკუთრებით აღრმავებდა მუშაობას ამ მიმართულებით. მშრომელ ქალთა კოოპერაციულ მშენებლობაში ჩაბმის მიზნით გაჩაღდა ფართო სააგიტაციო მუშაობა. იყენებდნენ პრესას, კედლის გაზეთებს, სააგიტაციო ფურცლებს, პლაკატებს. კითხულობდნენ მოხსენებებს და აწყობდნენ კითხვა-პასუხის საღამოებს. 1926 წელს ცეკავშირმა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა განყოფილების დავალებით ქართულ ენაზე გამოსცა პანოვის ბროშურა — „ქალი და კოოპერაცია", რომელშიც ნათლად არის განსაზღვრული ქალის როლი კოოპერაციაში. ამავე მიზნით 1927 წელს ქართულ ენაზე გამოიცა კედროვის „გლეხი ქალი კოოპერაციაში". როგორც ცენტრალური, ისევე ადგილობრივი პრესა. ფართოდ აშუქებდა კოოპერაციასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს.

კოოპერაციულ მოძრაობაში პარტია ძირითადად აერთიანებდა დელეგატ ქალებს, რომელნიც დიდი აქტივობით გამოირჩეოდნენ. ისინი დადიოდნენ წარმოებებში, ამოწმებდნენ ქარხნების საერთო საცხოვრებლებს, მომსახურე პერსონალს ეხმარებოდნენ მუშაობაში, ეცნობოდნენ კოოპერატივში საქონლის შენახვის პირობებს, ინტერესს იჩენდნენ კოოპერატივისა და კოოპერაციის მმართველობის ურთიერთკავშირისადმი და სხვ. მაგალითად, ბორჯომში ახლად ჩამოყალიბებულ სამომხმარებლო კოოპერატივის მუშაობას ქალები დიდ ყურადღებას აქცევდნენ. სადელეგატო კრებების საშუალებით 145 ქალი კოოპერატივის წევრი გახდა. უკვე 1928 წლისათვის ბორჯომის სამომხმარებლო კოოპერაცია 510 ქალს აერთიანებდა[90]. ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ სადელეგატო კრებები ერთგვარად ხელს უწყობდნენ კოოპერატორთა კადრების ზრდას როგორც რიცხობრივად, ისე თვისებრივად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე მიწათმოქმედების კომისარიატმა, ცეკავშირმა და ქალთა განყოფილებებმა კოოპერატიული კადრების მომზადების მიზნით საქართველოს სხვადასხვა რაიონში გახსნეს ქალთა

---

[89] მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 2687, ფურც. 54.

[90] ჟურნ. „მშრომელი ქალი", № 18, 1928, გვ. 26.

კოოპერაციული კურსები და წრეები[91], რომლებმაც გარკვეული როლი შეასრულეს როგორც ქალთა კოოპერირების, ისე კოოპერაციული კადრების აღზრდის საქმეში. კურსებისა და წრეების დამთავრების შემდეგ ქალებს აწინაურებდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ირჩევდნენ სარევიზიო კომისიებში, ნიშნავდნენ კოოპერატივის ნოქრებად და სხვ. მაგალითად, პარტიის ბათუმის კომიტეტთან არსებული ქალთა განყოფილების 1926 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში ბათუმში მოწყობილი იყო კოოპერაციული წრეები, სადაც 60 ქალი სწავლობდა. წრის დამთავრების შემდეგ მუშათა კოპერატივმა მუდმივ სამუშაოდ აიყვანა რამდენიმე მოწაფე, რომელთა შორის 6 აჭარელი ქალი იყო[92]. 1927 წელს ბორჯომის კოოპერაციულ წრეში სწავლობდა 38 მუშა ქალი და დიასახლისი, 1928 წელს — 60 ქალი. წრის წევრები პრაქტიკულად ეცნობოდნენ კოოპერატივის საქმიანობას. კოოპერაციულ კომისიებზე მიმაგრებული იყო 11 ქალი, ხოლო გამგეობაში აირჩიეს ერთი ქალი. ორი ქალი დანიშნეს კოოპერატივის ნოქრად[93]. შილდაში კოოპერაციულ წრეში 20 გლეხის ქალი მეცადინეობდა. წრის წევრები პრაქტიკულად ეცნობოდნენ გურჯაანისა და ველისციხის კოოპერატივების მუშაობას[94]. ქ. თბილისში მუშკოოპთან გახსნილი იყო 7 კოოპერაციული წრე, რომლებშიც მეცადინეობდა 180 ქალი[95] და სხვ. 1928 წლისათვის კოოპერაციული კურსების მუშაობაში ჩაბმული იყო 80 ქალი, რომელთაგან 37 აქტიურ კოოპერაციულ სამუშაოზე დააწინაურეს[96]. 1929 წლისათვის ასეთი კურსებისა და წრეების ფართო ქსელი მოედო თითქმის მთელ რესპუბლიკას, რომლებშიც ქალთა მოსახლეობის 37,5% იყო გაერთიანებული[97]. საქართველოში აღნიშნულ ღონისძიებათა გატარებამ ერთგვარად გამოაცოცხლა ქალთა მასები და უჩვენა მათ გზა კოოპერაციული მშენებლობისაკენ. მართალია, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციაში ქალთა რიცხვი საერთო რიცხვის 9% უდრიდა, იგი მაინც ჩამორჩებოდა სსრ კავშირის მონაცემებს, სადაც სამომხმარებლო კოოპერაციაში ქალთა რიცხვი 12,9%-ს აღწევდა[98].

---

91 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3420, ფურც. 8.

92 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, 3420, ფურც. 8.

93 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 18, 1928, გვ. 26.

94 ჟურნ. „სოფლის კომუნისტი“, № 1, 1928.

95 გაზ. „კომუნისტი“, № 54, 1929.

96 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3107, ფურც. 7.

97 ი ქ ვ ე.

98 ა. შ ო რ ი, ქალის შრომა საქართველოს სახალხო მეურნეობაში, ტფილისი, 1934, გვ. 120.

ამ ღონისძიებათა საფუძველზე 1929 წლისათვის კოოპერაციულ მოძრაობაში ქალთა მონაწილეობა საგრძნობლად იზრდება. ცალკულ-დობრ ამ ზრდას ვხვდებით კოოპერაციის მმართველ ორგანოებში, გამ-გეობებში, სარევიზიო კომისიებში, სადუქნო კომისიებში და სხვაგან. თუ 1924 წლისათვის ერთიან მუშათა კოოპერატივის გამგეობის სა-დუქნო კომისიაში 30 წევრი და 18 კანდიდატი იყო[99], 1929 წლისათვის მარტო თბილისის სადუქნო კომისიებში 426 წევრიდან 193 ქალია, ე. ი. მთელი შემადგენლობის 45 პროცენტი, საიდანაც 123 მუშის ცო-ლია. სადუქნო კომისიის 40 თავმჯდომარიდან 7 ქალია, ე. ი. 17,5 პრო-ცენტი. 351 რწმუნებულიდან ქალი იყო 68, ანუ 18,4 პროცენტი[100].

თანდათან გაიზარდა სამომხმარებლო კოოპერაციისადმი გლეხ-ქალთა ინტერესი. სამომხმარებლო კოოპერაცია, წერდა გაზეთი „სო-ვეტსკაია აბხაზია", დღითი დღე სულ უფრო მეტ გლეხს იზიდავს. ყო-ველდღე ვიღებთ ცნობებს, რომ ესა თუ ის სოფელი შუამდგომლობს გაიხსნას მათთან კოოპერატივი. გლეხობამ შეიგნო კოოპერაციის მნიშ-ვნელობა და არ უნდა კერძო ვაჭარს ჩაუვარდეს ხელში[101]. გარდა ამი-სა, საილუსტრაციოდ მოგვყავს, აგრეთვე, ჟურნალ „მშრომელ ქალში" დაბეჭდილი სენაკის მაზრის ონოლის თემის დელეგატი ქალის წერილი: „ჩვენს თემში არსებობს სამი კოოპერატივი, და სასოფლო-სამეურნეო ბანკი. შეძლებისდაგვარად ვღებულობდით დახმარებას, რითაც შიმში-ლობას თავი დავაღწიეთ. აგრეთვე, კოოპერატივმა გვიხსნა ჩარჩ-ვაჭ-რების ხელში ჩავარდნისაგან, რადგან თვითონ გვაწვდიდა როგორც სიმინდს ხელმისაწვდომ ფასებში, ისე სესხს. ეხლა გავიგეთ რა ყო-ფილა კოოპერატივი და ვეწერებით წევრებად[102]. გაიზარდა 1929 წლის ციფრობრივი მონაცემებიც, მაგალითად, სამომხმარებლო კოოპერა-ცია ამ დროს აერთიანებდა უკვე 31933 ქალს, რაც სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთა 10 პროცენტს შეადგენდა[103].

სამომხმარებლო კოოპერაციის განმტკიცება ხელს უწყობდა მშრო-მელ ქალთა საყოფაცხოვრებო და კულტურული დაწესებულებების ზრდას. კოოპერაციის მოგების ნაწილი ხმარდებოდა ბავშვთა დაწესე-ბულებებს, კოოპერაციული სასადილოების, სამრეცხაოების, პურის საცხობების და სხვა საყოფაცხოვრებო ორგანიზაციების მშენებლობას. თბილისში მუშათა კოოპერაციის ინიციატივით გაიხსნა მაღაზია „დედა და ბავშვი". საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან

---

99 მლისფპა, ფ. 14, აღ. I, საქ. 1321, ფურც. 18.

100 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3130, ფურც. 46.

101 „სოვეტსკაია აფხაზია" (რუსულ ენაზე), № 149, 1925.

102 ჟურნ. „მშრომელი ქალი", № 24, 1928, გვ. 28.

103 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 3130, ფურც. 44.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არსებულმა ქალთა კოლექტივმა გახსნა სასადილო გლეხთა ცენტრალურ სახლში და სხვ.

ამგვარად, საქართველოს კომუნისტური პარტია კოოპერაციულ ორგანიზაციებთან ერთად ყოველნაირად ცდილობდა მასობრივად ჩაება მშრომელი ქალი კოოპერაციულ მშენებლობაში და, კერძოდ, სამომხმარებლო კოოპერაციაში. როგორც დავინახეთ, აღნიშნულ პერიოდში ეს პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ გარკვეული შედეგები მაინც ჰქონდა.

საქართველოს მშრომელი ქალები ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდნენ, რომ კოოპერაციაში მონაწილეობით ისინი უშუალოდ ხელს უწყობდნენ მთელი მეურნეობის გარდაქმნას, კერძო კაპიტალთან ბრძოლასა და ახალი ყოფა-ცხოვრების მშენებლობას. კოოპერატორ ქალთა შორის დაიწყო პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა, გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო პირობები, რამაც ერთგვარად გამოაცოცხლა მშრომელ ქალთა დიდი ნაწილი და რამდენადმე შემოაბრუნა იგი სამომხმარებლო კოოპერაციისაკენ. მშრომელ ქალთა მონაწილეობამ სამომხმარებლო კოოპერაციაში გარკვეული წვლილი შეიტანა სოციალისტური მშენებლობის ამ ფორმის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელ ქალთა ჩაბმას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში.

კოოპერაციის ამოცანას სოფლად, — აღნიშნულია პარტიის XIII ყრილობის რეზოლუციაში, — მარტო ის კი არ შეადგენს, რომ მან გლეხობას მიაწოდოს იაფფასიანი საქონელი, კოოპერაციამ ამასთანავე უნდა შეაკავშიროს გლეხობა, როგორც მწარმოებელი და ამ მხრივ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, ანუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მომმარაგებელ-გამსაღებელი ამხანაგობები 1921—1923 წლებში მასობრივად იქმნებოდა.

1922 წლისათვის საქართველოში იყო 17 ასეთი[104] ამხანაგობა, რომელიც აერთიანებდა 5000 წევრს, მათ შორის 250 ქალს[105].

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 22 დეკემბრის № 42 დადგენილებაში „კოოპერაციის შესახებ“ აღნიშნულია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები (ამხანაგობა, არტელი და კომუნა) უნდა შეიქმნას სპეციალური დარგების მიხედვით — მეღვინეობის, მეხილეობისა და მებოსტნეობის, მებაღეობისა და მე-

---

104 თ. ჟღენტი, გლეხთა პირველ კოოპერაციულ გაერთიანებათა ისტორიისათვის საქართველოში, ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. XII, 1964, გვ. 11.

105 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 21, 1928, გვ. 6.

ფუტკრეობის მიხედვით. ეს ამხანაგობები უნდა გაერთიანებულიყვნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირში „წარმოკავშირში“. წარმოკავშირის სისტემის სამეურნეო ობიექტად გამოცხადდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი. მის ფუნქციებში შედიოდა: 1. მიეწოდებინა გლეხებისათვის, როგორც კოოპერატივის წევრთათვის, ასევე არაწევრთათვის წარმოების იარაღები, მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი, სასუქი, თესლი და ყოველივე სხვა, რაც საჭიროა სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის; 2. დაემზადებინა და გაესაღებინა სოფლის მეურნეობის პროდუქტები შეუზღუდავად, უმთავრესად კოოპერაციული გასაღების პრინციპებზე; 3. გადაემუშავებინა სოფლის მეურნეობის პროდუქტები და მოეწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოება, როგორც საკუთარ, ისე კოოპერაციულ საწარმოთა პრინციპებზე; 4. განეხორციელებინა აგროკულტურული ღონისძიებანი საქართველოს სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების აღდგენისა და რაციონალიზაციისათვის[106].

ამ დადგენილების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და მის ცენტრს „წარმოკავშირს“ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სფეროში ჩამოშორდა ცეკავშირი. დადგენილებამ ფართო ასპარეზი შეუქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას.

გლეხი ქალის როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მეტად დიდი იყო. იგი სამომხმარებლო მეურნეობაში გადამწყვეტ ფიგურას წარმოადგენდა. უვლიდა ფრინველს, საქონელს და აბრეშუმის ჭიას, ამზადებდა რძის ნაწარმს, ქსოვდა და კერავდა, ეწეოდა მრავალმხრივ ოჯახურ საქმიანობას. გლეხ ქალს თავისი საქმიანობით შეეძლო დიდი როლი შეესრულებინა ამხანაგობებში, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელს, ისე მომხმარებელსა და გამსაღებელს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სპეციალიზაცია დარგობრივი სისტემის მიხედვით განსაკუთრებით ხელსაყრელი გამოდგა გლეხი ქალის სოციალისტურ მშენებლობაში ჩასაბმელად, ქალისა, რომელსაც უჭირდა ოჯახური იდილიის დარღვევა და ძნელად ებმებოდა სოციალისტური მშენებლობის საერთო საქმეში.

კომუნისტური პარტია ქალთა სპეციალური დარგობრივი არტელებისა და ამხანაგობების შესაქმნელად ქმედითს ღონისძიებებს ატარებს 1923 წლიდან. მან რესპუბლიკის ყველა პარტიული კომიტეტის ქალთა განყოფილებებს დაუგზავნა საინსტრუქციო წერილი, რომელშიც გან-

---

[106] ჟურნალი „კავშირი“, № 23—24, გვ. 27.

ბარტებული იყო ასეთი ამხანაგობის ორგანიზაციული სტრუქტურა და ეკონომიური მიზანი[107]. სახელმწიფო ასეთ ამხანაგობას, პირველ ხანებში, აძლევდა გარკვეულ თანხას და ნედლ მასალას. მეხილეობის, მებოსტნეობის, მეფრინველეობის ამხანაგობების გვერდით ყალიბდებოდა მეაბრეშუმეთა, მეთამბაქოეობის, მეფუტკრეობისა და მატყლის დამამუშავებელი ამხანაგობები.

ქალთა განყოფილებამ შეკრიბა რაიონის მეაბრეშუმე ქალები და განუმარტა მეაბრეშუმე ქალთა არტელის გახსნის პირობები[108]. რაჭის მაზრაში ქალები გაერთიანდნენ მებოსტნეობისა და სასოფლო-სამეურნეო არტელებში[109], ხოლო ახალქალაქში მოეწყო მატყლის დამამუშავებელი არტელი[110]. ასეთ ამხანაგობებსა და არტელებში ძირითადად ერთიანდებოდნენ უღარიბესი გლეხი ქალები. მათ განწყობილებაზე მეტყველებს თელავის სამაზრო პარტიული კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგის ცინცაძის წერილი: „არტელის ხსენებამ ფეხზე დააყენა ღარიბი, უმუშევარი გლეხის ქალები. არტელის მოწყობას კარგი ნიადაგი აქვს და მეტ სიმპათიებსაც მოვიპოვებთ მშრომელთა ღარიბ მასებში“[111].

ასეთი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები შეიქმნა საქართველოს ბევრ რაიონსა და სოფელში. ძირითადად ისინი სპეციალიზებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს წარმოადგენდნენ, რომელნიც აკავშირებდნენ ცალკეული დარგების გლეხურ მეურნეობებს და ხელს უწყობდნენ ამ დარგების აღორძინება-განვითარებას[112]. გლეხი ქალი კი ასეთი სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საშუალებით ეჩვეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას, კოლექტიურ მეურნეობას და პარალელურად რწმუნდებოდა სოციალისტური საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესობაში.

სამწუხაროდ, ამ დროს საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო ქალთა ამხანაგობა ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ ეს ამხანაგობები განიცდიდნენ ფინანსურ გაჭირვებას, არ ჰქონდათ სათანადო ავტორიტეტი, ხელმძღვანელ კადრებს არ ჰქონდათ სათანადო მომზადება და, რაც მთავარია, მოშლილი იყო ქვეყნის ფულადი სასაქონლო მეურნეობა.

---

107 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 491, ფურც. 29.

108 „კომუნისტი“, № 189, 1923 წლის 13 აგვისტო.

109 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 493, ფურც. 42.

110 იქვე.

111 იქვე.

112 თ. ჟღენტი, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება საქართველოში, თბილისი, 1967, გვ. 66.

ნეო მდგომარეობა მოითხოვდა. მთელს რესპუბლიკაში გაჩაღდა კოოპერაციის იდეების პროპაგანდა, რასაც ადასტურებს იმდროინდელი საბჭოთა და პარტიული პრესა, პარტიის, საბჭოთა და კოოპერაციულ ყრილობათა დადგენილებები, ცენტრალურ და ადგილობრივ არქივებში დაცული მასალები[121].

საბჭოთა კავშირში სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერაციის განვითარების ახალი ეტაპი იწყება საკავშირო კომუნისტური პარტიის XIV კონფერენციისა და XIV ყრილობის შემდეგ[122]. სოციალიზმის მშენებლობის ძირითად ძარღვად ყრილობამ აღიარა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომლის განხორციელებაც გადაიქცა ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზად და მის მორიგ პრაქტიკულ ამოცანად.

საქართველოს კომუნისტების V ყრილობამ (1927 წ.) განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება საწარმოო კოოპერაციის საკითხებზე. ყრილობა აღნიშნავდა, რომ საწარმოო კოოპერაცია სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი პირობაა და მოუწოდებდა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, რაც შეიძლება მეტი ღარიბი და საშუალო გლეხი გაეერთიანებინათ საწარმოო კოოპერაციაში. ამ ყრილობის შემდეგ პარტია დიდ ყურადღებას უთმობს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპეაციაში ქალთა ჩაბმას. 1925 წლის დამლევისათვის საქართველოში 29 კოლექტიური მეურნეობაა[123].

ქალთა ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციისათვის დიდი როლი ენიჭებოდა საწარმოო კოოპერაციაში ქალთა შრომის გამოყენებას. ქალთა განყოფილებები დიდ საორგანიზაციო მუშაობას ეწეოდნენ ამ მხრივ. ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ადგილებზე გარკვეული საზოგადოებრივი აზრი ასეთი საწარმოო არტელებისა, ამხანაგობებისა და კოლექტიური მეურნეობების სასარგებლოდ. იბრძოდნენ ასეთი ამხანაგობებისა და არტელების სიცოცხლისუნარიანობისათვის. ქმედითს ეკონომიურ დახმარებას თხოვდნენ სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულებებს და სხვ.

ქალთა განყოფილებებისა და ორგანიზატორი ქალების გავლენით ქალები ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ეწერებიან კომუნებსა და ამხანაგობებში, მაგალითად, 1927 წლისათვის საქართველოში არსებულ 7 კო-

---

121 იხ. „კომუნისტი", „ახალგაზრდა კომუნისტი", „სოფლის კომუნისტი", „კავშირი", „ამიერკავკასიის მშრომელი ქალი", „ჩვენი გზა", „მშრომელი ქალი" და სხვ. ბლისფბა, ფ. 14, აღწ. I, საქმეები: 491, 492, 493, 1455, 496, 432, 933, 934, 1322, 1324 და სხვ.

122 ა. კუპრავა, აფხაზეთის ასსრ კოოპერაციის ისტორია, თბილისი, 1968, (რუსულ ენაზე).

123 სტატისტ. კრებული „საბჭოთა საქართველოს 10 წელი".

მუნაში გაერთიანებული იყო 187 მამაკაცი და 164 ქალი[124]. 1927 წლიდან სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების შექმნა საქართველოში ეკვმყარ ნიადაგზე დგება[125].

ქალთა განყოფილებების დახმარებით და ორგანიზატორ ქალთა უშუალო თაოსნობით რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში ყალიბდება ქალთა სხვადასხვა სახის კოლექტივები და ამხანაგობები. მაგალითად, სართიჭალაში ჩამოყალიბდა მეაბრეშუმეთა 5 კოლექტივი, მიწის დამამუშავებელი 1 და მეფუტკრეთა 1 კოლექტივი[126], სოფელ თამარანში ორგანიზატორი ქალის ქეთო ზურაბაშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა ქალთა კოლექტივი, რომელმაც დაამუშავა ერთი დესეტინა მიწა, რომელზედაც დათესა მიწის თხილი[127], სოფელ ტყვიავის აღმასკომს ქალთა ორგანიზაციას გამოუყო ნახევარი დღიური მიწა. ქალებმა აქ შექმნეს მებოსტნეობის კოლექტივი[128].

აღსანიშნავია, რომ, თუ 1927 წლამდე კოლექტივებსა და ამხანაგობებში ქალების აქტივობა შედარებით დიდი არ იყო, 1927 წლიდან ისინი თანდათან აქტიურდებიან, რასაც ადასტურებს იმდროინდელი პრესის ფურცლებზე აღნიშნული ფაქტები. მაგალითად, ხონის რაიონის სოფელ გოჩა-ჯიხაიშში კოლმეურნეობის ჩამოსაყალიბებლად ხელშეკრულების დადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქალები[129]. ნასახულევის (ქუთაისის მაზრა) თემში ქალებმა წამოჭრეს საკითხი შეეტანათ საუკეთესო ჯიშის ქათმები და კოლექტიურად მოეშენებინათ ისინი[130].

მიუხედავად ქალთა გარკვეული ნაწილის გამოცოცხლებისა, სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერაციაში ქალთა მონაწილეობა მოცემულ პერიოდში მაინც საგრძნობლად მოისუსტებდა. მაგრამ, სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერაციამ გარკვეული როლი შეასრულა სოციალისტური სულისკვეთებით ქალთა აღზრდისა და კოლექტიური მუშაობის ჩვევების შეძენის საქმეში, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მომარაგება-გასაღების, ისე მათი წარმოების სფეროში. ყოველივე ამით იქმნებოდა წანამძღვრები რომ ქართველი გლეხი ქალი ფართოდ ჩაბმულიყო სოციალისტურ მშენებლობაში კოლექტიურ მეურნეობებში მასობრივი გაერთიანების გზით.

---

124 ცაგარელი, სასოფლო-სამეურნეო კომუნები საქართველოში, თბილისი, 1927, გვ. 3.

125 თ. ეღენტი, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება საქართველოში, გვ. 114.

126 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 6—7, 1929, გვ. 28.

127 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 22—23, 1928, გვ. 27.

128 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 24, 1928, გვ. 29.

129 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 3, 1929, გვ. 29.

130 იქვე.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გაშლისა და შემდგომი განვითარების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა პარტიის XV ყრილობამ, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევიდა როგორც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და მთელ ფრონტზე სოციალიზმის შეტევის მომზადების ყრილობა[131]. ამ ყრილობამ დააჩქარა საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობა და მისცა მას ორგანიზებული ხასიათი. 1928 წლის 10 თებერვალს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სოფლად მუშაობის საკითხი და წინადადება მისცა ყველა პარტიულ ორგანიზაციას შემდგომ მუშაობაში ეხელმძღვანელათ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის, მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებზე გადასვლისა და სოფლად კულტურული რევოლუციის განხორციელების ამოცანებით.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ ხელი შეუწყო ქალთა გააქტიურებას და მათი გარკვეული ნაწილის ჩაბმას კოლმეურნეობებში. 1929 წლისათვის საქართველოს 594 კოლექტივში გაერთიანებული იყო 12.012 მეურნეობა. აქედან 446 მეურნეობას მეთაურობდნენ ქალები. ქალების რიცხვი კოლმეურნეობათა გამგეობებსა და სარევიზიო კომისიებში შეადგენდა 14 პროცენტს[132].

როგორც ვხედავთ, ქალთა რიცხვი კოლექტიურ მეურნეობებსა და მის გამგეობაში მაინც საგრძნობლად დაბალი რჩებოდა. რით აიხსნებოდა ეს ფაქტი? სოფლად გლეხქალთა შორის მუშაობა უმთავრესად ყოფაცხოვრებითი ხაზით მიმდინარეობდა და ნაკლები ყურადღება ეთმობოდა კლასობრივ აღზრდას. არ იყო გარკვეული საზღვარი ღარიბ, საშუალო და კულაკ ქალს შორის[133]. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოჯამაგირე და ღარიბ ქალთა ნაწილი, მისი აქტივი არ იყო დარაზმული როგორც ხელმძღვანელი, მეთაური ძალა სოფლად. ამ აქტივმა გადამწყვეტ მომენტში დაკარგა კავშირი ქალთა მასასთან, ვერ შეძლო სათავეში ჩადგომოდა მოძრაობას, მოწყვეტილი და იზოლირებული აღმოჩნდა გლეხქალთა მასისაგან, რის შედეგადაც ქალთა საგრძნობი ნაწილი გაჰყვა კულაკების ლოზუნგს. მაგალითად, კახეთის სოფელ თამარიანის ორგანიზატორი ქალი ქეთო ზურაბიშვილი მოგვითხრობს: „სოფლის ქალებზე ხშირად ახდენდნენ გავლენას ანტისაბჭოთა ელემენტების ჭორები კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, ქალები ხშირად უშლიან მამაკაცებს კოლექტივში შესვლას“[134]. ასეთი მაგალითი ბევრია. რამ გამოი-

---

131 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 516.

132 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 2, 1929, გვ. 6.

133 იქვე.

134 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, № 152.

წვია ქალთა ასეთი მოქმედება? რატომ აფერხებენ ქალები საკოლმეურნეო მოძრაობას. იმიტომ, რომ გლეხი ქალები პოლიტიკურად ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილი იყო, ყველაზე უფრო კონსერვატიულად განწყობილი, გამსჭვალული წვრილბურჟუაზიული კერძო-მესაკუთრული ინსტინქტებით. ამასთან ერთად, კოლმეურნეობის პრაქტიკული მშენებლობის დროს ქალი გარიყული აღმოჩნდა, რამაც განაპირობა ქალთა სუსტი მონაწილეობა შრომაში.

პარტიის XVI ყრილობამ (1930 წლის ივნისი) აღნიშნა, რომ სოფლად კოლექტივიზაციის გატარების პერიოდში გარკვევით გამოიკვეთა ის ნაკლოვანებანი, რაც პარტიას ჰქონდა გლეხქალთა შორის მუშაობის დროს და ასახა გადამწყვეტი ღონისძიებანი. უკანასკნელ დროამდე, — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი ყრილობაზე, — ჩვენ საკმაოდ არ ვაქცევდით ყურადღებას გლეხქალთა შორის მუშაობას. განვლილმა პერიოდმა დაგვანახვა, რომ გლეხქალთა შორის მუშაობა ჩვენში მუშაობის ყველაზე უფრო სუსტი ადგილია. ამიერიდან ეს ნაკლი გადაჭრით უნდა მოვსპოთ.

პარტიის XVI ყრილობის გადაწყვეტილებანი ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესების თვალსაზრისით გადაიქცა ამ მუშაობის ამოსავალ პუნქტად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გლეხი ქალის პოლიტიკურ აღზრდას და საკოლმეურნეო მოძრაობაში ჩაბმას.

პარტიამ სპეციალურად გამოიკვლია საქართველოში ქალთა შრომის სფერო და ქალთა შრომის როლი სოფლის მეურნეობაში. გამოირკვა, რომ ქალთა შრომას რესპუბლიკაში იყენებდნენ სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებში, როგორიცაა მებოსტნეობა, მეფრინველეობა, ფეაბრეშუმეობა, ისინი, აგრეთვე, ამზადებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, შესანიშნავად რთავდნენ, კერავდნენ, ქსოვდნენ და ამავე დროს ოჯახსაც უვლიდნენ.

ქალთა შრომას სოფლის მეურნეობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. იყო რაიონები, სადაც ქალთა შრომა ჭარბობდა კიდეც მამაკაცის შრომას (აჭარა, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჩალო).

საქართველოში პარაზიტულ ცხოვრებას ქალთა მცირე პროცენტი ეწეოდა. ესენი იყვნენ — ყოფილი მაღალი წრის ქალები, ვაჭრებისა და კულაკების ცოლები და სხვები. ჩვენს რესპუბლიკაში ქალი ნაკლებად იყო ჩაბმული მწარმოებლურ შრომაში.

სასოფლო-სამეურნეო იარაღების პრიმიტულობა უფრო მეტად ამძიმებდა ქალთა შრომას, რაც მძიმე ტვირთად აწვა მას. ქალთა შრომის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში იზრდებოდა მოჯამაგირე და ღარიბი ქალების ხარჯზე. მათი მონაწილეობა გზას უხსნიდა მშრომელ ქალებს სოფლის მეურნეობის მატერიალური წარმოების სფეროში,

რაც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მიუხედავად ქალთა შრომის ხვედრითი წონის სისტემატიურად ზრდისა, საჭირო იყო ქალთა დაწინაურება კოლმეურნეობათა არჩევით და ხელმძღვანელ ორგანოებში, გამგეობებში, სარევიზიო კომისიებში, ბრიგადირებად და ცალკეული დარგების ხელმძღვანელებად. მაგრამ ჩვენში, საქართველოში 1930 წლისათვის შემდეგი სურათი გვაქვს: 7 ყოფილ მაზრაში ერთი ქალია გამგეობის თავმჯდომარე, 18 ქალი — გამგეობის წევრი და 17 — სარევიზიო კომისიის წევრი.

პარტიის XVI ყრილობის შემდეგ პარტიამ დიდი ყურადღება მიაქცია გლეხქალთა გაერთიანებას კოლექტივებში, მათი შრომის წესიერ და ორგანიზებულ გამოყენებას და ხელმძღვანელ თანამდებობებზე მათი დაწინაურების საქმეს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ყოველნაირად ცდილობდნენ გლეხთა ფართო ფენების გაერთიანებას კოლექტივებში და ზრუნავდნენ დაეცვათ ქალთა, როგორც არტელის დამოუკიდებელ წევრთა, უფლებები. კოლმეურნე ქალთა შორის ჩაღდება ფართო სააგიტაციო და აღმზრდელობითი მუშაობა, ხშირად იმართება კოლმეურნე ქალთა კრებები. გლეხქალთა ეკონომიური განთავისუფლების საქმეში გადამწყვეტ პირობად იქცა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კოლმეურნე ქალთა შორის მუშაობას, რისი დადასტურებაცაა 1931 წლის 1 აპრილის დადგენილება — „კოლმეურნე ქალთა შორის მუშაობის შესახებ". ქალთა განთავისუფლების საქმეში კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება", რომელიც მიიღო დამკვრელ კოლმეურნეთა II სრულიად საკავშირო ყრილობამ. წესდებაში აისახა საბჭოთა კანონები მამაკაცთან ქალის გათანასწორების შესახებ. წესდების მიხედვით, შრომადღეები ეწერებოდა და უნაზღაურდებოდა არტელის თითოეულ წევრს და არა ოჯახის უფროსს. შრომადღეები თავისთავად გადაიქცა ქალთა ეკონომიური თანასწორობის საშუალებად, რამაც გარკვეული სტიმული მისცა ქალთა შრომითს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობას.

საქართველოში საკოლმეურნეო წყობილების წარმატებამ შექმნა ყველა პირობა კოლმეურნე ქალთა შემოქმედებითი და ორგანიზაციული ნიჭის ყოველმხრივ განვითარებისათვის. 1931 წლისათვის კოლმეურნე ქალები ჩაბმული არიან ბრიგადების საწარმოო თათბირებში, ქალთა საწარმოო თათბირებში, ქალთა სადელეგატო კრებებში, კულტურულ-საყოფაცხოვრებო კომისიებში, შეკრებებსა და კონფერენციებში. კოლმეურნე ქალი ბევრ რაიონში წარმოების ხელმძღვანელი ხდება, მე-

თაურობს საკოლმეურნეო მუშაობის უმნიშვნელოვანეს უბნებს. ბრიგადირ ქალთა 15% ჩაის კულტურასა და მეთამბაქოეობაზე მოდან იყო ისეთი სოფლები, სადაც კოლმეურნეობაში მუშაობდა ყველა ქალი, მაგალითად, წრომში, ქვენატკოცაში და რუისში. თანდათან იზრდებოდა ქალის მიერ გამომუშავებული შრომადღეებიც.

1932 წლისათვის საქართველოს 16 რაიონში 745 კოლმეურნეობაა. კოლმეურნეობის გამგეობის 2643 არჩეულ წევრთაგან ქალი იყო 407, ანუ 13,3%[135].

პარტიამ ქალთა შორის მუშაობის დაწყების დროს ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ქალთა ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლის ლოზუნგი წამოაყენა. ეს ბრძოლა დამთავრდა საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებით და მასში გლეხქალთა ფართო მასების ჩაბმით. საკოლმეურნეო წყობილებამ ძირფესვიანად გარდაქმნა გლეხი ქალის როგორც სოციალური მდგომარეობა და ყოფაცხოვრება, ისე მისი ფსიქოლოგია.

საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობაში ქალთა მასების ჩაბმა, მათი მონაწილეობა ახალი სოციალისტური სოფლის შექმნის საქმეში, ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის წარმატებით დაგვირგვინებაა.

დასკვნა

ამგვარად, ნაშრომში განხილული მასალების ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

მშრომელი ქალების, მათ შორის საქართველოს მშრომელი ქალების ემანსიპაციისათვის გადამწყვეტი პირობა იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია სოციალისტური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილები, გააუქმა ექსპლოატატორთა წოდებრივი და კლასობრივი პრივილეგიები. გაათავისუფლა ქალი და მიანიჭა მას მამაკაცის თანასწორი უფლებები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ წარსული წყობილებისაგან მემკვიდრეობად მიიღო უუფლებო, კარჩაკეტილი, საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილი და განათლებას მოკლებული მშრომელი ქალი. კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობასთან ერთად ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე ფართო ღონისძიებები გაატარა როგორც ქალთა იურიდიული და ეკონომიური თანასწორობისათვის,

---

135 ა. შ ო რ ი, ქალის შრომა საქართველოს სახალხო მეურნეობაში, ტფილისი, 1934. გვ. 15.

ისევე მათი პოლიტიკური აღზრდისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში ჩაბმისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია მოუტანოს ქალს სრული თავისუფლება, რისთვისაც საჭიროა თანმიმდევრული რევოლუციური კანონებისა და გადამწყვეტი ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს მშრომელი ქალის პოლიტიკური და იდეური აღზრდა, ფაქტიური თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობაში მათი ჩაბმა და სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა რიგებში გაერთიანება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიადი მონაპოვარია.

კომუნისტური პარტიის ბრძნულმა და შორსმჭვრეტელურმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო საქართველოს მშრომელ ქალთა შორის პოლიტიკურ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის წარმატებით დაგვირგვინება. მათი როლის ზრდა სახელმწიფოს მართვის საქმეში.

ქალთა შორის მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის გასაშლელად საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გამოიყენა რუსეთის კომუნისტური პარტიის ნაცადი ფორმები და მეთოდები, რომელთა სისწორე მთლიანად და სავსებით დაადასტურა ცხოვრებამ, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ. მათ განეკუთვნება: ქალთა იურიდიული და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებელი სპეციალური დეკრეტები, პარტიულ კომიტეტებთან შექმნილი ქალთა განყოფილებები, უპარტიო ქალთა კონფერენციები, რვა მარტის სადღესასწაულო კამპანიები, ქალთა კადრების მოსამზადებელი კურსები, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები, პოლიტწრეები და სხვ.

ისევე როგორც საბჭოთა რუსეთში, საქართველოში სადელეგატო კრებები ქართველ ქალთათვის გადაიქცა პოლიტიკური აღზრდის ძირითად ფორმად, რომლის საშუალებითაც მშრომელ ქალთა დიდი ნაწილი უშუალოდ ჩაება სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა პრაქტიკულ განხორციელებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული და ცხოვრებით დადასტურებული მშრომელ ქალთა შორის მუშაობის ფორმები და მეთოდები — შემოქმედებითად გამოიყენეს საქართველოს კომუნისტებმა, შეუფარდეს ადგილობრივ პირობებს და დანერგეს რესპუბლიკის ცხოვრებაში. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გაითვალისწინა ადგილობრივი თავისებურებანი და გამონახა ეროვნული უმცირესობის ქალთა შორის მუშაობის შესაფერი ფორმები (მუსულმან ქალთა კლუბები, გლეხქალთა კუთხეები, ჭრა-კერვის წრე-

ები, ქალთა სპეციალური წერა-კითხვის სალიკვიდაციო პუნქტები, საწარმოო არტელები და ქალთა შორის ინდივიდუალური მუშაობის მეთოდები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მშრომელ ქალთა შორის მუშაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ფეოდალური და ბურჟუაზიული გადმონაშთების დაძლევა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოითხოვს თანმიმდევრულ, სისტემატურ აღმზრდელობით მუშაობას მთელს მოსახლეობაში.

კომუნისტური პარტიის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად განუწყვეტლივ იზრდებოდა ქალთა აქტივობა, რამაც თავისი გამოხატულება პოვა ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინასიტყვა 3

თ ა ვ ი I. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი საქართველოს მშრომელ ქალთა პოლიტიკური და კულტურული აღზრდისათვის 7

1. საბჭოთა კანონმდებლობა და საქართველოს მშრომელ ქალთა უფლებრივი განთავისუფლებისათვის ბრძოლა 7

2. პარტიულ კომიტეტებთან არსებული ქალთა განყოფილებების მუშაობის ფორმები და მეთოდები 15

3. ანტირელიგიური პროპაგანდა და პარტიის ღონისძიებები ძველი ყოფითი ჩვევების წინააღმდეგ 65

4. პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გაშლა და ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის 76

თ ა ვ ი II. ქალთა პოლიტიკური აქტივობის ზრდა . . 90

1. ქალთა აქტივობა პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში . . . 90

2. ქალთა მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში . . . 99

2. ქალთა ჩაბმა კოოპერაციაში 112

დ ა ს კ ვ ნ ა . . 129

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ნ. შ ვ ე ლ ი ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი ე. ფ ა რ ქ ო ს ა ძ ე
ტექრედაქტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
კორექტორი ლ. ა ბ ჟ ა ნ დ ა ძ ე

ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 8.3; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 7.4; უე 01020 ტირაჟი 1000; შეკვეთა 2273;

ფასი 62 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Бурдзенидзе Нелли Михайловна

МАССОВО-ПОЛИТИЧЕСКАЯ РАБОТА СРЕДИ ЖЕНЩИН ГРУЗИИ В 1921—1929 ГГ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა შემდეგი წიგნები:

1. მ. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებანი რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში, ფასი 36 კაპ.

2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIX—B, ფასი 1 მან. და 77 კაპ.

3. ავტორთა კოლექტივი, საქართველოში ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების ისტორიისათვის, ფასი 1 მან. და 23 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „მეცნიერება“ უახლოეს მომავალში გამოსცემს
შემდეგ წიგნებს:

1. ავტორთა კოლექტივი, მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის.

2. ი. კ ი კ ვ ი ძ ე, ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი.

3. თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი.

4. ე. გ ო გ ა ძ ე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უ. 86/390

ფასი 62 კაპ.